



საქართველოს იბლიონთევა

სამაცნეო-კოდელარასა და გათავისური უნივერსიტეტი





უურნალი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ყოველკვარტალურ ორგანოს; უურნალი გამოიცემა ეროვნული ბიბლიოთეკის დაფინანსებით და უფასოდ დაურიგდებათ საჯარო ბიბლიოთეკებს; უურნალში გამოსაქვეყნებელი მასალები მიიღება, როგორც ხელნაწერი, ასევე ელექტრონული ფორმით. აკრეფილი ტექსტი უნდა იყოს Sylfaen შრიფტით და გადმოიგზავნოს ელექტრონულ მისამართზე: sakartvelosbiblioteka@gmail.com

ავტორების მიერ სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაციები არ იღებენ პასუხისმგებლობას მასალების შინაარსზე

მთავარი რედაქტორი

ალექსანდრე ლორია

სარედაქციო კოლეგია:

გურამ თაყნიაშვილი
გულნარა სტურუა
მაია მიქაბერიძე
მირიან ხოსიტაშვილი
რუსუდან ასათიანი

ყდის დიზაინი

გიგი გელაშვილი

ტექნიკური რედაქტორები

ლოლა სანაია

დაკაბადონება

მარიამ ნათაძე

საქართველოს ბიბლიოთეკა N2 (71) - 2018; გამოიცემა 2000 წლიდან
საავტორო უფლება: საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია.

ამ უურნალში გამოქვეყნებული გრიგოლ ყიფშიძის ფოტო აღებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა "ივერიელიდან".

გირფასო ბიბლიოთეკარებო,
თქვენს წინაშეა ჩვენი უურნალის
მორიგი 71-ე ნომერი. თითქმის ორი-
ათეული წელია უურნალის შემოქმედებითი ჯგუფი უანგაროდ და პროფესიული შემართებით ემსახურება საქართველოს ბიბლიოთეკართა ყოველდღიურ ცხოვრებას, მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების გაუმჯობესების კეთილშობილურ საქმეს. წინამდებარე ნომერი აგრძელებს უურნალში დამკვიდრებული რუბრიკების მიხედვით წარმოდგენილი მასალების სისტემაზიზირებას. მკითხველისათვის საინტერესო საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სპეციალისტთა გამოკვლევა, რომელიც ეხება ამავე ბიბლიოთეკის ისტორიულ ნაწილს გასული საუკუნის 20-იანი წლების პერიოდს. ადნიშნული მასალა გამიზნულია ამავე ბიბლიოთეკის მეცნიერული ისტორიის შესაქმნელად.

რუბრიკაში ფილოლოგიური ძიებანი მკითხველი გაეცნობა დღემდე ნაკლებად ცნობილ მასალებს ტ. გრანელის, ნ. დუმბაძის, გრ. ყიფშიძის, ეკ. სარაჯიშვილი შეხედულებებსა და მოსახრებებს საქართველოში ლიტერატურულ ცხოვრებასა და ახალგაზრდობის აღზრდის შესახებ. აქვე ვაქვეყნებოთ ტ. გრანელის დღემდე უცნობი ლექსების ნაწილს.

როგორც ცნობილია, ინფორმაციის საუკუნეში მოქმედ ბიბლიოთეკებს უხდებათ გარკვეული ძალისხმევით ფეხი აუწყონ კომპიუტერულ ტექნოლოგიების დანერგვას; ეს პროცესი საქართველოში მიმდინარეობს თანდათანობით, წარმატებით ხორციელდება.

პროექტი „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“. ამ კუთხით ნომერში მკითხველს ვთვაზობთ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფ. საყუნეოის ბიბლიოთეკის წარმატების რეცეპტს. რუბრიკით „მეოთვეური სამსახური“ ვაქვეყნებოთ კონსულტაციას იმის შესახებ, თუ როგორ შევადგინოთ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების ანალიზი. ადგილებზე ჩატარებული ასეთი შინაარსის მასალები დაეხმარება საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასა და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას შეიმუშაოს რეალური რეკომენდაციები ქვეყანაში წარმატებული საბიბლიოთეკო პოლიტიკის გატარებისათვის.

ნომერში ბიბლიოთეკარები გაეცნობიან კვირეული 2018 -ის მასალებს. ეს მხელოდ ნაწილია იმ დიდი შემოქმედებითი ცხოვრებისა, რომელსაც ეწევიან ბიბლიოთეკარები თავიანთი ნიჭითა და შემოქმედებითი ფანტაზიით. კვირეულის მასალების შემოსვლა რედაქციაში კვლავ გრძელდება. უურნალის წინამდებარე ნომერში, ისევე როგორც წინა ნომერში, გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი კორესპონდენციებს ცალკეულ მუნიციპალიტეტებში საბიბლიოთეკო ცხოვრების შესახებ. კორესპონდენციების საშუალებით უურნალის რედაქციას ცოცხალი კავშირი აქვს რეგიონების ბიბლიოთეკებთან, ასეთივე შინაარსის სტატიებსა და ინფორმაციებში ნათლად აირეკლება ქვეყნის საბიბლიოთეკო ცხოვრება.

**პატივისცემით და წარმატების
 სურვილებით,
 სარედაქციო კოლეგია**

საქართველოს ბიბლიოთეკას №2 (71) - 2018 შენახსი

წინასიტყვაობა	1
ბიბლიოთეკების ისტორია	
ნინელი მელქაძე, ნინო კაციტაძე - ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა მეოცე საუკუნის ქარტეხილებში.....	3
წიგნის ისტორია	
ნინო ხევდელიძე - ალბრეხტ დიურერი - ქსილოგრაფიის დიდოსტატი	13
ფილოლოგიური ძიებანი	
მაია მიქაბერიძე - ტერენტი გრანელის უცნობი ლექსები.....	19
რუსულან წაქაძე - ნოდარ დუმბაძე ახალგაზრდობის აღზრდის შესახებ	22
გურამ თავინიაშვილი - გრიგოლ ყიფშიძე - ქურნალისტი და განმანათლებელი	25
გიორგი სარაჯიშვილი - ეკატერინე სარაჯიშვილის ლიტერატურული სალონი	27
დამოუკიდებლობის 100 წელი	
გულნარა სტურუა - 26 მაისი ქართველთა დიდი დღესასწაული.....	31
IREX ინფორმაცია	
მკითხველთა მომსახურება	
ერთი დღე ბიბლიოთეკის ცხოვრებიდან	36
ქართველი აგტორები ინტერნეტში	
ია გორგიშვილი - საქართველოს ბიოგრაფიული ლექსიკონი.....	41
მეთოდური სამსახური	
გურამ თავინიაშვილი - როგორ შევადგინოთ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების ანალიზი	44
პროფესია და პროფესიონალიზმი	
ნუნუ ყალამბეგაშვილი - დვაწლმოსილი	47
ნანა აბრამიძე - საიუბილეო საღამო	48
ალექსანდრე ლორია - ცოდნითა და გამოცდილებით	50
კორესპონდენციები	
წიგნი - ფურადდების ცენტრში	52
მერი გიორგიძე - „ოუ ვერ ვიგივებთ, ვერ შევიუერებთ“	53
ნოდარ ჟიურიაშვილი - იმედის გმირი საბიბლიოთეკო საქმეში	55
კვირეული – 2018	
ბიბლიოთეკარების თვითშემოქმედებას საზღვარი არა აქვს	56
ინფორმაცია-რეცენზიები	
მზია ტომანიძე - პროფესიაში გამორჩეული	62
ალექსანდრე ლორია - მრავალფეროვნების განმაპირობელი ფაქტორები	62
რ ე გ ი უ	
დავით გიგინეიშვილი - ამ მშვენიერ ქალაქში მუსიკალური ცხოვრება ჩქეფს	64
ქრონიკა	
საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა	68
ნეკროლოგი	
მანონ ხორავას ხსოვნას	71
ნუნუ ნაზდაიძის მოსაგონარი	72

ბიბლიოთეკაზის ისტორია

ნორი მეცნიერება
ნორ წარმოშობა

ტფილისის საპარო ბიბლიოთეკა მეოცე საუკუნის ქართველებში

XX საუკუნის ისტორია ადგავ-
სეა სრულიად განსხვავებუ-
ლი ხასიათის მოვლენებით
– ამ პერიოდში დიდი ადმონიენებიც იყო
და დიდი კატასტროფებიც. იქმნებოდა
და იშლებოდა სახელმწიფოები, რევო-
ლუციებმა, სამოქალაქო და მსოფლიო
ომებმა ადამიანები აიძულა, მიეტოვე-
ბინათ მშობლიური ადგილები და უცხო
მხარეში გადახვეწილიყვნენ, რომ თავი
გადაერჩინათ. სწორედ XX საუკუნის
დასაწყისში თბილისში, ისევე როგორც
მთელ იმპერიაში, გააქტიურდა რევოლუ-
ციური მოძრაობა. მოცემულ სტატიაში
განხილულია კავკასიის მუზეუმის (შემ-
დგომში საქართველოს მუზეუმის, ამჟა-
მად საქართველოს ეროვნული მუზეუმის)
და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის
(შემდგომში საქართველოს სსრ სახელ-
მწიფო საჯარო ბიბლიოთეკის, ამჟამად
საქართველოს პარლამენტის ეროვნული
ბიბლიოთეკის) ისტორია 1903 წლის სე-
ქტემბრიდან 1923 წლის მაისამდე.

პლიტკური ოვალსაზრისით როულ
პერიოდში კავკასიის მუზეუმსა და
ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკას 1903
წლის 4 სექტემბერს ჩაუდგა სათავეში
ალექსანდრე ნიკოლოზის ძე კაზნაკოვი
- მოგზაური, ისტორიკოსი, ბუნებისმე-
ტელი, აღმოსავლეთმცოდნე, არქეოლო-
გი, ეთნოგრაფი, ტიბეტის მკლევარი.
მისი დანიშნვიდან ცოტა ხანში კა-
ვკასიაში მეფისნაცვლობის აღდგენის
გადაწყვეტილებას იღებენ. თავის დროზე
ნიკოლოზ I-მა კავკასიის პრობლემების
რაც შეიძლება სწრაფად მოწესრიგე-
ბის მიზნით მეფისნაცვლობა შემოიდო
და ეს პოსტი მიხეილ გორონცოვს შეს-
თავაზა. 1881 წელს ეს პოსტი გაუქმდა,
ოუმცა ნიკოლოზ II-მ გადაწყვიტა 1905
წელს ისევ შემოვდო მეფისნაცვლობა
და ეს თანამდებობა გორონცოვების
ძველი საგვარეულოს ერთ-ერთ წარმო-
მადგენელს – გრაფ ილარიონ გორონ-
ცოვ-დაშკოვს შესთავაზა. 26 თებერვალს

მმართველი სენატის სახელზე გაიცა
სახელობითი უზენაესი ბრძანებულება
“კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებო-
ბის ადდგენის შესახებ”, რომლის უფლე-
ბამოსილებანი ი.ი. გორონცოვ-დაშკოვის
კონკრეტული კანდიდატურის გათვალ-
ისწინებით განისაზღვრა. დაშკოვების საგვარეულოს შეწყვეტის გამო 1807
წლის აგვისტოში იმპერატორ ალექსან-
დრე I-ის ბრძანებულებით მამამისს, ივანე გორონცოვს ნება მიეცა თავისი
გვარისთვის დაშკოვების გვარი მიე-
მატებინა და ამიერიდან ისიც და მისი
შთამომავლობაც გორონცოვ-დაშკოვე-
ბად წოდებულიყვნენ. 1867 წელს ი.ი. გორონცოვ-დაშკოვმა ცოდად შეირთო
ე.ა. შუვალოვა, კავკასიის პირველი მე-
ფისნაცვლის მიხეილ გორონცოვის შვილიშვილი. ამ ქორწინებამ გააერთია-
ნა საგვარეულოს ორი შტო, რომლებსაც
დასაბამი დაუდეს მმებმა რომან და ივანე
გორონცოვებმა. 1905 წლის 12 მარტს კა-
ვკასიაში გამგზავრებამდე ი.ი. გორონ-
ცოვ-დაშკოვმა ნიკოლოზ II-ს წარუდგინა
მოხსენება “კავკასიის მხარის მართვის
თაობაზე გენერალ-ადიუტანტის გრაფ
გორონცოვ-დაშკოვის წინადადებებისა
და ზომების უქვეშევრდომილესი ჩანაწ-
ერები“. მეფისნაცვალმა განსაკუთრე-
ბული ყურადღება დაუთმო პოლიციის
პირადი შემადგენლობის პროფესიონ-
ალიზმის ამაღლებას, რადგან სუსტი
პოლიციის დასახმარებლად ოლქის
ჯარების სისტემატიკი გამოყენება სუ-
ლაც ვერ უზრუნველყოფდა საზოგა-
დოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას.
მიუხედავად იმისა, რომ კავკასიაში რევ-
ოლუციური მოძრაობის (1905-1906 წლე-
ბი) ჩასახშობად მან მთელ რიგ მკაცრ
ზომებს მიმართა, მემარჯვენე პრესამ
და სახელმწიფო სათათბიროს მემარ-
ჯვენე წევრებმა იგი უცხოტომელები-
სა და რევოლუციონერების მიმართ
შემწყნარებლობაში დაადანაშაულეს.
გორონცოვ-დაშკოვის საკადრო პოლი-

ტიკა კრიტიკის საგანი იმიტომ გახდა, რომ სხვადასხვა თანამდებობებზე ლიბერალებს და რადიკალური პოლიტიკური მიმდინარეობების მომხრეებსაც კი ნიშნავდა, “დამშოშმინებელთა” ყრილობაც გამართა, სურათი გადაიღო მათთან ერთად და სასახლეში დარბაზობა გაუმართა. ნიკოლოზ II-ისადმი მიწერილ წერილში ვორონცოვ-დაშკოვმა მიმდინარე მოვლენებისადმი თავისი დამოკიდებულება ამგვარად გამოხატა: „უკიდურესად მემარჯვენე და მემარცხენე ბატონების პირადი თავდასხმები ნაკლებად მაღელვებს. ...სხვა რამ მადარდებს – ეს გახლავთ პეტერბურგელი მოხელეების შეურიგებელი ბრძოლა მეფისნაცვლობის წინააღმდეგ: იგი სძულთ, თითქოს რუსეთი საკმარისად არ გაწვლდა ხელისუფლების მომაკვდინებელი ცენტრალიზაციით“. უნდა აღინიშნოს, რომ ვორონცოვ-დაშკოვმა მოხერხა კავკასიაში ვითარება მოეწესრიგებინა, შემდეგ კი მისი ეკონომიკური განვითარებაც უზრუნველყო. ვორონცოვ-დაშკოვის პროგრამაში პრიორიტეტი აგრარულ და ეროვნულ საკითხებს ეთმობოდა. კერძოდ, მან გააუქმა სეკვესტრი სომხური გრიგორიანული ეკლესიის საკუთრებაზე, აღმოფხვრა ბატონების ნაშთები, დაითხოვა კორუმპირებული მოხელეები. მის ჩანაწერებში ფიგურირებს “ნამდვილი კავკასიელის“ განსაზღვრება. ადმინისტრაციულ-სამოხელეო აპარატში სამსახურისთვის თანამდებობის პირთა შერჩევისას ყოველი კანდიდატურის გვარის გასწვრივ მის დამახასიათებელ თვისებებს მიუთითებდა, და ამ თვისებებს შორის იყო პატიოსნება, შრომისმოვარეობა, გამჭრიახობა, სიმტკიცე და სხვა ნიშნებთან ერთად “ნამდვილი კავკასიელობა“. [12]. იგი ქართველ ავტონომისტებსა და ფედერალისტებს შეპპირდა, რომ სკოლებში სწავლა და ოფიციალური საქმის წარმოება ქართულ ენაზე იქნებოდა; საქართველოს ეგზარქოსთან დაიწყო მოლაპარაკება ქართული ეპლესის ავტოკეფალიის შესახებ; გახშირდა სახელმწიფო სამსახურში ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლების მიღება. ვორონცოვ-დაშკოვის პროგრამა მოიცავდა აგრეთვე კავკასიის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროში რეფორმების ფართო სპექტრს. შემუშავდა ახალი სასწავლო გეგმა, რომელიც მშობლიურ ენაზე სწავლებას

ითვალისწინებდა; კავკასიელ ხალხთა ენებზე გამოიცა დედა ენის სახელმძღვანელოები; თავად მთიელთა წრიდან მასწავლებელთა მოსამზადებლად მეფისნაცვალმა გროზნოს საქალაქო სკოლა მასწავლებელთა სემინარიად გარდაქმნა. სამეფისნაცვლოში მოამზადეს და მინისტრთა საბჭომ მოიწონა თბილისში უმაღლესი სასწავლებლის – პოლიტექნიკური ინსტიტუტის შექმნის პროექტი. მხარეში დიდი რაოდენობით გამოდიოდა სხვადასხვა მიმართულების პერიოდული გამოცემები, მათ შორის ოპოზიციურიც, გაზეოვები უველა კავკასიელი ხალხის ენაზე, სტატისტიკური, ისტორიული და ეთნოგრაფიული კრებულები, ცნობარები, კალენდრები, სასწავლო ლიტერატურა. როგორც მეტად სარფიანი, ვითარდება ნავთობის მრეწველობა. მისი მეფისნაცვლობის პერიოდში კავკასიის ტერიტორიაზე გააქტიურდა საგზაო მშენებლობა. ბაქო, თბილისი და ბათუმი კეთილმოწყობილ ქალაქებად იქცა ცივილიზაციის უველა ატრიბუტით. მნიშვნელოვან ძალისხმევას მიმართავს ვორონცოვ-დაშკოვი სამრეწველო მეწარმოების განვითარებისა და საბანკო სექტორის გაფართოებისთვის. კავკასიის გარდაქმნის მიზნით ჩაფიქრებული მისი პროგრამის მასშტაბურობა მოწმობს, რომ მას კარგად ესმოდა ახალი ისტორიული ეპოქის მოხსოვნები.“ ის აღბათ მხარის ერთადერთი მმართველია, - წერდა ფინანსთა მინისტრი ს.ი. ვიტე, - რომელიც მოელი რევოლუციის დროს, როცა ტფილისში ვიდაც ისროდა ან ვიდაცას ესროდნენ ბომბს, მშვიდად დადიოდა ქალაქში ეტლით ან ცხენზე ამხედრებული, და მოელი ამ ხნის განმავლობაში მას არავინ დასხმია თავს, არც არავის მიუყენებია შეურაცხოფა, არც სიტყვით და არც ქცევით“. [11]. როგორც კავკასიის ოლქის ჯარების სარდალმა, ხანში შესულმა გენერალმა სავარაუდო ომისთვის პირადი შემადგენლობაც მოამზადა და ინფრასტრუქტურაც. ის, თუ რამდენად ეფექტიანად მოახერხა ამის გაეთება, კავკასიის ფრონტზე 1914-1917 წლების კამპანიამ ცხადყო, როცა რუსეთის ჯარები გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევდნენ.

მნიშვნელოვანწილად სწორედ იგანებორონცოვ-დაშკოვს და ალექსანდრე კაზნაკოვს უნდა ვუმაღლოდეთ, რომ მათი



კავკასიის მუზეუმი 1925

მრავალჯერადი თხოვნის საფუძველზე გამოყო სახსრები კავკასიის მუზეუმისა და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის ახალი შენობის ასაგებად (საქართველოს ეროვნული მუზეუმის ახლანდელი შენობა). მუზეუმის შენობა საომარი პერიოდის მთელი სირთულების მიუხედავდ, დასრულდა და მხოლოდ ფასადის მაიოლიკით მოპირკეთებას საჭიროებდა (იხ. სურ. კავკასიის მუზეუმი 1925 წელს). საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქივის მასალების საფუძველზე თუ ვიმსჯელებთ, დროის ქარტეხილები კავკასიის მუზეუმის საქმიანობაზე არ ასახულა. კავკასიის მუზეუმისა და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკისთვის აღექსანდრე კაზნაკოვის მოდგაწეობა და ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის მეფისნაცვლობა კავკასიის მუზეუმის ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური კოლექციების ზრდით, ახალი წესდების დამტკიცებით და მუზეუმისა და ბიბლიოთეკის ახალი შენობის მშენებლობით ადინიშნა. კავკასიის მუზეუმი ვითარდებოდა როგორც საერთო კავკასიური კულტურის ეროვნული მუზეუმი და ორგანულად ერწყმდა საერთო კულტურულ სივრცეს, არ უპირისპირდებოდა კავკასიის ცალკეული ეთნოსების ახლად დაარსებულ სამეცნიერო საზოგადოებებსა და მუზეუმებს. აღექსანდრე კაზნაკოვი კავკასიის მუზეუმისა და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორობის თოთხმეტი წლის განმავლობაში მთელ თავის ენერგიასა და ორგანიზაციულ უნარს ამ ორი ინსტიტუტის მსოფლიო მნიშვნელობის სამეცნიერო დაწესებულებებად გადაქცევას ახმარდა. ბევრი რამ, რითაც დღეს ამაყობენ ეროვნული მუზეუმი და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, სწორედ მისი დირექტორობისას იქნა შეძენილი. აღექსანდრე კაზ-

ნაკოვის მრავალ დამსახურებათა შორისაა აგრეთვე ის, რომ მისი და ცნობილი ქართველი ისტორიკოსისა და არქეოლოგის ექვთიმე თაყაიშვილის ძალისხმევით კავკასიის მუზეუმმა შეიძინა 1908 წელს აღმოჩენილი ახალგორის განძი – საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოქროს ფონდის სიამაყე [15]. ბიბლიოთეკის 1904-1916 წლების ანგარიშების ანალიზით გვიჩვენებს, რომ 1903 წელს ტფილის საჯარო ბიბლიოთეკაში იყო 20.422 დასახელების 38.268 ტომი; 1916 წელს – 32.331 დასახელების 55.602 ტომი. კავკასიის მუზეუმის და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილედ 1904 წელს დაინიშნა რიხარდ გერმანეს-ძე შმიდტი (საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიური მუზეუმის ყოფილი ბიბლიოთეკარი, განათლებით მედიკოსი). ბიბლიოთეკის თანამემწის თანამდებობა 1904 წლიდან სხვადასხვა დროს ეკავათ ლ. ი. შერშოვს (1904-1906), კ. პეტროვს (1907), ა. ლ. მლოკოსევიჩს (1910), მ. გოგიჯანოვას, ა. გ. ცირულს, ი. კ. დიტერის, მ. ი. ბალუევას (1915 წლის 12 ოქტომბრიდან 1916 წლის აპრილამდე), ა. ა. გეიდემან-ოპოჩინინას (1916-1917 მარტი), ე. გ. ვეიდენბაუმს (1917 წლიდან 1918 წლის იანვრამდე). ევგენი ვეიდენბაუმის გარდაცვალების შემდეგ ბიბლიოთეკის მუშაობას გამგის თანამემწე – ნ. ჭავჭავაძე (ტერ-გუგასოვა) წარმართავდა (1918 წლის მარტიდან 1919 წლის აგვისტომდე). [4, გვ. 189]. სანამ მუზეუმის შენობა იგბოდა სახელმწიფო საბჭომ და სახელმწიფო საოთაბირომ 1913 წლის 3 დეკემბერს “კავკასიის მუზეუმის დებულებისა და შტატის დაგენის შესახებ კანონის” საფუძველზე, კავკასიის მუზეუმსა და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკას “კავკასიის მუზეუმი” უწოდეს. “კავკასიის



მუზეუმის „შესახებ“ დებულებაში ნაოქვამი იყო, რომ მუზეუმთან არსებობს ბიბლიოთეკა, რომელშიც თავს უყრიან უმთავრესად კავკასიისა და მოსაზღვრე ქვეყნების შესახებ თხელებებს. [...] ბიბლიოთეკის გამგებლობა ეკისრება ბიბლიოთეკარს; მცველებსა და ბიბლიოთეკარს საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემია ირჩევს მუზეუმის დირექტორის წარდგინებით, იმ პირთაგან, ვისაც შესაბამისი უმაღლესი განათლება აქვს, და თანამდებობაზე კავკასიაში მისი საიმპერატორო უდიდებულებების მეფისნაცვალი“ ამტკიცებს [13, C.36-37]. 1914 წლის 1 იანვარს კავკასიის მუზეუმისა და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის „კავკასიის მუზეუმის“ სახელწოდებით ერთ დაწესებულებად გაერთიანების შემდეგ საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიამ აირჩია და კავკასიის მეფისნაცვალმა 1914 წლის 25 იანვრის №21 პრანებით კაზნაკოვი კავკასიის მუზეუმის დირექტორის თანამდებობაზე დაამტკიცა. 1914 წლის 26 თებერვალს №48 პრანებულებით ბიბლიოთეკარის თანამდებობაზე დაინიშნა რიხარდ შმიდტი. კავკასიის მუზეუმში სამუშაოდ კაზნაკოვი იწვევს კავკასიის სამეცნიერო ექცედიციებში გამოცდილ პირებს. კაზნაკოვის მიერ კავკასიის მუზეუმში სამუშაოდ მოწვეულთა შორის იყვნენ: ი.ნ. ვორონოვი, რომელიც საფრანგეთსა და ავსტრიაში სწავლობდა ბოტანიკას, ნ.ი. მარის მოწავეები, სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ფაკულტეტის კურსედამთავრებული ნ.ნ. ტიხონოვი და ს.ვ. ტერ-ავეტისიანი, ბუნებისმეტყველების დოქტორი ნ.ა. სმირნოვი, ლოზანის უნივერსიტეტის ბუნებისმეტყველების დოქტორი ვ.ი. როშკოვსკი, სორბონის უნივერსიტეტის ლიცენზიანტი ნ.მ. ყიფიანი.

სამწუხაროდ ისე მოხდა, რომ კავკასიის მუზეუმის დირექტორს ა. მ. კაზნაკოვს, ამ მართლაც თავდაუზოგავ მოდგაწეს საქმიანობა პირველმა მსოფლიო ომმა და რევოლუციამ არ დააცალა. ფრონტზე დაღუპული მ. მ. ტიხონოვის შემცვლელად მან მიიწვია ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის კურსედამთავრებული (1894), რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მდიგარი (1913–1930) გ.ფ. ჩურსინი, მაგრამ შეს-

აბამისი სამეცნიერო ცენტის უქონლობის გამო მეცნიერებათა აკადემიამ იგი კავკასიის მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნა. 1916 წლის 5 აგვისტოს ა.ნ. კაზნაკოვი მეფისნაცვალს მიმართავს თხოვნით, რომ „გ.ფ. ჩურსინი და ნ.ა. სმირნოვი, როგორც მუზეუმისთვის მეტად საჭირო და შეუცვლელი სპეციალისტები, გაათავისუფლონ სამხედრო სამსახურიდან და თავად ფრონტზე მოხალისედ წავიდა [2, გვ. 443]. 1914 წლის 26 აგვისტოს უზენაესი ბრძანებით კაზნაკოვი თერგის კაზაკთა ჯარის მე-2 მოზღვის გენერალ მოიელთა პოლკში გაგზავნეს. მოქმედ არმიაში ჩარიცხვის შემდეგ კაზნაკოვი არ გაუთავისუფლებით კავკასიის მუზეუმის დირექტორის თანამდებობიდან, მეფისნაცვალმა მის შემცვლელად დროებით დანიშნა უფროსი მცველი იური ვორონოვი, რომელიც მუზეუმში ბოტანიკურ განყოფილებას განაგებდა. [14, გ.1]. 1914 წლის 23 ოქტომბერს კაზნაკოვი დაიჭრა; ქ. ლვოვის ექიმთა კომისიამ ის სამხედრო სამსახურისთვის გამოუსადეგარად ცნო და იგი გალიციის სამხედრო გენერალ-გუბერნატორის შტაბის რეზერვში ჩარიცხვის; 1915 წლის ოქტომბერში ის პეტროგრადშია, სადაც კავკასიის მუზეუმის პრობლემებითაა დაკავებული. 1915 წლის სექტემბერში კავკასიის მეფისნაცვლის პოსტზე ვორონცოვ-დაშკოვი დიდმა მთავარმა ნიკოლაი ნიკოლაევიჩმა შეცვალა. 1916 წლის თებერვალს კაზნაკოვი უკვე კავკასიის არმიის მთავარსარდლის, დიდი მთავრის ნიკოლოზი ნიკოლაევიჩის დაქვემდებარებაშია და უშუალოდ ხელმძღვანელობს მუზეუმის პრაქტიკულ საქმიანობას. თურქეთის საზღვარზე სამხედრო მოქმედებათა რაიონში ისტორიული ძეგლების დაღუპვის საშიშროების გამო მეცნიერებათა აკადემიამ მიიღო დადგენილება სამეცნიერო და მხატვრულ ფასეულობათა დაცვის შესახებ და მკვლევარები მიავლინა მათი რეგისტრაციის, აღწერისა და გადარჩენის მიზნით. 1916 წლის ზაფხულში სახელმწიფო რუსული მუზეუმის (1917 წლამდე „იმპერატორ ალექსანდრე III-ის რუსული მუზეუმი“) განყოფილებამ ვანის ოლქში ეთნოგრაფიული ექსპედიცია გაგზნა ა.ა. მილერის ხელმძღვანელობით. შეგროვილი ნივთები კავკასიის მუზე-

უმისოვის უნდა ჩაებარებინათ. ამ დადგენილების შესრულება ა.ნ. კაზნაკოვს დაევალა. მხატვრულ ფასეულობათა გადარჩენის საქმეში მისი დამსახურების შესახებ დიდი მთავრის გიორგის წერილში ნათქვამია: “განსაკუთრებით დიდია ოქვენი დამსახურება იმ საქმეში, რომ ორგანიზაცია გაუკეთეთ შეგროვილი კოლექციების განიდან ტყილისში გამოგზავნას. ოქვენ დაადასტურეთ... ოქვენი გულწრფელი სურვილი, თავდაუზოგავი მუშაობით მიგეღწიათ საერთო სამეცნიერო მიზნებისთვის. გულწრფელი პატივისცემით გიორგი” [2, გვ. 672]. 1916 წლის ზაფხულში ა.ნ. კაზნაკოვმა ერთურულიდან და ვანის ვილაიეთიდან 444 დასახელების 608 ტომი, ხოლო სულთან მეჯიდის ბიბლიოთეკიდან 333 დასახელების 438 ტომი ჩამოიტანა.

კავკასიის მუზეუმის ბიბლიოთეკას 1917 წლიდან 1918 წლის იანვრის შუა რიცხვებამდე გამოჩენილი კავკასოლოგი ევგენი გუსტავის ძე ვეიდენბაუმი ხელმძღვანელობდა. [14, გვ. 189]. ვეიდენბაუმის თანაშემწე 1917 წლის მარტის შუა რიცხვებამდე იყო ანა გეიდენმანი-ოპორტუნინა. 1917 წლის 2 იანვარს ორმოცდათი წელი შესრულდა კავკასიის მუზეუმის გახსნის დღიდან. ეს მოვლენა საზეიმოდ არ აღნიშნულა, თუმცა საზოგადოების უურადღების მიღმა არ დარჩენილა. კავკასიის ისტორიკოსის ლ.გ. ლოპატინსკისა და ე.ს. თაყაიშვილისადმი მიღოცვაში ეწერა: “მუზეუმთან მჭიდროდ დაკავშირებული მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოება თავის სამეცნიერო თანამომებს უსურვებს შემდგომ აყვავებას მისი უგანათლებულესი დირექტორის ა.ნ. კაზნაკოვის ხელმძღვანელობით, რომელიც დაუცხოველებული ენერგიით ზრუნავს მისი ყოველმხრივ შევსებისთვის და მტკიცებ სწამს, რომ მუზეუმი უახლოეს ხანში მიაღწევს სრულ განვითარებას, და რომ მისოვის მშენებარე შენობა დიდ საცავად იქცევა სამეცნიერო საგანძურისოთვის...” [3, გვ.10]. ევგენი ვეიდენბაუმის დღიური კავკასიის მუზეუმისა და მისი ბიბლიოთეკის ისტორიის უიშვიათესი წეართა. ქვემოთ მოგვავს დღიურის ჩანაწერები, რათა მკითხველს შეექმნას წარმოდგენა მაშინ ამ დაწესებულებებში არსებულ ვითარებაზე და მოყვანილი ეპიზოდებით შეძლებისდაგვარად ნათელი მოეფინოს 1916-1917

წლის ზოგიერთ მოვლენას [10]. ვეიდენბაუმის დღიურში აღწერილია მისი პირველი დღეები ბიბლიოთეკარის თანამდებობაზე. 1917 წელი: „2 იანვარი. დღეს კავკასიის მუზეუმის არსებობის 50 წლისთავია. ...სადამოს კაზნაკოვთან რაუტი იმართება მუზეუმის პერსონალის, გაკელისა და ჩემი მონაწილეობით (გვ.104). 12 იანვარი. მუზეუმში ვიყავი. საქმეს გავეცანი. დაახლოებით საათნახვარი დაგვავი ბიბლიოთეკაში ანბანურ კატალოგზე სამუშაოდ, რომელიც აქამდე არ არსებობდა. სირთულე ის არის, რომ ბარათების შესანახად არც უუთია და არც კარადა (გვ.105-106). 20 იანვარი. მუზეუმში მივიღე პირველი ხელფასი 150 ვერცხლის რუბლი“ (გვ.106) [10]. აქვე უნდა ითქვას, რომ 1917 წელს ბიბლიოთეკამ მიიღო კაზნაკოვის მიერ სანქტ-პეტერბურგში შეკვეთილი უახლესი საბიბლიოთეკო ტექნიკა და ორი ეგზემპლარი ლ.ბ. ხავინის წიგნისა “ბიბლიოთეკები: ორგანიზაცია და ტექნიკა“, რაც საბიბლიოთეკო საქმეში ნამდვილი სიახლე იყო. ვეიდენბაუმის ჩანაწერებით ირკვევა აგრეთვე ის თუ რის საფუძველზე გაათავისუფლეს ბიბლიოთეკარი რიხარდ შმიდტი და რა ძედი ეწია მას შემდეგ: „6 აგვისტო... მესამე დღეა რაც დააპატიმრეს შმიდტი, ფიცენმაიერი, ბარონესა დრაჟენფელსი, კრელი, სამსონი, კეიზერი და სხვები. კაზნაკოვმა შეიტყო, რომ ჯაშუშური ორგანიზაციის წევრობაში ედებათ ბრალი (გვ.70). 19 აგვისტო. დღეს „პავკაზში“ გამოქვენდა ბრძანება შმიდტისა და ფიცენმაიერის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ: „კავკასიაში მისი საიმპერატორო უდიდებულესობის ნაცვლის ბრძანება, 1916 წლის 16 აგვისტო, ქ. ტფილისი, №105. სამსახურიდან დათხოვნილი არიან კავკასიის მუზეუმის ბიბლიოთეკარი, სახელმწიფო მრჩეველი შმიდტი და ამავე მუზეუმის უფროსი მცველი კოლეგიის ასესორი ფიცენმაიერი 1896 წელს გამოცემული მთავრობის დადგენილი სამსახურებრივი წესდების III ტომის 788-ე მუხლის საფუძველზე. ხელს აწერს მეფისნაცვალი გენერალ-ადიუტანტი ნიკოლაი“. 20 აგვისტო. [...] 788-ე მუხლი გამოიყენება: თუ მოხელე რაღაც მოსაზრებით არაკეთილსაიმედოა ან მიუძღვის ბრალი, რომელიც ცნობილია უფროსობისთვის, თუმცა ფაქტებით ვერ დასტურდება. და რას შეიძლება

ეფუძნებოდეს ამ შემთხვევაში უფრო-სობა? როგორც ჩანს დაქვემდებარებულ პირთა მოსაზრებას. შეიძლება კი ამ მო-საზრებას ენდო? (გვ.74). 7 ოქტომბერი. ამბობენ, რომ ჯაშუშობაში ეჭვმიტ-ანილ დაპატიმრებულებს სხვადასხ-ვა ადგილებში ასახლებენ. (გვ.85). 30 ოქტომბერი. ამბობენ, რომ ჩვენთან ისევ დააპატიმრეს რამდენიმე ახალგაზრდა (ვინმე რომანვი, სხვებს ვერ ვიხსენებ) (გვ.91). [1917 წელი]. 19 იანვარი [1917].. . . . “კავკაზსკოვ სლოვოში” გამოქვეყნდა ჭორი, რომ რ.გ. შმიდტმა ოდესის ციხეში თავი ჩამოიხრჩო. თუ ჯაშუშობა ტყუ-ილად დააბრალეს, ამ დამბრალებლებს სინდისი უნდა ქენჯნიდეთ; თუ ბრალ-დება სამართლიანია, უბედურ შმიდტს თავად გაუსამართლებია თავი (გვ. 106). 27 იანვარი [...] შმიდტის ოვითგვლე-ლობა დადასტურდა; 1916 წლის 19 დე-კემბერს ჩამოიხრჩო თავი ოდესის ციხე-ში” (გვ.106). 19 მარტი. სამსონი, კეიჭერი, დრაჟენფელსი რვათვიანი პატიმრობის შემდეგ გამოუშვეს. არცერთი მათგანი ერთხელაც არ დაუკითხავთ. საინგერე-სოა, ვინ წამოიწყო ეს ყველაფერი. სა-ბრალო შმიდტი, იქნებ ისიც ისეთივე „დამნაშავე“ იყო, როგორც სამსონი და სხვები (გვ.127). [10].

ვეიდენბაუმის ჩანაწერებით ასევე ირკვევა, თუ როგორ დაშორდა კაზნა-კოვი კავკასიის მუზეუმის თანამშრომ-ლებს 1917 წლის გაზაფხულს: „13 მარტი. ... ჩვენი მუზეუმელებიც არ ჩამორჩ-ნენ საერთო სიგიერს; განსაკუთრებით ჩურსინი; მან მუზეუმის დირექტორის ასარჩევად კრება გამართა. ანას [გეიდ-მანი] შენიშვნას, დირექტორს მეცნიერე-ბათა აკადემია ირჩევსო, მან უპასუხა, ასე ძველი წყობილებისას ხდებოდათ (გვ.126). 14 მარტი. ... კაზნაკოვი მუზე-უმს ტოვებს და ფრონტზე მიდის. სურს თავის ადგილზე, რეკომენდაცია გაუწიოს მილერს¹ ალექსანდრე III-ის მუზეუმი-დან... (გვ.126). 15 მარტი. კაზნაკოვი მუზე-უმში მოსული და, როგორც ჩანს, ბევრი უსიამოვნო რამ უთქვამს. ისინი ისე გა-თავხედნენ, რომ სამშენებლო კომისიას გაუქმება და მშენებლობის მუზეუმის

კომიტეტისთვის გადაცემა მოსთხოვეს. კაზნაკოვის გამო განაწყენებულმა ანა გეიდენბანმა უარი თქვა მუზეუმში მუშაობაზე. ალბათ, დიდხანს მეც არ გა-მაჩერებენ. კაზნაკოვი მოხოვს, შენიო არ თქვა უარით (გვ.126). 21 მარტი. მუზე-უმში რკინა-ბეტონის სამუშაოებს გავე-ცანი; საქმე სწრაფად მიდის, ასე რომ, საგარაუდოდ აგვისტოსთვის გადახურ-ვის სამუშაოები დასრულდება (გვ.128). 12 მაისი. თითქმის მოელი დღე წვიმ-და. კაზნაკოვებთან ბოლო შეხვედრაა. ამ დღეებში ბათუმს მიემგზავრება და იქიდან ნაღმოსანი გემით სევასტოპოლ-ში წავა. ძალიან გულდასაწყვეტია, რომ ორმა ნაძირალა მუზეუმელმა შეძლო და აიძულა კაცი, მოეშალა ოვისი ბუდე და მიეტოვებინა საქმე, რომელიც ასე უყ-ვარდა და ასე კარგად იცოდა (გვ.139). 19 მაისი. დილით სადგურში გავაცილე კა-ზნაკოვი. მეტვება, რომ განგებამ კიდევ შეგვახვედროს ერთმანეთს. სამწუხაროა, სამწუხარო, სამწუხარო (გვ.140) [10].

თუმცა ეს ვეიდენბაუმისა და კაზნაკო-ვის ბოლო შეხვედრა არ ყოფილა. 1917 წლის ნოემბერში ბერდიხევის გარნი-ზონის სამედიცინო კომისიამ ჯანმრთე-ლობის მდგომარეობის გამო კაზნაკოვი სამხედრო სამსახურისთვის დაიწუნა; 1917 წლის 30 დეკემბერს ის ტფილის-ში ბრუნდება. 1918 წლის 15 იანვარს გარდაიცვალა ე. ვეიდენბაუმი და კა-ზნაკოვი მისი სხვინის პატივსაგებად აქვეყნებს ნეკროლოგს. 1918 წლის 30 იანვარს ავადმყოფობის გამო სამხე-დრო სამსახურიდან გადადგომის შეს-ახებ პატაკს წერს. [1, გვ. 19]. 1918 წლის 28 ოქტომბერის ამიერკავკასიის კომის-არიატის კანცელარიამ კაზნაკოვი ისევ მიავლინა კავკასიის მუზეუმში. 1918 წლის 14 აპრილს ტფილისის გუბერნიის გამგეობის ექიმთა კომისიამ “კავკასიის მუზეუმის დირექტორის ა.ნ. კაზნა-კოვის შემოწმების შედეგად... დაადგინა მისი პენსიის უფლება და ავადმყოფო-ბის გამო სამხედრო სამსახურიდან გა-დადგომა“. გრაფინია პ.ს. უვაროვას თქმით, “კავკასიის მუზეუმის ერთგული და დაუცხომელი მოამაგის“ ა.ნ. კაზნა-

1. ალექსანდრე მილერი – არქეოლოგი და ეთნოლოგი, მხატვარი და მუზეუმმცოდნე. 1907 წელს სამუშაოდ რუსელი მუზეუმის ანთოლოდოგიურ განყოფილებაში მიწვიეს და აფხაზეთსა და ყალბექეთში გაგზავნეს პირველ სამეცნიერო ექსპედიციაში. ამის შემდეგ კავკასიის განყოფილების გამგედ დაინიშნეს. 1914–1916 წლებში მილერი რუსელი მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების მოწყობაზე მუშაობდა. 1916 წელს ეთნოგრაფიული საზოგადოების დავალებით იმოგზაურა უშასწავლად და ეთნოგრაფიული კოლექციების შესაცროვებლად. 1917 წელს ტაგანრივში იმყოფებოდა, მაგრამ იმავე წლის აგვისტოს დამლევს პეტროგრადში დაბრუნდა. 1918 წელს პეტროგრადში რუსელი მუზეუმის დირექტორად აირჩიეს.

კოვის შესახებ ამის შემდგომ ცნობები ნაკლებად მოიპოვება. ცნობილია, რომ ალექსანდრე გაზნაკოვი 1933 წლის ობერვალს 62 წლის ასაკში პარიზში გარდაიცვალა. “წუთისოფელი წარმავალია, ამიტომ უნდა დატოვო ნაღვაწი, რათა დაადასტურო, რომ გიცხოვრია” – პლინიუს უფროსის ეს სიტყვები საუკეთესოდ ესადაგება იმ დვაწლს, რომელიც კაზნაკოვმა კავკასიის მუზეუმისა და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის განვითარებას დასდო.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ განათლების მინისტრის 1918 წლის 8 ივნისის №2 ბრძანების თანახმად, კავკასიის მუზეუმის დირექტორის მოვალეობის შესრულება დაეკისრა ნოე ყიფიანს. 1919 წლის 5 ივნისის ბრძანების თანახმად კავკასიის მუზეუმის შტატგრაფეშე გადაყვანილ პერსონალს სალიკვიდაციო თანხა გადაუხადეს [4, გვ. 164]. აღნიშნული თანხა 400 რუბლის ოდენობით 1919 წ. 14 ოქტომბერს მიიღო ბაქოში მყოფმა კავკასიის მუზეუმის დირექტორმა ალექსანდრე კაზნაკოვმა, რომელმაც თანხის მიღების შესახებ შეატყობინა იმჟამად უკვე საქართველოს მუზეუმის დირექტორს ნოე ყიფიანს [4, გვ. 57]. 1919 წლის 1 აგვისტოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო გამოსცემს დეკრეტს “კავკასიის მუზეუმის” გაუქმების და მის ბაზაზე “საქართველოს მუზეუმის” (ამჟამად საქართველოს ეროვნული მუზეუმი) დაარსების შესახებ. დამფუძნებელთა კრების 1 აგვისტოს დეკრეტით საქართველოს მუზეუმს გადაეცა სახელმძღვანელო დებულება, რომლის მე-6 მუხლის თანახმად მუზეუმის თანამშრომლებს და ბიბლიოთეკარს ირჩევდა სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებდა სახალხო განათლების მინისტრი. იმავე დეკრეტის თანახმად ყოფილი კავკასიის მუზეუმის უძრავი და მომრავი ქონება საქართველოს მუზეუმს გადაეცა. დაუყონებლივ დაწყო თანამშრომელთა ახალი საშტატ შემადგენლობის დაკომპლექტება, მოწვიეს შესაფერისი კვალიფიკაციის სპეციალისტები [4, გვ.37]. სულ მალე ჩამოყალიბდა მუზეუმის სამეცნიერო საბჭო, რომლის წევრებად ითვლებოდნენ დაწესებულების განყოფილებათა გამგეები და სახელმწიფო უნივერსიტეტის პრო-

ფესორთო საბჭოს ხუთი წარმომადგენელი. სამეცნიერო საბჭო პერიოდულად იკრიბებოდა. მუზეუმის სამეცნიერო და ადმინისტრაციულ საქმეთა მმართველად საბჭომ აირჩია, ხოლო უმაღლესმა მთავრობამ დაამტკიცა მუზეუმის დირექტორი [9, გვ.108-112]. 1919 წლის 1 აგვისტოდან ნოე ყიფიანი უკვე საქართველოს მუზეუმის დირექტორის სტატუსით განაგებდა დაწესებულების საქმიანობას [4; 8]. იმავდროულად იგი ასრულებდა გეოლოგიის განყოფილების გამგის მოვალეობას. გარდამავალ პერიოდში მუზეუმთან არსებული ბიბლიოთეკის საქმიანობის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა ეროვნული მუზეუმის არქივში დაცული მასალა, რომლის საფუძველზეც ირკვევა, რომ მთავრობის 1919 წლის სექტემბრის №347 დადგენილების თანახმად ყოფილი საცენტურო კომიტეტის ბიბლიოთეკა გაინაწილა ორმა დაწესებულებამ: საქართველოს მუზეუმისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებმა. ამის შესახებ არსებობს შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორის წერილი ნოე ყიფიანისადმი [4, გვ.36]. 1919 წლის 28 ოქტომბერს ნოე ყიფიანი მიწათმოქმედების მინისტრს სწერდა: “აპასოუმნის სასახლეში არსებობს მდიდარი ბიბლიოთეკა. გაურკვეველია რა დანიშნულება აქვს მას იქ. კარგი იქნებოდა, ყოფილი ს.ც.კ.ნ - ხუროთკომიტეტის ბიბლიოთეკის მსგავსად, ის მიგვეურთებინა კავკასიის მუზეუმის ბიბლიოთეკისთვის, რომელიც ფაქტიურად ეროვნულ ბიბლიოთეკას წარმოადგენს“ [4, გვ.46]. ინკორპორაციით და პირადი ბიბლიოთეკებიდან 1919-1923 წლებში მიღებულ წიგნებს შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო შემდეგი: გიორგი ალექსანდრეს-ძე რომანვის პირადი ბიბლიოთეკა, რომელიც აპასოუმნში იყო განთავსებული (1919), კავკასიის შესახებ არსებული ლიტერატურა (დაახლოებით 500 დასახელების). საქართველოს მუზეუმის დირექტორი ხელისუფლებას მუზეუმის ბიბლიოთეკის ფონდების გასაფაროვებლად ფინანსური დახმარებისთვისაც მიმართავდა. 1919 წლის ნოემბრის დასაწყისში განათლების მინისტრისგან იგი მთავრობის წინაშე შუამდგომლობას ითხოვს (წერილი №420), რათა ხელისუფლებამ მუზეუმს გამოუყოს საგანგებო თანხა, რომლითაც ევროპაში

მიმავალ დავით დამბაშიძეს დაევალება მუზეუმთან არსებული ბიბლიოთეკისთვის ახალი სამეცნიერო გამოცემების შეძენა: „საქართველოს მუზეუმი, რომლის მიზანია ემსახუროს და ხელი შეუწყოს ჩვენი ქვეყნის მეცნიერულ შესწავლას, ამჟამად მოკლებულია საშუალებას, თავისი დანიშნულება პირნათლად შეასრულოს. მსოფლიო ომმა და ომის შემდგომმა რევოლუციებმა ჩვენი მხარე ევროპის კულტურულ ცენტრებს ჩამოაშორა. ყოფილი კავკასიის მუზეუმის მიერ ევროპის კულტურულ ცენტრებთან მეცნიერული თანამშრომლობის მიზნით გაბმული ძაფები გაწყდა და საქართველოს მუზეუმის დღევანდელ მუშაკებს ისეთ მდგომარეობაში გვერგო დაწესებულება, რომ სამეცნიერო ლიტერატურის მხრივ ამჟამად მუზეუმის ხუთივე განყოფილება უდიდეს გასაჭირს განიცდის. ზემოსენებული მიზეზების გამო ბიბლიოთეკა უკვე 5 წელია მოკლებულია საშუალებას, მიიღოს ესა თუ ის ახალი სამეცნიერო ნაშრომი, და არ სმენიათ ევროპიდან სიახლეების და მეცნიერების ამა თუ იმ დარგის მიღწევების შესახებ... ოქვენ, რომელიც მოწოდებული ხართ ჩვენი ქვეყნის გასანათლებლად, კეთილი ინებეთ და გვიშუამდგომლეთ მთავრობის წინაშე, რათა მუზეუმისათვის გადებულ იქნას სათანადო თანხა და ევროპაში მიმავალ დავით დამბაშიძეს დაევალოს, იზრუნოს უკანასკნელ 5 წლის მანძილზე გამოცემული ახალი სამეცნიერო ლიტერატურის შეძენაზე“ [4, გვ.86].

ნოე ყიფიანმა თხოვნით მიმართა სხვადასხვა გაზეოების, მათ შორის „საქართველოს“ და „ერთობის“ რედაქციებს მუზეუმთან არსებული ბიბლიოთეკისთვის გაზეოის თრ-ორი ეგზემპლარის გამოყოფის თაობაზე: „საქართველოს მუზეუმი დარწმუნებულია, რომ ოქვენ დიდის თანაგრძნობით ეპყრობით იმ კულტურულ საქმიანობას, რომელსაც მუზეუმი ასრულებს. ამიტომ მოგმართვით თხოვნით, უსასყიდლოდ დაუმომო მუზეუმთან არსებულ საჯარო სამკითხველოს გაზეოის მომავალი ნომრების ორ-ორი ეგზემპლარი. ამასთან გაუწყებო, რომ კავკასიის მუზეუმთან არსებულ საჯარო სამკითხველოს უფასოდ ეგზავნებოდა არამარტო შველა პერიოდულებული გამოცემა, არამედ ერთდროულიც. მუზეუმის დირექტორი: ნოე

ყიფიანი“ [4, გვ. 48]. 1919 წლის 12 ნოემბრით დათარიღებულ წერილში (№ 511) ნოე ყიფიანი მიმართავს მთავრობას ბიბლიოთეკისთვის განკუთვნილი სავალდებულო ცალების მიუღებლობის თაობაზე: „ყოფილი ამიერკავკასიის მუზეუმის დებულების უკანასკნელი მუხლის თანახმად ამიერკავკასიის ტერიტორიაზე არსებულ გამომცემლობებს ევალებოდათ, მუზეუმთან არსებული საჯარო ბიბლიოთეკისათვის როგორც ერთდროული, ისე პერიოდული გამოცემების ორ-ორი ეგზემპლარის გაგზავნა. საქართველოს მუზეუმის დებულების პრეცეპტის შემუშავების დროს კომისიის წევრის, დამფუძნებელთა კრების თავჯდომარის, ამხანაგის პროფ. ე. თავაიშვილის წინადადების საფუძველზე ასეთი მუხლი გამოტოვებული იქნა იმ მოსაზრებით, რომ უახლოეს ხანში ცალკე საკანონმდებლო გზით ცხოვრებაში მისი გატარება იყო ნავარაუდები. მას შემდეგ უკვე ოთხი თვე გავიდა და ასეთი კანონი დღემდე არ სჩანს“ [4, გვ. 48]. სავალდებულო ეგზემპლარების პრობლემა მხოლოდ 1922 წელს გადაწყდა დადებითად [7, გვ. 133]. 1922 წლიდან ბიბლიოთეკა უკრაინის და რუსეთის წიგნის პალატებიდანაც იღებდა იქ გამოცემულ ბეჭდურ პროდუქციას. რაც შეეხება ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის სახელზე გაგზავნილ წერილს (№ 652), მასში ნოე ყიფიანი ფოსტა-ტელეგრაფის უფროსს შეახსენებს საქართველოს 1919 წლის 26 დეკემბრის დეკრეტს, რომლის საფუძველზეც მუზეუმმა საქართველოს ფარგლებში ამანათების და ბანდეროლების უფასოდ გაგზავნის უფლება მოიპოვა [4, გვ. 724]. მუზეუმთან არსებული ბიბლიოთეკის გამგის მოვალეობას 1919-1920 წლებში ასრულებდა ალექსანდრე სვანიძე. 1920 წლის 21 ივნისს ბიბლიოთეკის გამგის თანამდებობაზე გამოცხადდა კონკურსი. ამის შესახებ გაზეოში განცხადება დაიბეჭდა. კონკურსის პირობები ითვალისწინებდა, რომ წარმოდგენილ კანდიდატს უთუოდ უნდა პქონოდა უმაღლესი განათლება და შესაბამისი სამუშაო სტაჟი, სცოდნოდა ქართული და რამდენიმე უცხო ენა [5, გვ.7]. 1920 წლის 6 დეკემბერის სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმში აღინიშნა: „ვინაიდან ბიბლიოთეკის გამგის თანამდებობის მთხოვნელთა შორის არ აღმოჩნდა შესაფერისი საბიბლიოთეკო

სტაჟის მქონე პირი, რომელსაც შეიძლებოდა მინდობოდა საქართველოს მუზეუმის ბიბლიოთეკის გამგის მოვალეობა, უარი ეთქვას ადნიშნულ თანამდებობის ყველა მოხევნელს. ბიბლიოთეკის გამგეობა დაევალა არქეოლოგია - ეთნოგრაფიული განცოფილების გამგეს გ. 6. ჩუბინაშვილს“ [5, გვ.9]. 1922 წლის 28 იანვარს ბიბლიოთეკის გამგედ დაინიშნა მიხეილ შევარდნაძე. ბიბლიოთეკის გამგის თანაშემწედ მუშაობდა 1919 წლის 11 ნოემბრიდან (№ 430 ბრძანების საფუძველზე) - ო. ლომინაძე [4, გვ. 56], 1920 წლის მარტიდან კი ო. კ. ამირეჯიბი [5, გვ.63;9, გვ.109]. არქეოლოგიური განცოფილების დროებით ასისტენტს ჟორჟ ლაზარეს 1919 წლის 4 ნოემბერს დაევალა (ბრძანება №488) ბიბლიოთეკის სპარსულ-არაბული ფონდების აღწერა-დამუშავება [4, გვ.105].

ფონდების მრავალფეროვნებისა და სიმდიდრის მიუხედავად, ბიბლიოთეკა მეტად საგადალო მდგომარეობაში იმყოფებოდა. 1919 წლის ნოემბერში ნოე ყიფიანმა თხოვნით მიმართა განათლების მინისტრს (წერილი №420), ხოლო 1919 წლის 19 დეკემბერს სამხედრო მინისტრს (წერილი №639), რათა ისინი თავიანთი კომპენსიციის ფარგლებში დახმარებოდნენ მუზეუმს მასთან არსებული ბიბლიოთეკის განვითარებაში. სამხედრო მინისტრისადმი წერილში ნოე ყიფიანი ითხოვს, რომ ახალ ბინაში გადასვლამდე მუზეუმის წიგნსაცავისთვის სათანადო შენობა გამოიყოს: „საქართველოს მუზეუმთან არსებული უძვირფასები წიგნსაცავი, სადაც ოდიოთგანვე თავს იყრიდა საქართველოს და მისი მოსაზღვრე ქვეყნების შესახებ არსებული თხზულებანი, მუზეუმის ძველი შენობის სივიწროვისა გამო უკვე რვა წელია ყუთებშია ჩალაგებული და მიუწვდომელია როგორც ამა თუ იმ დარგის სპეციალისტებისთვის, ასევე რიგოთი მკიონებისთვის.“

საქართველოს მუზეუმი იმედოვნებს, რომ მუზეუმის ახალი შენობის დასრულებამდე ოქვენ არ ინებებო სენებული წიგნთსაცავის ასეთ მდგომარეობაში დატოვებას, რადგან მაგნე პარაზიტი მწერები ახლავე საგრძნობლად აზიანებენ მას, რამაც შეიძლება მთლად გაანადგუროს იგი. უმორჩილესად გთხოვთ გასცეო სათანადო განკარგულება,

რათა დაეთმოს მუზეუმის წიგნსაცავს ქვემოთ აღნიშნულ ბინათაგან ერთ-ერთი. მუზეუმს შესაცერის სადგომად მიაჩნია: 1. მეზობლად მდებარე ყოფილი საკომენდანტო მმართველობის ბინა; 2. ახალ შენობაში გადასვლის შემდეგ სამხედრო სამინისტროს ახლანდელი ბინა; 3. უკიდურეს შემთხვევაში ბარიატინსკის და ინჟინერის ქუჩებზე განთავსებულ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ ბინათაგან ერთ-ერთი“ [5].

საქართველოს მუზეუმის საბჭოს 1921 წლის პირველი სხდომის გადაწყვეტილებით მუზეუმის ბიბლიოთეკის შესაცერის შენობის მოძებნა გიორგი ჩუბინაშვილს მიანდეს. შეარჩიეს ყოფილი ქართული სათავადაზნაურო ბანკის შენობა, რომლის მუზეუმის საკუთრებაში გადმოსაცემად მოგვიანებით საბჭომ რევკომს მიმართა თხოვნით. ბიბლიოთეკისთვის კრედიტების გამოყოფის მიზნით გიორგი ჩუბინაშვილს აგრეთვე დაევალა ბიბლიოთეკის გახსნისთვის საჭირო, მთავრობისთვის წარსადგენი ხარჯთადრიცხვის შედგენა. ეს საკითხი დეტალურად განიხილეს საქართველოს მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს 1921 წლის 2 აპრილის სხდომაზე (ოქმი №2), რომელსაც თავმჯდომარეობდა ალ. ნათოშვილი, მდივნობდა ს. მაკალათია და ესწრებოდნენ: კ. კვამიძე, ალ. თვალჭრელიძე, ნ. ყიფიანი, გ. ჩუბინაშვილი, პ. შიშკინი, ივ. ჩხიგვიშვილი. სხდომაზე მოისმინეს რევკომის გადაწყვეტილებანი ყოფილი ქართული სათავადაზნაურო ბანკის შენობის მუზეუმისთვის გადაცემის საკითხთან დაკავშირებით [6, გვ.2]. მუზეუმის ბიბლიოთეკის ახალ შენობაში გადატანა და განთავსება მიანდეს ნოე ყიფიანს, ალექსანდრე თვალჭრელიძეს და გიორგი ჩუბინაშვილს კი დაევალათ მუზეუმისთვის გადაცემული ბანკის შენობის ყოველმხრივი დათვალიერება და იმის გარკვევა, თუ რა სახის სარემონტო ან სარეცონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება იყო საჭირო, რათა მასში ბიბლიოთეკასთან ერთად მუზეუმის სხვა რომელიმე განცოფილებაც განთავსებულიყო. თუმცა, როგორც საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქივში დაცული სამეცნიერო საბჭოს 24 აპრილის ოქმიდან ირკვევა „გავასიის რევოლუციური მუზეუმის ბანკის შენობაში მოთავსება ვერ მოხერხდა [...] ბ-ნ დირექტორ-

მა ზომების მიუღებლობის გამო, ბიბლიოთეკისათვის გადმოცემული შენობა დაკარგა“ [6].

პრესაში დიდი მხჯელობა გაიმართა იმის შესახებ, რომ კავკასიის მუზეუმთან არსებული კავკასიის სამეცნიერო ბიბლიოთეკისთვის (ყოფილი ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა) დაებრუნებინათ დამოუკიდებელი სახელმწიფო დაწესებულების სტატუსი და ეწოდებინათ “კავკასიის სახელმწიფო ბიბლიოთეკა”, ამასთან მიერთებინათ მისთვის სხვა დიდი წიგნსაცავები. ასეთი გადაწყვეტილება 1923 წელს მიიღეს. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ 1923 წლის 30 მაისს მიიღო დადგენილება (№98) ობილისში საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის დარსების შესახებ. აღნიშნული დაწესებულება უნდა დაქვემდებარებოდა საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატის სამეცნიერო დაწესებულებების მთავარ სამმართველოს. მისი საფუძველი უნდა გამხდარიყო საქართველოს მუზეუმთან არსებული საჯარო ბიბლიოთეკა, რომელსაც შეუერთდებოდა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ცენტრალური აკადემიური ბიბლიოთეკა. ამ თრი სოლიდური კულტურულ-საგანმნათლებლო კერის გაერთიანება იმ დროისთვის მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ამგვარად, 1846 წელს დაარსებული, „ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა“ ისევ დამოუკიდებელ დაწესებულებად იქცა. დღეს ამ ბიბლიოთეკას საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა ეწოდება და იგი, მრავალ სიბრძეთა და დაბრკოლებათა მიუხედავად, კვლავ რჩება ნამდვილ ოაზისად მათოვის, ვინც ცოდნას ეწაფება.


ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს ეროვნული ისტორიული არქივი. ფ. №1935. № 2. საქმე № 537. გვ. 19
2. საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქივი, 1916
3. საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქივი, 1917
4. საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქივი, 1919
5. საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქივი, 1920
6. საქართველოს მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს 1921 წ. სხდომის ოქმები//საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქივი, 1921
7. საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქივი, 1922
8. საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქივი: Поступкий список Н. М. Кипиани
9. საქართველოს მუზეუმის მოქმედების მოკლე ანგარიში (1919-1921) // საქართველოს მუზეუმის მოამბე. – 1920-1922. – ტფილისი, 1922. – ტ.1
10. Вейденбаум Г. И. Дневник №14, 29 дек. 1915 – 8 декабря 1917 рукопись // Национальный центр рукописей Грузии, фонд Вейденбаума
11. Витте С. Ю. Воспоминания. М. 1960. – Т. 1. – С. 43
12. ОР РГБ. Ф. 58. Воронцов-Дашков И. И. Кн. 1. Раздел I. К. 97. Ед. Хр. 11
13. Отчёт по Кавказскому музею и Тифлисской публичной библиотеке за 1913 год. – Тифлис: тип. канц. наместника, 1914. – С.36-37
14. Отчёт по Кавказскому музею за 1914 год. – Тифлис: тип. наместника на Кавказе, 1917. – С.1
15. Чубинашвили Г.Н. Введение// Я.И. Смирнов. Ахалгорийский клад: Посмертное издание.- Тифлис: Музей Грузии, 1934

ნიგნის ისტორია

ნინო ხველაძი

ალბრეხტ დიურერი - ქსილიგრაფიის დიდოსტატი



ავტოპორტრეტი. 1500 წელი

შასავლეთ ევროპული რენესანსის ცნობილმა მხატვარმა, ქსილიგრაფიის დიდოსტატად აღიარებულმა, ალბრეხტ დიურერ უმცროსმა (1471-1528) გრაფიურების ბეჭდვა რეალური ხელოვნების დონეზე აიყვანა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ევროპული ილუსტრირებული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში.

ალბრეხტ დიურერი დაიბადა ნიურნბერგში 1471 წლის 21 მაისს იუგელირის ოჯახში. მამამისი, ალბრეხტ დიურერ უფროსი, წარმოშობით უნგრეთის პატარა სოფელ – აიტოშიდან გახლდათ. მან თავისი გვარი აიტოში (Ajtósi), რაც „პარს“ ნიშნავს, გერმანულად გადათარგმნა (Türer), მოგვიანებით კი ფრანგულ ყაიდაზე გადაკეთა და დიურერი დაირქვა. იგი იუგელირის ხელობის დასაუფლებლად, საცხოვრებლად ქალაქში გადავიდა, მუშაობა დაიწყო ადგილობრივ თქრომჭედელთან – იერონიმ ჰოლპერთან, დაქორწინდა მის ქალიშვილ – ბარბარაზე და გახსნა საქელოსნო. ოჯახს თვრამეტი შვილი შევიდა, რომელთაგან ზრდასრულ ასაკს მიაღწიეს მხოლოდ ალბრეხტმა, პანსმა და ენდრექსმა.

შვილებს მამამ თქროსა და ვერცხლის ნაკეთობებზე მუშაობა შეასწავლა. იქვე მიიღეს ხატვის პირველი გაკვეთილებიც.

ალბრეხტი უფროსი შვილი გახლდათ. მან წარმატებულად შეისწავლა მამისეული ხელობა, თუმცა ამჯობინა ფერწერას გაჰყოლოდა. 1477 წელს, ის ლათინურ სკოლაში ჩაირიცხა. თოთხმეტი წლის ასაკში ალბრეხტმა დახატა მამის პორტრეტი, ამას მოჰყვა ავტოპორტრეტი წარწერით: „ეს მე თვითონ დავხატე საკუთარი თავი სარკეში, 1484 წელს, როდესაც ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, ალბრეხტ დიურერი“. ავტოპორტრეტის ხატვა დამწყები მხატვრისთვის დიდი იშვიათობა იყო. მანვე, ევროპელ მხატვებს შორის, პირველმა დაწერა ავტოპიოგრაფიაც.

ქსილოგრაფიული ხელოვნება და წიგნის მხატვრული გაფორმება ალბრეხტმა ახალგაზრდობიდანვე შეითვისა. ცნობილი ნიურნბერგელი მესტამბე ანტონ კოპერგერი მისი ნათლია გახლდათ. ნიჭიერი ყმაწვილი სწორად მის სახელოსნოში დაეუფლა გრავირების ტექნიკას.

1486 წლის 30 ნოემბერს, მამამ კონტრაქ-

ტის საფუძველზე სასწავლებლად სამი წლით მიაბარა ნიურნბერგის მხატვრებს შორის სახელგანოქმულ მიხაელ ვოლგემუტს (1434-1519). ის გახლდათ ქალაქში ყველაზე დიდი სახელოსნოს მცლობელი, რომელიც ასრულებდა უმრავ შეკვეთას, როგორც ნიურნბერგის, ისე მოსაზღვრე ქალაქებისათვის. ყმაწვილი სახელოსნოში დაეუფლა არა მხოლოდ ფერწერას, არამედ, ხეხე გრავირების ხელოვნებასაც. 1490-იან წლებში დიურერმა დაბეჭდა მთელი რიგი შესანიშნავი ქსილოგრავიურები. იგი მონაწილეობდა ილუსტრაციების ბეჭდვაში, რომლითაც გააფორმეს 1493 წელს გამოცემული „ქრონიკები“. დიურერმა მოამზადა მრავალი წიგნის ილუსტრაცია, მათ შორის იყო ცნობილი პუმანისტის, სებასტიან ბრანტის პოემა „ბრიუკო გემი“, რომლის პირველი გამოცემა დაიბეჭდა 1494 წელს. დიურერს ეკუთვნის ამ წიგნის 75 გრავიურა.

შემოქმედებითი მოღვაწეობის დასაწყისში ალბრეხტი დაუკავშირდა პროგრესულ გერმანულ ინტელიგენციას, გაეცნო ბიურგერებისა და ეკრაპის რეფორმისტულ ლიტერატურას. დიურერებს გარკვეული პერიოდის განმავლობაში იურისტისა და დიპლომატის იოანე პირკეიმერის სახლის ნახვარი პქონ-


დათ ნაქირავები. ალბრეხტი ბავშვობიდან მეგობრობდა იოანის ვაჟთან - ვილიბალდთან. მისი მზრუნველობის შედეგად მომავალი მხატვარი შეუერთდა ნიურნბერგის პუმანიტარულ წრეს.

ევროპული სახელოსნოების წესის თანახმად, ოსტატის წოდების მოსაპოვებლად ალბრეხტს, როგორც დამწყებ მხატვარს, უნდა ემოგზაურა მეზობელ ქვენებში, რათა გასცნობოდა მათ ხელოვნებას და ხატვის ტექნიკას. ეს აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. მხატვრის ცოდნის ხარისხს სპეციალური დიპლომი ადასტურებდა. ახალგაზრდა შეგირდები სამოგზაუროდ გაზაფხულზე მიღიოდნენ. ასე მოიქცა დიურერიც, სწავლის დამთავრების შემდეგ, 1491 წლის აპრილში ნიურნბერგიდან გაემგზავრა.

მოგზაურობის წლები ერთ-ერთი ყველაზე ნათელი პერიოდი იყო მხატვრის ბიოგრაფიაში. მან დიდი როლი ითამაშა, არა მარტო მხატვრის პროფესიონალიზმის, არამედ მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. დიურერმა იმოგზაურა გერმანიის, შვეიცარიის, საფრანგეთისა და ნიდერლანდის ქალაქებში. მისი ზუსტი მარშრუტი უცნობია, თუმცა წყაროებიდან ირკვევა, რომ ახალგაზრდა მხატვარს შეაგვიანდა კალმარში ცნობილ მხატვარ და გრავიორ მარტინ შონგაუერთან (1435-1491) ჩასვლა. ის გარდაიცვალა და დიურერმა მისი გაცნობაც კი ვერ მოასწრო. ალბრეხტს უმასპინძლებს გარდაცვლილის ძმებმა - კასპარმა, პოლმა და ლუდვიგმა. მას მხატვრის სახელოსნოში მუშაობის შესაძლებლობა მიეცა. შონგაუერის ნამუშევრებმა დიდ გავლენა მოახდინა მომავალ გრავიორზე. ლუდვიგის დახმარებით მან შეისწავლა სპილენძიზე გრავიორების ტექნიკა.

მოგვიანებით, დიურერი გაემგზავრა ბაზელში. ეს ქალაქი იმ დროისათვის წიგნის ბეჭდვის მსხვილ ცენტრს წარმოადგენდა. იქ ალბრეხტს შონგაუერების მეოთხე ძმა - მარტინი დახვდა. ბაზელში გამოცემული წიგნების ილუსტრაციები ახალი, უჩვეულო სტილით იძებელი დოკუმენტით. ხელოვნების ისტორიკოსებმა ამ ილუსტრაციების ავტორს „ბერგამის სტამბის ოსტატი შეარქეს“. 1492 წელს ადმოჩენილ საგრავიურე დაფებზე, რომლითაც „წმინდა იერონიმეს წერილების“ სატიტულე ფურცელი დაიბეჭდა, უკანა მხარეს ამოტვიფრული პქონდა „ალბრეხტ დიურერი ნიურნბერგიდან“ და იქვე: „ბერგამის სტამბის ოსტატი“. ბაზელში დიურერი მუშაობდა პუბლიუს ტერენციუსის კომედიების ილუსტრაციებზე.

1494 წლის შემოდგომაზე ალბრეხტი იტალიაში გაემგზავრა. ამ დროის ნამუშევრებში




აპოკალიფსი. 1498.
პირველი გამოცემის ფრონტისასი.

გამოჩნდა იტალიური მხატვრობის გავლენა. ნიდერლანდების ხელოვნებასთან შეხებაც კეთილად აღიძეს და მის შემოქმედებაზე.

ოთხი წლის მოგზაურობის შემდეგ, ის მამისეულ სახლში დაბრუნდა. ოსტატის უფლების მოსამოვებლად აუცილებელი პირობა გახლდათ დაქორწინებაც. შეგირდებისა და მოსწავლეებს სახლში მისაღებად მხატვარს უნდა ჰყოლოდა მეუღლე-დიისასახლისი. ახალგაზრდა მხატვარი ჩამოსვლისთანავე დაქორწინდა მამამისის მეგობრის, გავლენიანი ბიურგერის, ქალაქის დიდი საბჭოს წევრის, მექანიკოსისა და მუსიკოსის - პანს ფრეის ქალიშვილ აგნესზე. ქორწინებამ აამაღლა დიურერის სოციალური სტატუსი და მისცა საქუთარი ბიზნესის წამოწყების შესაძლებლობა, ოუმცა, მხატვრის ოჯახური ცხოვრება წარუმატებელი აღმოჩნდა. მისი შემორჩენილი წერილები ადასტურებენ, რომ წევილს დაბაბული ურთიერთობა ჰქონდა, მათი ქორწინება უშვილო აღმოჩნდა.

1495 წელს, მხატვარმა გახსნა საქუთარი სახელოსნო, დაიწყო ილუსტრაციების დამზადება სპილენძების გრავირების მეთოდით და მომდევნო ათი წლის განმავლობაში შექმნა გრავიურების მნიშვნელოვანი ნაწილი. მხატვარი თანამშრომლობდა ისეთ გამოჩენილ ოსტატებთან, როგორებიც იყვნენ: პანს ლეონ-გრად შაუფელინი, პანს ფონ კულმბახი და პანს ბალდუინგ გრინი. ის ნამუშევრებს ქმნიდა ანგონ კობერგერის, იერონიმ გროცელის, ულრიხ პინდაურის გამოცემებისათვის.

1498 წელს კობერგერმა გამოაქვეყნა „აპოკალიპსი“ ანუ „იოანე ლვიოსმეტველის გამოცხადება“. ასეთი წიგნი პირველი იყო პოლიგრაფიის ისტორიაში. ერთი შეხედვით, ის მოიცავდა სტამბური გრავიურების სერიას. სერიულ გამოცემად კი მას აქცევდა საერთო სატიტულე ფურცელი და უკანა მხარეს განთავსებული ტექსტი. „აპოკალიპსი“ გამოვიდა ორ გამოცემად - გერმანულ და ლათინურ ენებზე. 1511 წელს, კი იგი ოვენტან დაიძეს ამ წიგნის ილუსტრირებისათვის დიურერმა შეასრულა თხუთმეტი მთლიანფურცლიანი ქსილოგრაფია. მისი ქმნილებებიდან ყველაზე მნიშვნელოვან ნამუშევრად სწორედ „აპოკალიპსი“ ითვლება, რომელმაც მას საქვეყნო აღიარება მოუტანა. სერია ბოლო უმის ესქატოლოგიური განცდების განსახიერებაა, რომელიც წარმატებით აერთიანებს გვიანი გოთიკური მხატვრული ენისა და იტალიური რენესანსის სტილის. მისი პირველი ასლები გაჩნდა ჯერ კიდევ მეოქვემდებარებულ შექმნაში: 1502 წელს მოელი სერია მონოგრამების გარეშე გამოვიდა აუგსბურგში. მოგვიანებით,



აპოკალიპსი. 1511.

მეორე გამოცემის ფრონტისპინი.

მათი რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. დიურერის ნამუშევრების გავლენით, ბევრმა გერმანელმა ოსტატმა მიმართა ქსილოგრაფიის ტექნიკას.

კობერგერის სტამბაში 1500 წელს დაიძეს „წმინდა ბრიგიტის ვნებანი“, რომლისთვისაც დიურერმა ოცდაათი გრავიურა შექმნა. მათი ნაწილი მთლიანფურცლიანი ცალკეული გრავიურა გახლდათ, დანარჩენი კი ტექსტში ორგანულად იყო ჩართული. მან დაამზადა გრავიურები კონრად ცელტისისა და პროსპით განდერსაჟამელის ლექსებისა და კომედიების კრებულებისათვის, რომელიც 1501 წელს გამოიცა. მისივე „სიყვარულის ოთხი წიგნი“ გამოქვეყნდა 1502 წელს.

დიურერი სწავლის ხარვეზებს ივებდა წიგნების კითხვით თავისი მეგობრის პიკჟიმერის ბიბლიოთეკიდან. მისი არაჩვეულებრივი კოლექციიდან მხატვარმა თოთხმეტი წიგნი შეამკო თავისი ნახატებით. ესენი გახლდათ ლუკიან სამოსატელის, თუკიდიდეს, ოეოფრასტეს, არისტოფანესა და არისტოგელეს შრომები. ეჭვგარეშეა, რომ უმველესი ავტორების ნამუშევრებონ შეხებამ, მხატვარს საშუალება მისცა შექმნა ახალი სიუმტები.



აპოკალიფსი. გამოცემის მეორე გრაფიურა
„შეიდი ოქროს სახანთლის გამოცხადება“

1505 წელს დიურერი გაემგზავრა ვენეციაში, სადაც გაეცნო აღორძინების ეპოქის მხატვრებსა და მათ ქმნილებებს. მეგობრისათვის მოწერილი წერილებიდან ირკვევა, რომ ის საუკეთესო მხატვრად თვლილი ჯოვანი ბელინის, რომლის ნამუშევრებმაც მასზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. მათ თბილი და მეგობრული ურთიერთობა ჩამოჟყალიბდათ. ვენეციაში დიურერის ხელოვნება მნიშვნელოვნად დააფასეს და მას დარჩენა შესთავაზეს 200 დუკატის წლიური ანაზღაურებით. იტალია დიურერმა 1507 წელს დატოვა, რითოც, ის უდავოდ არ იყო კმაყოფილი. ერთ-ერთ ბოლო ვენეციურ წერილში მხატვარი აღნიშნავდა: „აქ [ვენეციაში] მე ბატონი ვარ, სახლში კი - პარაზიტი“. დიურერის ბიოგრაფები ამ სიტყვებს სხვადასხვანაირად ხსნიდნენ: ზოგი ფიქრობდა, რომ ის იტალიასა და მის მშობლიურ ნიურნბერგში მხატვრის განსხვავებულ სტატუსს გულისხმობდა, სხვები კი დიურერის მოსაზრებაში მის დაძაბულ თჯახურ ურთიერთობას ხედავდნენ.

ასე იყო, თუ ისე, ალბრეხტ დიურერის ცხოვრება მჭიდროდ იყო დაკავშირებული მშობლიური ქალაქის კულტურასთან. ის ხშირად მოგზაურობდა უცხო ქვეყნებში, რომ-

ლებსაც შემდეგ აღტაცებით იხსენებდა, მაგრამ ყველაზე მაცდური შემოთავაზებაც კი ვერ აიძულებდა დაეტოვებინა მშობლიური ქალაქი. 1509 წელს დიურერი ნიურნბერგის დიდი საბჭოს წევრად აირჩიეს. მიუხედავად მისი წარმატებებისა, მხატვარს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ ის ვერ შეცვლიდა მხატვრისადმი დამკვეთის დამოკიდებულებას და გერმანიაში დამკვიდრებულ ტრადიციას, რომლის თანახმადაც ფერმწერი შემოქმედი კი არა, ხელოსანი იყო.

დიურერმა მთელი თავისი უერადღება და ძალისხმევა მიმართა საგრავიურო ხელოვნების დახვეწისაკენ და უმაღლეს ოსტატობასაც მიაღწია. ქსილოგრაფიულმა ნამუშევრებმა მას, როგორც ხელოვანს ადიარება მოუტანეს. ნაბეჭდი გრაფიკა გახდა მისი ფინანსური პრობლემების გადაწყვეტის საშუალებაც. მადალი ხარისხის გრავიურების შექმნაში დიურერი მატერიალური კეთილდღეობის თვალსაზრისითაც უფრო საიმედო გზას ხედავდა. ვენეციაში მოგზაურობამდეც კი, დიურერის ძირითად შემოსავალს გრავიურების გაყიდვით შემოსული თანხა წარმოადგენდა. მათი რეალიზაციით, ნიურნბერგის, აუგსბურგისა და ფრანკფურტის ბაზრობაზე, მხატვრის დედა და მეუღლე იყვნენ დაკავებულნი. სხვა ქალაქებსა და ქვეყნებში, გრავიურები იგზავნებოდა სავაჭრო საქონელთან ერთად.

ამასთანავე გრავირებისას მხატვარი არ იყო დამოკიდებული დამკვეთის მოთხოვნებზე, ის არ იყო შეზღუდული და არ შემოიფარგლებოდა კონკრეტული თემატიკით, არამედ შეეძლო თავისუფლად განეხორციელებინა საკუთარი ჩანაფიქრი. ტრადიციული და ანტიკური სიუჟეტების გარდა, იგი ქმნიდა ყოველდღიური ყოფის ამსახველ სცენებს. ფერწერისაგან განსხვავებით, გრაფიკულ ნამუშევრებში გაჩნდა ახალი ქანრის გრავიურები. მხატვრისთვის ის იყო არ მხოლოდ დამოუკიდებელი გამომსახველობითი ხელოვნების ნაწარმის ტირაჟირების, არამედ წიგნების ილუსტრირებისა და გავრცელების საშუალება.

1507-1512 წლებში დიურერი ქმნიდა გასაყიდად განკუთვნილ მრავალრიცხვან შემკვეთებს, მათ შორის მთელ რიგ რელიგიური თემატიკის სერიულ გრავიურებს - „წმინდა მარიამის ცხოვრება“, „დიდი გატაცება“, „მცირე ვნებანი“ და სხვა. 1515-1518 წლების განმავლობაში, მხატვარი მუშაობდა იმ დროისათვის ახალ ტექნიკაზე - ოფორტზე. მაშინ, ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი მუვა, რომელიც სპილენძის დასამუშავებლად გამოდგებოდა. ამის გამო, დიურერი საგრავიუროდ რკინის

ფირფიტებს იყენებდა. ცოტა უფრო ადრე, 1512 წელს, მან „მშრალი ნემისი“ ტექნიკით შეასრულა სამი ნამუშევარი, მაგრამ შემდგომში ამ მეთოდისათვის ადარ მიუმართავს.

ალბრეხტ დიურერმა მდიდარი გრაფიკული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მან შექმნა 374 ქსილოგრაფიურა და 105 სპილენძები შესრულებული გრაფიურა. ის იყო პირველი გრაფმანელი მხატვრი, რომელიც ერთდროულად მუშაობდა ორივე ტიპის - ხისა და სპილენძის საგრავიურო დაფებზე. ქსილოგრაფიების საგანგებო გამომსახველობას მან მიიღწია ტრადიციული ტექნიკური მეთოდების რეფორმირების შედეგად. დიურერამდე ქსილოგრაფიაში დომინირებდა კონტურული გრაფიკა, რომელიც გამოსახავდა საგნების ფორმებს, სიცესა და ჩრდილებს. ეს მიიღწეოდა სხვადასხვაგვარი შტრიხების საშუალებით და ართულებდა ამოჭრელი ოსტატის საქმეს. დიურერს შესაძლებლობა ჰქონდა დაექირავებინა ნიუნბერგის საუკეთესო ოსტატები, მაგრამ მკვლევართა მოსახრებით, გრავიურების უმეტესობას ის საკუთარი ხელით ქმნიდა. ლითონის ფირფიტაზე შესრულებული გრაფიურის შედეგრად ითვლება „ადამი და ევა“ (1504). მასზე მუშაობისას მხატვარი იყენებდა აპოლონისა და ვენერას უძველესი ქანდაკებების ნახატებს. 1513-1514 წლებში მან შეიქმნა სამი გრაფიკული ნახატი. ეს შედევრები ხელოვნების ისტორიაში „ოსტატის გრავიურების“ სახელწოდებით შევიდნენ.


დიურერმა, როგორც ესტამპების მხატვარმა, ძლიერი ზეგავლენა მოახდინა მის თანამედროვე და ასევე, მომდევნო თაობის ოსტატებზე. მისი გრავიურების მოტივებს, სიუჟეტებსა და კომპოზიციურ აღმოჩენებს ფართოდ იყენებდნენ სხვა მხატვარები ჯერ კიდევ მისი სიცოცხლის განმავლობაში. დიურერის გრავიურები დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდნენ. მისი სახელოსნო დიდი რაოდენობის ესტამპს გამოსცემდა.

ესტამპი მხატვრის მიერ შესრულებული საბეჭდი ფორმიდან მიღებული ორიგინალური მხატვრული გამოსახულების ანაბეჭდს წარმოადგენდა. მისი შექმნის შემთხვევაში მხატვრის შემოქმედებითი ჩანაფიქრი დედანში არ მთავრდებოდა. ის გრძელდებოდა, როგორც ფორმის დამზადებისას, ისე შემდეგ, თვით ბეჭდვის პროცესში. მისი ყველა ეგზემპლარი მხატვრის მიერ უნდა ყოფილიყო ხელმოწერილი. ტირაჟი არ აღემატებოდა რამდენიმე ასეულს. გრავიურის სარისხი დამოკიდებული იყო არა მარტო საგრავიურო დაფაზე გაპეტებული ნაჭდევების, არამედ ქაღალ-

დისა და სადებავის სარისხეზე და ბეჭდვის სიზუსტეზე. ალბრეხტი, როგორც წესი, ამობეჭდავდა რა სასინჯ ეგზემპლარს, საგრავიურო დაფაზე შეპქონდა შესწორებები, კვლავ რამდენჯერმე აკეთებდა ამონაბეჭდს, ვიდრე სრულყოფილებამდე არ მიიყვანდა გრავიურას. ეს „ცელილებები“ კარგად მოჩანდა სპილენძის დაფიდან გაკეთებულ ამონაბეჭდზე. ქსილოგრავიურაზე კი ეს ადვილი შესამჩნევი არ იყო, რადგან ხის დაფა მკვეთრი ცვლილებებისა და გადაკეთების საშუალებას არ იძლეოდა. საბოლოო მდგომარეობაში მიყვანილი დაფიდან დიურერი საუკეთესო ქადალდზე კვლავ სასინჯ ამონაბეჭდს აკეთებდა ტექსტის გარეშე. რაღა თქმა უნდა, ის არ იყიდებოდა და იშვიათობას წარმოადგენდა.

დიურერს ხელში ჩაუვარდა საკუთარი ნამუშევრის ერთ-ერთი გაყალბებული ასლი და იძულებული გახდა დახმარებისათვის ნიურნბერგის საქალაქო საბჭოსათვის მიემართა. 1512 წლის 3 იანვარს, მხატვარმა მიიღო საკუთარი ნამუშევრების გამოცემის პრივილეგია. მისი გრავიურების გამყალბებელს სასჯელი დაემუქრა.

გრავიურები - „რაინდი, სიკვდილი და ეშმაკი“, „წმინდა იერონიმე კელიაში“ და „მელანქოლია“ დღემდე აოცებს ხელოვნებათმცოდნების გარემონირების სამართლებრივი მინისტრის მიერ გადასახლების გამოცემის პრივილეგია. მისი გრავიურების გამყალბებელს სასჯელი დაემუქრა.



აპოკალიპსი. მეათე თავის ილუსტრაცია „იოანე ჭამს წიგნს“.

ნეებს. 1525 წელს დაწყებულ ომში სახალხო მოძრაობამ პიკს მიაღწია. დიურერი ინტერესს იჩენდა რეფორმაციის რადიკალური იდეების მიმართ. მან გამოსაცემად მოამზადა პირველი ტრაქტატი – „განზომილების სახელმძღვანელო“. ზაფხულში კი წარმატებულად მოამზადა ახალი გრავიურები ტრაქტატისათვის „გლეხებზე გამარჯვების ძეგლი“. დიურერი მუშაობდა პროპორციებზე, რომელიც 1523 წლისთვის უკვე დასრულებული ჰქონდა, თუმცა, მისი გამოქვეყნება ბოლო მომენტში გადადო. მან საჭიროდ ჩათვალდა ჯერ გამოეცა გეომეტრიის სახელმძღვანელო, რადგან ფრთხილობდა, რომ ასეთი წიგნის გარეშე მისი „პროპორციის თეორია“ გაუგებარი იქნებოდა გერმანელი მხატვრებისათვის. დიურერმა სიცოცხლის ბოლოს შექმნა დასავლეთ ევროპის ხელოვნების ისტორიაში ერთ-ერთი პირველი აგზობითგრაფიული ნაშრომი „საოჯახო ქრონიკა“.

XVI საუკუნის პირველ წლებში მხატვარი დაკავებული იყო წიგნის ნიშნების შექმნით. სულ ცნობილია მისი ოცი საავტორო ექსლიბრისი, რომელთაგან ცამეტი მათგანი უკვე დამზადებულია, შვიდის კი ესკიზია შემონახული. პირველი ექსლიბრისი თავისი მეგობრის, ვილიბალდისათვის იყო განკუთვნილი. მისი ესკიზი ინახება ვარშავის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ცნობილი გახდა, მეორე ტირაჟი ტირაჟირებული ექსლიბრისი, რომელიც პიკტეომერისათვის მომზადდა - პერალდიკური ემბლემა დევიზით „ჩემოვის და მეგობრებისთვის“. ამ დევიზს შემდგომში მრავალი ბიბლიოფილი იყენებდა. წიგნის საკუთარი

ნიშანი, რომელზეც დიურერის საგვარეულო გერბია გამოსახული, მხატვარმა 1525 წელს შექმნა.

დიურერის მიერ დამზადებულ თითოეულ გრავიურაზე დატანილი იყო მისი ცნობილი მონოგრამა - ინიციალების ლათინური „D“ და „C“ ასოების შეთანხმება. ის გახლდათ პირველი მხატვარი, რომელმაც შექმნა და იყენებდა თავის გერბსა და მონოგრამას.

დიურერი თავის თავს „უმცროსს“ უწოდებდა, რადგან პატივს სცემდა მამის ხელოვნებას. თვითონ, კი ნამდვილად დიდი მხატვრი გახლდათ. მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული, ქსილოგრაფიის დიდოსტატის სიკვდილის შემდეგ, განსაკუთრებით XVI-XVII საუკუნეებში, წიგნის ბაზრობებზე ჩნდებოდა ახალ-ახალი ამონაბეჭდები დიურერის მიერ დამზადებული საგრავიურო დაცებიდან, მაგრამ თანდათანობით ისინი გაცვდა და დაზიანდა. ასეთი საგრავიურო დაცებიდან შეუძლებელი ხდებოდა მაღალი ხარისხის ამონაბეჭდების გაკეთება. XVIII საუკუნეში დიურერის მხოლოდ ერთეულ გრავიურებს ბეჭდავდნენ შემთხვევით შემორჩენილი დაციდან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Немировский Е. Л. Шедевры мирового полиграфического искусства. – Ч. 1. – М.: 1990. – Ст. 65-72. 2. История книги. – М.; Л., 1926., Ст. 35.
3. Щелкунов М. И. История, техника, искусство книгопечатания. . – М.; Л., 1926., Ст. 73-75

ფილოლოგიური ძიებანი

მაის მიწაბეჭიდი




ტერანტი გრანელის უცნობი ლექსები

ტერენტი გრანელის, მე-20 საუკუნის და-საწყისის ქართული ლიტერატურის ბრწყინვალე წარმომადგენლის პოეზიას ჩვენს საზოგადოებაში დღეს მრავალი თაყვანის მცემელი ჰყავს. რეალური ცხოვრების თავისებური მსოფლადქმა და გრძნობათა გადმოცემის ყველასაგან განსხვავებული პოეტური ენა ტერენტი გრანელს გამოარჩევს თავის თანამედროვეთაგან.

ტ. გრანელის ცხოვრებასა და შემოქმედებას მრავალი ლიტერატურულ - კრიტიკული ნაშრომი მიემდვნა. შესწავლილი და დამუშავებულია პოეტის პირადი არქივი, დაცულია რამდენიმე დისერტაცია, შექმნილია მხატვრულ-დღიუმენტური ოხულებები, გამოცემულია მისი ლექსების კრებულები. თითქოს ყველაფერი ცნობილია და ამ ფონზე, მართლაც, მოულოდნელი იყო, რომ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში აღმოჩნდებოდა ტერენტი გრანე-

ლის ლექსების ისეთი კრებული, რომელიც პოეტის შემოქმედებითი ბიოგრაფიის უცნობ ფურცელს გადაგვიშლიდა. საუბარი ეხება ტერენტი გრანელის ლექსების მცირე წიგნას - ოფურცლოვან გამოცემას, რომლის პირველ სამ გვერდზე დაბეჭდილია ლექსები სათაურით „ტიციან ტაბიძე“, „Pigment“ და „შავი სარკეში (ძღვნად ო. ჩიქოვანს)“. ლექსების ბოლოს მიწერილია ავტორის ვინაობა და ლექსების შექმნის თარიღი - ტ. ტალენჯის ენაში დარღვეული 1919. ტექსტი დაბეჭდილია სქელ, მუქი ფერის ქადალდზე. სამივე გვერდზე, ლექსების ბოლოს მარტივი ორნამენტი აქვს დართული. ბოლო, მეოთხე გვერდი კანის ფუნქციას ასრულებს, სადაც დაბეჭდილია ფასი - 3 მანეთი.

იმის გამო, რომ ნაბეჭდ ერთეულს არ ჰქონდა სატიტულო გვერდი, სადაც მითითებული იქნებოდა გამოცემის სათაური, დაბეჭდილის თარიღი და სხვა სახის ცნობები, თავდაპირ-



ველად მივიჩნიეთ ტერენტი გრანელის რომელიმე სხვა გამოცემის ნაწილად.

ტერენტი გრანელის ბიოგრაფიისა და შემოქმედების მკვლევართა (ლ. ალიმორნაკი, გ. ცეიტიშვილი, ლ. სორდია, ე. უბილავა და სხვ.) ნაშრომებიდან ცნობილია, რომ ტერენტი გრანელმა თავის სიცოცხლეში გამოსცა ხუთი პოეტური კრებული: „პანაშვიდები“ გობრონ აგარელთან ერთად (1920 წ.), „სამგლოვიარო ხაზები“ (1921 წ.), „სულიდან საფლავები“ (1922 წ.), „მემენტო მორი“ (1924 წ.) და „ლექსები“ (1926 წ.). არცერთ ცნობილ წყაროში არ არის ინფორმაცია სხვა, რომელიმე კონკრეტული გამოცემის შესახებ. წვენ გადავამოწმეთ ხუთივე გამოცემა და აღმოჩნდა, რომ დასახელებულ ნაბეჭდ ერთეულს არცერთ ამ კრებულთან კავშირი არ აქვს. ჯერ ერთი, ოუნდაც იმიტომ, რომ ეს კრებულები დასრულებული გამოცემებია და არ აკლიათ გვერდები. ამავე დროს, ისინი დაბეჭდილია ერთმანეთისაგან განსხვავებულ ქადალდის ფაქტურაზე. დიდი სხვაობაა გამოცემებში ზომის თვალსაზრისითაც.

განჩნდა იმის ეჭვიც, რომ ეს ლექსები ასევე რომელიმე პერიოდულ გამოცემაში დაბეჭდილი ფურცლების ფრაგმენტები შეიძლება ყოფილიყო. ამ მიმართულებით მუშაობამაც ვერ მოიტანა შედეგი. მოვიძიეთ ტერენტი გრანელის მიერ გამოცემული გაზეთი „ია“ და უერნალი „კრონოსის სარკე“, ასევე ყველა ის პერიოდული გამოცემა, სადაც იძებეჭდოდა პოეტის ლექსები, მაგრამ დასახელებულ ეგზემპლარს არცერთ მათგანთან არ აღმოაჩნდა რაიმე საერთო.

აშკარაა, რომ ეს არის დამოუკიდებელი გამოცემა. აქედან გამომდინარე, ვყიქრობთ, შეიძლება ერთი დასკვნის გამოტანა - ტერენტი გრანელის სიცოცხლეში დაიბეჭდა არა ხუთი, არამედ ექვსი გამოცემა. ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული გამოცემა პოეტის დღემდე ცნობილ წიგნებს შორის ყველაზე ადრეულია (თუ პირველი არა). ამ პერიოდისათვის მძიმე ეკონომიკური მდგრამარეობისა და ქადალდის დაფიციტის პირობებში, პოეტს ასეთი, ორფურცლოვანი გამოცემების ბეჭდვა უფრო გაუადვილდებოდა. ასევე, სავარაუდო, მას შეიძლება კიდევ პერნოდა მსგავსი ტიპის გამოცემა (ან გამოცემები).

ჩვენი ძიების მეორე ეტაპი თვით ლექსების იდენტიფიცირება იყო. ლექსები „ტიციან ტაბიებს“, „Pigment“ და „შავი სარკეში (ო. ჩიქოვანს)“ არ აღმოჩნდა არათუ ტერენტი გრანელის სიცოცხლისდროინდელ ზემოთ ნახსენებ ხუთ გამოცემაში, არამედ, მისი გარდაცვალებიდან დღემდე დაბეჭდილ პო-

ეტის სხვადასხვა კრებულში. ასევე ვერ მივაკვლიეთ ამ ლექსებს პერიოდულ გამოცემებშიც. ადსანიშნავია, რომ არსებობს ტიციან ტაბიისადმი მიძღვნილი ტ. გრანელის ლექსები სათაურით „მთაწმინდა - ტიციან ტაბიებს“ („როგორც ლაპარ ისე ვარ“), მაგრამ ეს სხვა პოეტური ქმნილებაა და არაფერი აკავშირებს დასახელებულ ლექსთან.

როგორც აღნიშნეთ, ლექსებზე მიწერილია შექმნის თარიღი (1919 წ.) და პოეტის ფსევდონიმი - ტ. წალენჯიხელი. მართლაც, ლიტერატურის ისტორიაში დადასტურებულია, რომ ამ ფსევდონიმით იგი სარგებლობდა 10-იანი წლების ბოლოს, ხოლო გრანელის ფსევდონიმით 20-იანი წლებიდან იძეჭდებოდა. ამას გარდა, მოძიებული ლექსების ფორმა და განწყობა პოეტის შემოქმედების ადრეულ ეტაპზე მიუთითებს. როგორც ცნობილია, იგი აღფრთვანებული იყო სიმბოლისტების გამოჩენით პოეტურ ასპარეზზე და ეს დამოკიდებულება კარგად ჩანს ტიციან ტაბიებისადმი მიძღვნილ ლექსში, სადაც ასევე მოიხსენიებს პაოლო იაშვილსაც. ამავე დროს, ამ ლექსებში შედარებით ნაკლებადა უიმედობისა და ტრაგიულობის განცდები, როთაც გაჯერებულია ტერენტი გრანელის 20-იანი წლების პერიოდის პოეზია. აღსანიშნავია, რომ სამივე ლექსის ზოგიერთი სიტყვა მუქად არის დაბეჭდილი. მნელი სათქმელია, ეს მხოლოს ბეჭდვის დროს დაშვებული ტექნიკური წუნია თუ ავტორის მიერ მოცემული კოდი. თუ ეს უკანასკნელი ვარაუდი სწორია, მკვლევარებს წინ საინტერესო სამუშაო ელით პოეტის მიერ დაშიფრული აზრის ამოსახსნელად.

ტერენტი გრანელის დასახელებული გამოცემა, რომელშიც დაბეჭდილია პოეტის ადრეული პერიოდის ლექსები, ეროვნულ ბიბლიოთეკას ბუკინისტური მაღაზიებიდან ან კერძო პირიდან შეუძენია 1971 წელს 10 მანეთად. ეს ეგზემპლარი უკვე 46 წელია ინახება ეროვნული ბიბლიოთეკის „საქართველოში ნაბეჭდი და ელექტრონული გამოცემების საარქივო ფონდის განყოფილებაში“ (შიფრით - F 2.851/1), ხოლო მისი ბიბლიოგრაფიული აღწერილობა ჩართულია ბიბლიოთეკის ბარათოვან და ელექტრონულ კატალოგებში. მიუხედავად მისია, რატომდაც, გამოცემაცა და ლექსებიც დიდი ხნის განმავლობაში დარჩა სახოგადოების ყურადღების მიღმა. დღეს ტერენტი გრანელის უკვე ცნობილ ლექსებოთ ერთად შეგვიძლია გავეცნოთ მის „ახალ“ და ქრონოლოგიურად ერთ-ერთ ძველ ლექსებსაც, რომლებიც, იმედია, აღარ „დაიხაგრებიან“ და მისი პოეზიის ახალი კრებულებული დაიმკვიდრებენ თავიანთ კუთვნილ ადგილს.

ტიციან ტაბიძეს

შენ ჩამორეკე სიძნელეში ბროდის ზარები.
თაბორის მთაზე აიგანე ჯვარი წამების.
და უარყავი მოფერება სუსტი კალმების.
სელოვნებაში თვით სიკვდილიც არ გეხარება.

შენი ლექსები დაბალ მგოსნებს არ ეპარება.
ვინ რას დაგაკლებს ამაყ რაინდ გათამამებულს.
დღეს უხარის თვით პაოლოს შენებრ წამებულს,
რომ გამოსჭედე პოეზიის რკინის კარები.

გარს გახვევია ბუმბერაი ძველი მგოსნები
ოსკარ უაილდ გეზმანება თეორი რაშებით.
თიოქოს ბოდლერმაც შგთავაზა კრიალოსნები.

საქართველოში გაჯილდოებს ცხარე ტაშები.
შენი სახელი როგორც მგოსნის კარგად იციან.
დღეს გამარჯვებულს გესალმები ჩემო ტიციან.

Pigment

ლურჯი სარკეში ათამაშდა შენი სინაზე.
რაშიონ ჯირითი შეუყვარდა ავი ყაჩადებს.
სული ნაცნობი შენს გარშემო სხივებს აჩაღებს.
ცრემლით ატირდა მდუმარება ცივი რკინაზე.

სიცილს დაიწყებს ტყის ასული შენი ბინაზე.
შავი დემონი შეაგრვებს თუჯის მაორახებს.
მოქანცულ სხეულს მწუხარება ზანტად შეარჩევს.
და თავს ამოყოფს ყრუ სიკვდილი ფანჯრის მინაზე.

შავი ოცნება დროთა სვლაში ჩაიფერფლება.
და უარს იტყვის თეორი ვარდი განმეორებით.
ნერვებს აგიშლის ჭლექიანი წუმი ხველება.

დამის სიზმრები ჩაივლინ ნაზი ზმორებით.
ავადმყოფ სულით უდრან ტყეში გაიპარები.
და შენს წინაშე აიშლება სევდის ჯარები.


შავი ეკრანზე

(ძღვნად ო. ჩიქოვანე)

ფიქრთა გროვაში იფერფლება შენი სხეული.
მარად გემახის მუნჯ ცხოვრების ავი მაინდი.
მაგრამ გდარაჯობს უდარდელი ძველი რაინდი.
და არ გაშინებს უკუღმართი ბედი წყველი.
რუხი დღეები ხეტიალში გაანიავე.
გიყვარს ლოთობა ყრუ ქალაქში და ალავერდი.
ჰაერში დაქრის შენი სული როგორც ნიავი.
ციურ მზერაში გახალისებს მწვანე სავერდი.
შავი ცხოვრებამ ჩაგითრია ვეღარ დაგინდო.
როგორც ნაცნობი მოგესალმა ფიქრი სნეული.
აღარ გშორდება ავი ლანდი ვით ქუჩის კინტო.
დუელში გიწვევს მოთარეშე გედი გძნეული.

ნოდარ დუმბაძის ახალგაზრდობის აღზრდის შესახებ

ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებები ახალგაზრდობის სულიერ-ზნეობრივი აღზრდის პრობლემებს ეხება, ეხება იმ მორალურ კრიტერიუმების გამომუშავებას, რომელიც ადამიანს ბოლომდე გაჰყვება ხოლმე. ახალგაზრდობის აღზრდის საქმე „ყოველდღიური ზრუნვის, უმაღლეს დონეზე შესწავლის, სრულყოფის, გონიერების თვალით განვითარებისა და საყოველოაო საქმედ“ მიაჩნდა და განუწყვეტლივ ფიქრობდა მოზარდი თაობის ბედზე, დღევანდელობასა და მომავალზე.



მდგრადი
სახლის მუზეუმი

ახალგაზრდობის სულიერ-ზნეობრივი აღზრდა მხოლოდ მორალური სენტენციებით არ შეიძლება, საჭიროა მშობლების, უფროსების, აღმზრდელების დადებითი პირადი მაგალითი: „რადგან ხალხის სულიერი აღზრდა, სულის სისპერაციები და სიწმინდე ბევრად არის დამოკიდებული მწერლობაზე, ჩვენ, მწერლებს, არანაკლები ზრუნვა მოგვიწევს საქუთარი სულის სიწმინდისა და სრულყოფისათვის.“

მუდამ გვახსოვდეს“ ადამიანი ფრესკა არ არის, რომ ერთ სიბრტყეში უყურო, ადამიანს, როგორც ქანდაკებას, ისე უნდა შემოუარო გარშემო და იმ კუთხიდან უმზირო, რომლიდანაც ყველაზე ლამაზად იმზირება“. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ადამიანებთან ურთიერთობისას სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთ „გაცომუყვარების, გულისყურისა და მომინების გარეშე.“

ნოდარ დუმბაძის გმირები მასავით მიმტევებლები და კეთილები არიან. მწერალი ყოველ ადამიანში ცდილობს მონახოს დადებითი, ადამიანური და წარმოაჩინოს იმ კუთხით, საიდანაც ყველაზე ღირსეულად მოჩანს. მას არ სჯერა სულის უიმედო გახრწინისა და ქურდასა და კაცისმეგლელშიც კი ადამიანურ გრძნობებს დაეძებს. „შზიან დამეში“ მთავარი პერსონაჟი თემურაზ ბარამიძე, მიუხედავად თავსდამტყდარი არა ერთი უბედურებისა, სიკეთითა და სიყვარულით არის სავსე. დედის შეგონებების მიუხედავად, კაცს სიკეთეც უნდა ახსოვდეს და ბოროტებაცო, იგი ივიწყებს ამას და ნდობას უცხადებს კარის მეზობელს, შინსახომის მუშაკს აბიბო თოდრიას, რომელმაც ერთხელ კინაღამ დაღუპა მისი ოჯახი და მას ციხიდან გამოქვეული მეგობრის დახსნას სოხოვს, მაგრამ დახსნის ნაცვლად გასცემს და კვლავ ციხეში დააბრუნებინებს. თემოს შურისძიების გრძნობა შეიკურობს და აბიბოს მოკვლასაც კი ფიქრობს. ერთ დღესაც იგი სადარბაზოში მომაკვდავ აბიბოს გადაწყვდება:“ აბიბო იწვა ჩემს წინ და კვდებოდა კაცი, რომელმაც სულში ჩამაფურთხა, მიწასთან გამასწორა, გამწირა, და იმ კაცის სული ახლა ჩემ ხელში იყო.“ ამ უსუსურობის შემყურე თემურ ბარამიძეს აღარ ძალუმს შურისძიება- სასწრაფო გამოიძახა, წელი დააღვეინა, ფანჯრები გამოადო, თოახი გაანიავა. მთელი დამე უთია ავადმყოფს. სიძულვილი თანდათან შეცვალა თანაგრძნობამ და სიბრალულმა. აბიბომ ხელი დაუჭირა თემურს, კოცნა დაუწყო: „მაპატიე, ბიჭო, მაპატიე! ან მომკალი, რატომ არ მკლავ, ბიჭო?“

- მე მკვლელი არა ვარ, მია აბიბო! აბიბო მიყურებდა თავისი გამჭვირვალე ლურჯი თვალებით, რომლებშიც დღეს პირველად დავინახე რაღაც და ეს რაღაც ცრემლი იყო - აბიბო ტიროდა: - სინანული, ეს ყოველგვარი ანგარებისა და მანკიურებისაგან განმწმენდი

გრძნობა მოვიდა და ნაყოფად წმინდა ცრემლი მოიტანა - ცოდვილი ადამიანის სიკეთო-საკენ შემობრუნების ნიშნად.

ნოდარ დუმბაძის წიგნებში ცოცხალი სიყვარულით, უანგარო სიკეთით და სტუმართ-მოყვარეობით არიან დაჯილდოებულნი. რომანში „მე ვხედავ მხექ“ არის ეპიზოდითანაკლასელებით ხატია და სოსოია მეზობელ სოფელში, მიღიან, ტანსაცმელი უნდა გაცვალონ სიმინდზე. ომია, შიმშილობა. უჭირს ქვეყანას, , ბაბილოსაც უჭირს- ხატიას და სოსოიას მასპინძელს, მაგრამ მოედ ტომარა სიმინდს აძლევს ბავშვებს უსასყიდლოდ. სოსოია უცადრისობის- მე მათხოვარი კი არ ვარო, ბაბილო განაწყენებული პასუხობს: „რაო, მათხოვარიო? ...რადაც ორი კეკალი სიმინდი მისცეს კაცმა კაცს, მათხოვრობაა მაგი? არ გცოდნია შენ, რაა მათხოვარი.“

უმმიმეს წლებში იმედით, ხვალინდელი დღის სიხარულით ცოცხლობენ დუმბაძის გმირები. მათ სულ ში იმედის სხივიარასოდეს ქრება.

გერასიმეს ბიჭის დაღუპვის წერილი მიიტანა სოფელში ფოსტალიონში. ილარიონმა ქადალდი ბუხარში შეაგდო, ალმა გაანათა ილარიონის ცრემლიანი სახე. -რას აპირებ? ჰკითხა ზურიკელამ.

-„ამას ვაპირებ, ჩემო ბიძია, თუ ღმერთმა ქნა და ცოცხალია, გამოჩნდება, თუ არა და, ელოდოს მამამისი, კაცი იმედით ცოცხლობს.“

ჯარისკაცებისათვის საახალწლო საჩუქრებს აგროვებს სოფელი. დაღონდება ილიკო- მე რა სიკეთე მაბადია ამ ქვეშ-ანაზე? არაფერი- ერთი ნაბადი მაქს... ჩემისთანა ხრონცმა ბერიკაცმა თუ არ ატარა მაგი, არ დაიქცევა ქვეყანა... ეს ნაბადი იყო, ილიკოს საბნად რომ ეხურა, სიცოცხლეს ერჩია და ილარიონს არ ათხოვა ქორწილში- გამიფუქებო“.

სიკეთე გადამდებია და ხუთ წუთში ილარიონმა ნაბდის გვერდით ახალთახალი, ჯერ ჩაუცმელი ჩექმები დააწყო.

ოლდა ბებიამკი ლეიბიდან ბდუჯა-ბდუჯა მატყლი გამოაძრო და ჩეჩვას შეუდგა. შთამ-ბეჭდავია ამ საქციელის ზერობრივი ძალა: საწოლში წამომჯდარი ზურიკელა ცრემლმორეული ფიქრობს: „ ვინ უნდა ყოფილიყო ის ბედნიერი ჯარისკაცი, რომლისოფლისაც ბებიამ სიობო მოიკლო და მისი მოხუცი სხეულით გამობარი მატყლით ახლა, ამ თეთრი ზამთრის ცივ დამეში წინდას უქსოვდა.“

პუმანიზმა, ადამიანო მიმართ რწმენამ და სიყვარულმა მიიყვანა მწერალი „მარადისობის კანონამდე“: „ ადამიანის სული

გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია. ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავყოთ ერთმანეთის სული, თქვენ ჩემი, მე სხვისი, სხვამ სხვისი და ასე დაუსაბამოდ, რამეთუ იმ სხვისი გარდაცვალების შემდეგ არ დავობლდეთ და მარტინი არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე...“ აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს სახარებისეული ფრაზა- „ურთიერთას სიმძიმე იტვირთეთ და მით აგასრულეთ სჯული“.

მია ისიდორე „თეორ ბაირალებში ამბობს:“ უამრავი ნაკლის მიუხედავად, ქართველს ისეთი თაკარა გული, უმზესი სული და მართალი ბუნება აქვს, მოელ სამყაროს დასწავდა, კაგკასიონის მარადიული თოვლი რომ არ აგრილებდეს და აშოშმინებდეს

გულწრფელი, უანგარო სიყვარული აერთიანებს ნოდარ დუმბაძის მეზობლებს, თანაკლასელებს, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს- მათი ურთიერთმიმართება და სიყვარული მისაბაძია და სამაგალიოო.

ამ სამყაროში სიყვარული ყველაფერზე ძვირფასი და აღმატებულია. ოლდა ბებია („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“) ანდერმს უტოვებს ზურიკელას:“- ამათ ხომ უყურებ, ნენა, ილარიონს და ილიკოს, არ დაკარგო, ნენა, ეს თრი კაცი, შენზე ამოხდით მზე და მოვარე, ყველაფერი დაუჯერე. ამათ რომ სიკეთე აქვთ შენოვის გაკეთებული, იმას შენ ვერ გადაუხდი და ნურც დაპირდები. ისე გიყვარდეს, როგორც მაგათ უყვარხარ. სიყვარული - ყველა სიმდიდრეზე და სიკეთეზე აღმტებული, სიყვარულია სიცოცხლე, ყველაფერი სიყვარულია. სიყვარული წევლასაც ლოცვად გარდაქმნის, სიყვარულით ხუმრობაც არ არის საწყენი და დასაძრახისი.

„ცელქი ბავშვი ვიყავი-წერს ნოდარ დუმბაძე,- ერთხელ მოვიპარე და მეველე გამომეკიდა. ჩიტივით გავფრინდი. ვერ დამიჭირა. სოფლის თავკაცონ მიჩივლა. თავმჯდომარემ დამიბარა და დამტებუსა. ვიზიცებიდი, მე არ ვყოფილვარ-მეოქი. დამიჯერა თავმჯდომარემ- ქიშვარდის შვილიშვილი ტყეულს არ იტყვისო.

მოხუცმა მეველემ მაინც მომიხელოა ცალკე. იცი, ბაბუ, რას გეტყვიო?- მითხრა. ადამიანს შუბლის ძარღვი აქვს, ამ ძარღს ნამუსის ძარღვს უწოდებენ. კაცს ის ძარღვი თუ გაუწყდა, წასულია მისი საქმე. გახსოვდეს ჩემი, ბაბუ, ეცადე, ის ძარღვი არ გაგიწყდეს.

შემრცხვა ჩემი საქციელისა. დღემდე არ დამვიწებია მოხუცი მეველის სიტყვები. ადამიანი სამყაროში მაშინ იქცა უმა-

დღეს დირებულებად, ყველაფერზე აღმატებულად, როდესაც გაუჩნდა სული, გონება, აზრი, გრძნობა და სინდისი.

„აი, ჩემი შვილი, მაგალითად, - ამბობს ნოდარ დუმბაძე, - შეიძლება მგავდეს სახით, მოძრაობით, ემოციებით, მაგრამ საქციელით ის მე არ მემგვანება, თუ მას არ არ ადგზდი, ანდა, რაც არსებითად იგივეა, ჩემს ხსოვნას არ დავუტოვებ“.

ბავშვი სიკეთეს უნდა სჩადიოდეს არა იძულებით, უფროსოაგან მითითებით, არამედ საკუთარი ინიციატივით, სულის კარნახით, რომელიც არ მოიაზრებს ჯილდოსა და ქება-დიდებას.

მწერალს მიაჩნია, რომ ბავშვი უნდა შევაჩვიოთ აზრს, რომ მან საკუთარი შრომით იცხოვროს. „ჩვენ მაგივრად არავინ არაფერს გააკეთებს“ და თუ გააკეთებს, ის ჩვენ არ გამოგვადგება. „არაფერი ისე სამარცხინოდ და თავისმომქრელად არ ითვლებოდა საქართველოში, როგორც უპატიოსნობა და ქურდობა. მარტო ის რად დირს, რომ ქურდს მეგრულად „მახინჯი“ ჰქვია.

ერთ-ერთ წერილში ნოდარ დუმბაძე საბავშვო ლიტერატურის დანიშნულებაზე ლაპარაკობს: „რა გრძნობებს უნდა ვზრდიდეთ ბავშვებში ჩვენ, მათვის მომუშავე მწერლები? პირველ ყოვლისაპატრიოტიზმს, სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობას, სხვა დანარჩენზე კი ასე ვიტყოდი: ყველა იმ თვისებას, რაც, საზოგადოდ, ყველა წესიერ კაცს უნდა ახასიათებდეს“.

წერილში „სამშობლო“ ავტორი ქუჩაში გამვლელებს ეკითხება: რა არის სამშობლო? ამომწურავად ვერავინ პასუხის და ბოლოს ასეთ დასკვნამდე მიდის - „სამშობლო ყველაფერი, ურომლისოდაც სიცოცხლე არ შეგიძლია“

ნოდარ დუმბაძის აზრით, მასწავლებლობა უდიდეს საიდუმლოს გამხელას უნდა ჰგავდეს, მოძღვარი შეგირდისათვის მისანი უნდა იყოს, მისანი, რომელიც მას ბუნების საიდუმლოს ანდობს“.

ჭეშმარიტი მასწავლებელია, ვისაც შესწევს უანარი, სხვას გადასცეს ცოდნა და ისე შეაყვაროს საგანი, რომ „განცვიფრებულმა იფიქროს, ეს რომ არ მცოდნოდა, რა მეშველგბოდათ?!“

მაწავლებელი ოთხ საიდუმლოს უნდა ფლობდეს:

1. უსაზღვროდ უყვარდეს ბავშვები.
2. უსაზღვროდ უყვარდეს საგანი, რომელსაც ასწავლის.
3. ჰქონდეს უნარი, სხვასაც შეჰყაროს ეს სიყვარული
4. ჰქონდეს ცოდვა-მადლის, ანუ სამართლის გაჩენის და მოთმინების უნარი

სხვაგვარად ყველა მცდელობა იმისა, რომ იყო მოძღვარი, ფუჭია, ყალბი და უშედგვო“.

დამახასიათებელ თვისებათა შორის, როგორც კედავთ, პირველი და უმთავრესია სიყვარული „დიდ არს ძალი სიყვარულისაი, რომელიც შესაძლებელს ჰყოფს გონებასა შეუკადრებელსაცა“

ახალგაზრდობის ზეობრივ აღზრდაში უმთავრესია ოჯახი, სკოლა, პირადი მაგალითი, ჰუმანიზმი, პატრიოტიზმი, შრომითი აღზრდა და სიყვარული, რომელიც ყვალაფერს ერთად აღუდაბებს და კრავს.

ლიტერატურა

1. 6. დუმბაძე - ათი მოთხოვობა, თბ.1970
6. დუმბაძე, თხ. 6. ოთხ წიგნად, წიგნი პირველი, თბ.1989
3. 6. დუმბაძე, უბის წიგნაკი, კრებული, შემდგარა ასათიანი, თბ.1998
4. 6. დუმბაძე, შოაბეჭდილებები, წერილები, გამოსვლები, თბ.1984
5. კ. იმედაშვილი, ძნელი გზა სიკეთისაკენ, „კრიტიკა“, 1973, 4.
- 5გ. გვერდწითელი, უშუალობა და ოსტატობა წიგნში: „ახალი პორიზონტი თუ ძველი?“ წერილები ლიტერატურაზე, თბ.1976
6. ჯ. დვინჯილია, გზა სინაოლისაკენ წიგნში: 6. დუმბაძე, რჩეული, გ1, 1982

ბეჭედი თაყნიაშვილი

გრიმოლ ყიფშიძე - შურნალისტი და განმანათლებელი

გროგოლ ყიფშიძე - 160

ქე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მოწინავე ქართული ინტელიგენციის რიგებში საპატიო ადგილს იკავებს პროფესიონალი ქურნალისტი, თავისი დროის ბრწყინვალე სტილისტი და განმანათლებელი გრიგოლ ყიფშიძე. მისი თანამედროვენი გრ. ყიფშიძეს ახასიათებენ როგორც ბრწყინვალე მოქართულებს, ქართული ენის სიწმინდისთვის შეუპოვარ მებრძოლსა და ეროვნული დირებულებების შეუპოვარ დამცველს. გრ. ყიფშიძე დაიბადა 1858 წელს გორის მაზრის სოფ. წვერში. სწავლობდა თბილისის სასულიერო სასწავლებელში. 1877 წელს ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტში, მაგრამ უსახსრობის გამო მაღლ დაბრუნდა თბილისში.



1878 წლიდან გრ. ყიფშიძე შეუდგა პედაგოგიურ მოდგაწეობას, იმავდროულად ირიცხებოდა გორის ხალხოსანთა ჯგუფის წევრად. თანამშრომლობდა გაზეობში „ივერია“ და „დროება“. 1878 წლიდან იგი „ივერიაში“ სისტემატურად აქვეყნებდა წერილებს სოფლის ცხოვრებისა და გლეხის შვილების სწავლა-ადზრდის საკითხებზე. „სოფლის მასწავლებელობის წერდა იგი, იშრომება ხალხის კეთილდღეობისათვის ჩუმად, შეუნიშნავად, როგორც ფურცელი, დაუკიცება ადგილის მისი მიზანი და დარაჯი“ (2,3). გრ. ყიფშიძე დიდი ყურადღებით ეკიდებოდა იმ მწერლებს, რომლებმაც ახლა აიდგა ფეხი ქართულ მწერლობაში: ეპ. გაბაშვილი, ვაჟა-ფშაველა, შიო არაგვისპირელი, ეგნატე ნინოშვილი და სხვები, რომლებიც თავიანთ პირველ ნაწარმოებს „ივერიაში“ ბეჭდავდნენ.

იმავდროულად აღნიშნულ გაზეობში გრ. ყიფშიძე აქვეყნებდა მხატვრულ ნაწარმოებებს, ჩანახატებსა და ესკიზებს სოფლის ცხოვრების შესახებ; მაგრამ მაღლ იგრძნო, რომ მისი კალამი ბელებრისტიკაში სუსტი იყო.

1882-1885 წლებში გრ. ყიფშიძე მუშაობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში საქმის მწამოებლად. პარალელურად თანამშრომლობდა იმდროინდელ გაზეობაში და მთელი ოცი წლის განმავლობაში შეუპოვრად იბრძოდა ქართული სალიერატურო ენის დასაცავად. ქართულ მწერლობაში იბრძოდა ქართლ-კახური დიალექტის განმტკიცებისათვის და დევნიდა ბარბარიზმებს. მისი აზრით „მწერლობის დიდ კერაში განუქრობლად დვივის ცეცხლი იმ ციო მონიჭებული მადლისა, რომელსაც დედა ეწოდება, მწერლობაა მისი მცველი, მისი დარაჯი“ (2,3). გრ. ყიფშიძე დიდი ყურადღებით ეკიდებოდა იმ მწერლებს, რომლებმაც ახლა აიდგა ფეხი ქართულ მწერლობაში: ეპ. გაბაშვილი, ვაჟა-ფშაველა, შიო არაგვისპირელი, ეგნატე ნინოშვილი და სხვები, რომლებიც თავიანთ პირველ ნაწარმოებს „ივერიაში“ ბეჭდავდნენ.

სკოლაში მშობლიურ ენაზე სწავლებას მიუძღვნა გრ. ყიფშიძემ მრავალი კორესპონდენცია და სპეციალური წერილები, სადაც გადაჭრით გმობდა ადზრდის პირველ საფეხურზე უცხო ენის შემოტანას. მისი აზრით ბავშვის გონიერის გახსნაში დიდი ადგილი უკავია თჯახურ ადზრდას: „ცეცხლი მაშინ არის, - წერდა იგი, როდესაც ერთი მეორეს დამორჩილებია და სკოლაში სხვა ენა სუვერენი, ხოლო თჯახური - სხვა, ამისთანა სკოლა შეგირდების ენას ყურს არ უგდებს და მზა-მზარეულ გასანათლებელ იარაღს ხელს არ ჰყიდებს, არამედ ასწავლის მოსწავლეებს უცხო ენას და თუთიყუშებად ქმნის“ (3,4). მშობლიურ ენაზე სწავლება გამომდინარეობს საღი პედაგოგიური აზრიდან. იგი ვერ გეუმბდა იმ აზრს, რომ სკოლებში ხშირად ნიშნავენ ქართული ენის უცოდინარ პედაგოგებს.

გრ. ყიფშიძეს ვერ უპატივებია საზღვარგარეთ მოსწავლე ქართველი სტუდენტებისათვის ის ფაქტი, რომ, როცა ის ისმენს მსოფლიო ისტორიას მეცნიერულად, ნუთუ შეცდომად არ უნდა ჩაეთვალოს მას ის გარემოება, რომ გადმოვიდეს აქ და ინჩიც არ იცოდეს საქა-

როველოს ისტორიისა“ (4,2). გრ. ყიფშიძე დრმად არის დარწმუნებული, რომ ქართველი სტუდენტის რიგნი წარმომადგენელნი ადარ ადგანან თავისი ქვეყნის შესახებ სამარცხინო უმეცრების გზას და ეს ისეთი ნიშანია, როდესაც გულის მგერითა და აღტაცებით უნდა ველოდეთ ჩვენი ქვეყნის უკეთეს მომავალს. მისი აზრით „ცოდნა და ფილოსოფიური განვითარება ერთია და აღზრდა და დადგენა ხასიათისა - მეორე; ერთი სწავლის საგანია, მეორე კი აღმზრდელისა“ (4,3). გრ. ყიფშიძე თავისი პედაგოგიური და ქურნალისტური მოღვაწების პერიოდში სისტემატურად იძრმოდა ქართული ეროვნული სკოლისთვის, რომელიც აღზრდის ახალგაზრდებში ეროვნულ მიდრეკილებას, მამულის სიყვარულს, შეასწავლის მათ თავისი ქვეყნისა და ხალხის ისტორიას, მის კულტურას. ამგვარი სტუდენტობა სწავლა-აღზრდით შემთავრებული გინდ რუსეთში გაგზავნე, მერე გინდ ჩინეთში, იგი არ დაიკარგება, იგი ყველგან შვილია თავისი ქვეყნისა, იმიტომ, რომ მას დრმად აქვს გართხმული ფესვები სამშობლო ქვეყანაში ეროვნული სკოლის მეშვეობით“ (4,2).

1898 წელს გრ. ყიფშიძემ კირიონთან ერთად გამოსცა „ქართული სიტყვიერების თეორია“. ეს იყო ქართული გიმნაზიებისა და სკოლებისათვის განვითარებილი სახელმძღვანელო; წიგნი ხელმეორედ 1908 და 1920 წლებში გამოიცა. გრ. ყიფშიძე ცნობილია აგრეთვე როგორც ბიბლიოგრაფი. მან პირველმა შეადგინა კავკასიაში გამომავალი პერიოდული და გრძელდებადი გამოცემების ბიბლიოგრაფია რუსულ ენაზე „Периодическая печать на Кавказе“. წიგნი გამოიცა 1901 წელს. მასში აღნუსხეულია პერიოდული გამოცემები პავასიაში, რომლებიც გამოდიოდა ქართულ და რუსულ ენებზე. წიგნი შედგება სამი ნაწილისაგან: პირველში მიმოხილულია კავკასიაში გამოცემული რუსული პერიოდული გამოცემები, სადაც თავის მხრივ ორი ნაწილია წარმოდგენილი: პირველში მიმოხილულია საერთო ლიტერატურული ხასიათის გამოცემები, ხოლო მეორეში - სპეციალური პერიოდული გამოცემები. მომდევნო თავში გრ. ყიფშიძეს განხილულია აქვს კავკასიაში გამოცემული ქართული პერიოდული გამოცემები. ჯერ ადრიცხული აქვს ზოგადლიტერატურული ხასიათის გამოცემები: „ცისქარი“, „მოამბე“, „დროება“, „კრებული“, „მნათობი“, „ივერია“, „შრომა“, „იმედი“ და სხვა გამოცემები, შემდგებ ადრიცხული აქვს სპეციალური პერიოდული გამოცემები: „გუთნის დედა“, „სასოფლო გაზეთი“, „ჯეჯილი“, „ნობათი“, „ოქატრი“,

„მწყემსი“, „აკაკის კრებული“ და სხვ. პერიოდული გამოცემები. წიგნის მესამე ნაწილში აღრიცხულია პერიოდული გამოცემები აზერბაიჯანულ ენაზე, რომლებიც გამოდიოდა 1873-1877 წლებში. აღნიშნული ნაწილის ავტორია ფ. სულეიმანოვი. კავკასიაში გამოცემული პერიოდული გამოცემების აღრიცხვა იწყება 1819 წლიდან და მთავრდება 1901 წლით. თითოეული პერიოდული გამოცემის ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერს ახლავს სარედაქციო ცნობები, გამოცემის წლები, მიმართულება, რედაქტორ-გამომცემლების ვინაობა და სხვ. მონაცემები, რომლებიც მოკლედ ახასიათებენ თითოეულ პერიოდულ გამოცემას.

სახალხო განათლების საკითხებში გრ. ყიფშიზე სამართლიანად ითვლება ნამდვილ დემოკრატიულ, ეროვნული განათლების მედროშედ. იგი თანმიმდევრული პოპულარიზაციის მიზანით გამოიცა. გოგებაშვილისა და ი. ჭავჭავაძის პედაგოგიური შეხედულებებისა. თავისი შეხედულებები ენისა და ეროვნების შესახებ გრ. ყიფშიძემ ცამოაყალიბა სტატიაში „ენა და ეროვნება“, დაწერილი 1895 წელს. „ქართული ენის სიუცუთავისა და კანონიერებისათვის - წერდა ავტორი, ასოები, მარცვლები და სიტყვები კი არ არის, საქმე თვით ბუნებაა ენისა, მისი სული, მისი ბუნებრივი მიმოხვრა, მისი ზოგადი აგებულებები“ (2,4). შეიძლება კაცმა გაიზეპიროს გრამატიკა - აგრძლებდა იგი მსჯელობას, მაგრამ ენა კი არ იცოდეს, დავითნ სხაპასხებით წაიკითხავს ზოგიერთი დიაკვანი, მაგრამ შინაარსი კი არ ესმისო“, წერდა იგი იმავე გაზეთში.

გრ. ყიფშიძეს სამართლიანად უწოდებდნენ ილია ჭავჭავაძის „მარჯვენა ხელს“. იგი „ივერიაში“ მოღვაწეობდა როგორც სტილისტი, რედაქტორის თანაშემწე, კორექტორი, მთარგმნელი და თავად ავტორიც. მისი უბეური შეფასების გარეშე არ იძებდებოდა არც ერთი ხასიათის წერილი, იქნებოდა ის მხატვრული თუ ნებისმიერი ქანრისა. თედო სახოკია თავის დროზე წერდა: „გრ. ყიფშიძეს თამამად შეეძლო ეთქვა: „რამდენად ძალმედვა ვიშრომე ჩემი ხალხისთვის, ვიტანჯე მისი ტანჯვითა, ვილხინე მისი ლხენითა და მომესწრო იმდენი ხენის ნატვრის ფრთების შესხმაც, მოვესწარი იმ სანეტარო წუთსაც, რომ ჩემმა სამშობლომ მონობის ბორკილები დამსხვრია“ (5). გრ. ყიფშიძემ დიდი სიცარულითა და ცოდნით შეადგინა ილია ჭავჭავაძის ვრცელი, მეცნიერული ბიოგრაფია, რომელიც დაერთო მ. გედევანიშვილის მიერ გამოცემულ ი. ჭავჭავაძის თხზულებათა პირველ ტომს, რომელიც გამოიცა 1914 წელს.

ლიტერატურა:

1. „ივერია“ – 1878.- №14;
2. „მოამბე“ – 1895.- №4;
3. „მოამბე“ – 1895.- №12;
4. „ივერია“ – 1882.- №6;
5. „ტრიბუნა“ – 1921.- №6;

გრ. ყიფშიძის ავტორობით გამოცემული წიგნები:

1. ყიფშიძე, გრ. კირიონი არქიმანდრიტი. სიტყვიერების თეორია სალიტერატურო ნიმუშების დამატებითურთ.- ტფ; 1898;

2. ყიფშიძე, გრ. ქართული ლექსონიური (ვერსიფიკაცია)/ქართული პოეტიკის ქრებტომათია.- თბ., 1954.- გვ. 196-217;

3. Периодическая печать на Кавказе .- Тифлис .- 1901 .- 52 с.

ლიტერატურა გრ. ყიფშიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ:

1. ვართაგავა, ი. წერილები და მოგონებები .- თბ., 1975;

2. სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები: კრ. 2 .- თბ., 1955;

3. სახოკია, თ. ჩემი საუკუნის ადამიანები .- 1984;

4. ცაშვილი, ს. სახალხო განათლების მოღვაწეები .- თბ., 1954;

5. ვართაგავა, ი. ილია, ვაჟა და გიგა//მნათობი .- 1962 .- №3-5.

ბიობი სახაზვიცი

ეპათერინე სარაპიშვილის ლიტერატურული სალონი

Jს ამბავი 1897 წელს მომხდარა, მაჩაბლის ქუჩაზე, დავით სარაჯიშვილის მამისეულ ძველ სახლში. 18 წლის ილია მამაცაშვილმა, რომელიც დაბადებული იყო 1879 წელს, „ერთხელ როდესაც სარაჯიშვილის ოჯახში სტუმრად ყოფილა ილია ჭავჭავაძე და სხვა საზოგადო მოღვაწენი, მიიყვანა ახალგაზრდა კობა ჯუღაშვილი, რომელსაც მათვის წაუკითხავს თავისი ლექსები. მერე უსაუბრიათ კობასთან. ილიას და სხვა დამსწრებებს შეუქიაო კობას ლექსები, საბოლოოდ ილია ჭავჭავაძეს კობასთვის უთქვამს: „შვილო შენი ლექსები კარგია, მაგრამ გეზი, რომელიც შენი საუბრის დროს სჭვივის, უფრო მნიშვნელოვანია სამშობლოსათვის ვიდრე ლექსები და მე გირჩევ იმ გზას ნე უდალატებო.“ (გ. ჩიმაკაძე. ცხოვრება და დვაწლი დავით სარაჯიშვილისა. თბილისი 2009). გვ.

233-240. ნიკოლოზ ილიას ძე მამაცაშვილი — „მოგონებანი“ ჩემი მამის ილია მიხეილის ძე მამაცაშვილის ნაამბობიდან დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის შესახებ.

XIX საუკუნეში, საოჯახო სალონებში, იმართებოდა ლიტერატურული საღამოები, სადაც საფუძველი ეყრებოდა კულტურულ დონისძიებებს საზოგადოების ცხოვრებაში. სალონში კითხულობდნენ მწერლები და პოეტები თავიანთ ნაწარმოებებს, იმართებოდა კამათი, აზრებს უზიარებდნენ ერთმანეთს ხელოვნებაზე. ყოველი საღამო მთავრდებოდა ტრადიციული სადილით და საოჯახო ბალით.

„არასდროს არ დავივიწყებ იმ „კვირაობებს“ როცა სტუმარობულებები სახლში ყოველ კვირას იკრიბებოდა მრავალრიცხვანი საზოგადოება, როცა გულითადი პატრონი, ღრმად პატივცემული ეკატერინე ივანეს ასული ხიბლავადა ყველას თავისი ყურადღებით, თავაზიანი ალერსით და უბრალოებით. სახლი ყველთვის დია იყო საზოგადო მოღვაწეებისათვის. აქ შეიძლება გენახაო ახალგაზრდა და მოხუცი, მეცნიერი და არტისტი“, — წერდა ცნობილი სამხედრო ისტორიკოსი ბორის ესაძე.

სალონის ხშირი და სასურველი სტუმრები იყვნენ: ილია, აკაკი, რაფიელ ერისთავი, გრიგოლ ყიფშიძე, იონა მეუნარგია, პეტრე უმიგაშვილი, გიორგი და დავით ერისთავები, ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია, აქესენტი



და ალექსანდრე ცაგარელები, ივანე მაჩაბელი, იაკობ მანსვეტაშვილი, დავით გურამიშვილი, გიგო გაბაშვილი, ნინო ყიფიანი, არტურ ლაისტი, ოქტომბერის სახოკია, გიორგი ტარსაიძე და სხვანი.

ეპატერინეს ლიტერატურული სალონი ერთ-ერთი გამორჩეული იყო: დომენიკა — განდეგილის, ნინო ყიფიანის, ელისაბედ ორბელიანის, ლიდა მგალობლიშვილის, სოფიო ამირეჯიბის, ოლღა გურამიშვილი — ჭავჭავა-



მხატვარი ტარიელ ბარდაძე ილია ჭავჭავაძე ეპატერინეს სარაჯიშვილის ლიტერატურულ სალონში კითხულობს „განდეგილს“.

ძისას, ელენე ყიფიანის, ტახო მაჩაბლის, თამარ ჭავჭავაძე — ბაგრატიონ — გრუზინსკისას, ატატო მებურიშვილის, ანა ჟურული — იმედაშვილისას, თამარა დედაბრიშვილი — რაზიკაშვილისას, რაისა ჩიხლაძის იმ დროის საოჯახო სალონებში.

ეპატერინე ივანეს ასული ფორაქიშვილი — სარაჯიშვილისა (1862-1916) დაიბადა თბილისში, მდიდარი სოფდაგრის ივანე ფორაქიშვილის ოჯახში. განათლება ჯერ ოჯახში, ხოლო შემდეგ სპეციალურად მიჩნეული ადმსრდელებისაგან მიიღო. იზრდებოდა განთქმული ფაგრის პანსიონში, შემდეგ კი საგანგებოდ მიწვეული მასწავლებლების სელმძღვანელობით. მშობლიური ენის გარდა, რომელიც ზედმიწვნით იცოდა შეისწავლურანგული, გერმანული, ინგლისური ენები. ინგლისურ ენას ინგლისელი ქალი მის პოპკინი ახწავლიდა.

ეპატერინე მტკიცედ იცავდა ტრადიციული ქართული ოჯახის ადაოწესებს, იგი იყო საონო, ოჯახის დიდი მწრუნველი, შრომის მოყვარე, მუსაოთი და ლმობიერი, კეთილის მყოფელი ადამიანი.

„ფერი ფერსა მადლი ღმერთსათ“ ჩვენს ხალხს რომ უთქვამს სწორედ დავით და ეპატერინე სარაჯიშვილებზეა ზედ გამოჭ-

რილი. რა მხრივ აიდებთ, რომ ერთი მეორის ტოლი და სწორი არ ყოფილიყონ. პრაქტიკული საქმიანობით, გამჭრიახობით, დიდი საქმის უნარიანი მოვლით, იდეური ქველმოქმედებით, სამშობლო ქვეყნის განუსაზღვრული და შეგნებული სიყვარული. მამულიშვილობა და მოქალაქეობა, აი რა იდეას ემსახურებოდნენ შეგნებით განსვენებულნი. უძენონი იყვნენ მაგრამ რამდენი სასარგებლო ნიჭიერი წევრი აღუზარდეს სამშობლო ქვეყანას და მათგან დანატოვარი კიდევ რამდენს სასარგებლო კაცს გაზრდის“ — წერდა ოჯახის ექიმი შტოქმანი.

1905 წელს ვერცხლის ქორწილის აღსანიშნავად გადადებულ სურათზე, ოჯახის ნათესავებთან ერთად ის მეგობრებიც არიან, რომლებიც გარს ერტყათ ყოველდღიურ ცხოვრებაში. გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, მათი სახლიდან მთვრალი გამოსული არავის ენახა, მაშინ როდესაც გვიან დამემდე გრძელდებოდა ნადიმები, იმართებოდა დღესასწაულების, უცხოელი სტუმრების, ლიტერატურულ სალონში გამართული პოეტებისა თუ მწერლების საკუთარი ნაწარმოებების წაკითხვის შემდეგ.

ილიამ უძღვნა ეპატერინეს თავისი ფოტოსურათი, წარწერით:

ამ ლექსს გიწერ ჩემ სახსოვრად,
და გაგიხვევ შიგ ჩემ გულსა,
სადაც კინახავ კით მარგალიტს
მე შენ დაძმურ სიყვარულსა.

აკაკიმ კი ასე მიმართა ეპატერინეს:

თვალხილული ვერ გხედავდი,
რომ დაგბერდი ეხლა გხედავ,
და გულში რაც ჩამისახავს
იმის თქმასაც უფრო ვბედავ.

უგივურდი როგორც შვილი
როგორც და და მეგობარი,
კაშა იმას კინც პოეტი
ამდერა ცოცხალ-მკვდარი!

ახალგაზრდა პოეტმა და დრამატურგმა სანდო შანშიაშვილმა, ბერლინიდან, ეპატერინეს უძღვნა ლექსი — „ქართველი ქალი“, სადაც ამთავრებს შემდეგი სტრიქონებით:

„თვალს დაეხატა ხევა მყობადი, ხევა მომავალი
და გხოვეთ: კავშირი ძველ წარსულთან არ
გაწყვეტილა,
ხევა კამი გველის, გაივლის აწმეთ საზარი,

კვლავ განახლებით აღსდგებიან ქართველ დედებში,

ნინო, ქუთევან და სულმნათი დიდი თამარი“.

ხუთი წლის განმავლობაში, ეკატერინე დიდუბის დვოისმშობლის ეკლესის გალავანში, დავითის საფლავზე, ყოველდღიურად ერთი ვარდის მიტანით იგონებდა საყვარელ მეუღლეს.

დახმარილი, ნატიფი გემოვნების გაატერინე ყველა მოვლენის საქმის კურსში იყო. ყურადღების არედან არ უშვებდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, მისოვის ახალგაზრდების სწავლა-განათლებაზე ზრუნვა უპიორველეს მოვალეობას წარმოადგენდა.

ეკატერინემ მოსაწვევით აუწყა ინტელიგენციას იმ სადამოზე, რომელიც 1916 წლის 24 მაისს მოუწყო ლიტერატურულ სალონში რუსეთის საიმპერატორო ოეგრის შემქმნელს, არტისტს ალექსანდრე სუმბათაშვილ — იუჟინს, მისი თბილისში ჩამობრძანებასთან დაკავშირებით. „დალატის“ ავტორი, რომელიც რუსეთში დიდ თეატრალურ მოღვაწედ იყო მიჩნეული და კმაყოფილი დარჩა.

27 წლის პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა სადამოზე ექსპრომტად თც სტრიქონიანი ლექსი მიუძღვნა სტუმარს:

და ეგ სახე, ფრთა წარსულის, ჩვენთან დაქრის, ჩვენთან ფრინავს

და ჩვენც ვამბობთ აკაკივით: არ მომკვდარა, მხოლოდ სხინავს!

მაგრამ სადმე ციკი პავა თუ ჩაგიქრობს გულში აღსა,

ჩვენთან მოდი და თბილ სუნთქვით, გავაჩაღებთ ნაღვერდალსა.

სადამოების სულის ჩამდგმელი და მომხიბელი იყო თავად ეკატერინე. მისი „სუფრის ეში“ ყველასათვის იყო ცნობილი, როცა 1903 წელს, სწავლის საკითხი გადაწყდა „საქართველოს ბულბულის“ შესახებ, ვანომ ურმულით ილიას, „მამულზე ფიქრით დადარული შუბლი გაუნათა“, ეკატერინეს სალონი საკონცერტო დარბაზად იქცა, სიმღერით დასტკბა დიდი თუ პატარა, სახლში მყოფი, თუ ქრისტი გამგლები. სუფრის გაშლამ რამდენიმე ხნით დაიგვიანა.

სარაჯიშვილის ფირმის ნატურალური კონიაკი, რომელიც არა მარტო რუსეთის იმპერიაში იყო ცნობილი, რომელმაც სახელი გაუთქა დავით სარაჯიშვილს. იმპერატორი ნიკოლოზ II საზღვარგარეთელი სტუმრების სუფრას ამშვენებდა. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე რომანოვი (1894-1917) რუსეთის

უკანასკნელი იმპერატორი თბილისს ესტუმრა თავად აზნაურთა მარშალმა კოტე აფხაზმა შეხვედრა ეკატერინეს სტუმრათმოყვარე სახლში საიმპერატორო შეხვედრაზე ყურადღების გამოხატვით, არისტოკრატიული გარემოთი დიდად კმაყოფილი დარჩენილა მისი უდიდებულებელი.

მომხდარა ასეთი შემთხვევაც ფრანგი არქოლოგი ბარონ დე—ბაი სტუმრებია საქართველოს. თედო სახოკია წერს, რომ „ენობრივი ბარიერი სულაც არ იგრძნობოდა, პირიქით დამსწრენი აზრებს უზიარებდნენ ერთმანეთს ლამაზი ფრანგულით. დავითს ოფიციალურად ბოდიში მოუხდია, იმის გამო, რომ გარკვეული მიზეზით ეკატერინე სახლში არ იყოფებოდა. დე—ბაი ისე მოხიბდებულა დ. სარაჯიშვილით, რომ ისურვა მასთან ფოტოსურათი გადაედო. როდესაც დაიკმაყოფილა სურვილი, ბედნიერად ჩაუთვლია თავი“.

სამშობლოზე ფიქრები კარგად ჩანს დავითის გიმნაზიის მეგობრის, ცნობილი მხატვრის თავად დავით გურამიშვილისადმი გაგზავნილ საახალწლო მილოცვაში, სადაც ეკატერინე წერს: „ახალ წელს მოეტანოს ჩვენ ყველასათვის სულის სიმშვიდე, დაობდებული, გაწამებული სამშობლოს აღორძინება. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი პატარა ქვეყანა, ისეთი დანაკლისებით გადამტანი საშინელი ომებისა დირსია დაჯილდოვებისა“.

ეკატერინეს სალონის მშვენება ილიასადმი დათმობილი სადამოებია. 1883 წლის 8 თებერვალს პოემა განდევილის და შემდეგ „ოთარაპი ქვრივის“ წაკითხვა, რომელთა „უცვლელი ნათლია დ. სარაჯიშვილი თვითონ იხდიდა ნათლობასაც“.

ლიტერატურულ სალონში წაკითხული ნატარმოების მოწონება-კრიტიკის ნამდვილ ნიმუშს იძლევა იაკობ მანსვეტაშვილი „მოგონებაში“: „ილია კაი მკითხველი იყო, თუმცა ხმა ცოტა მოყრუო ჰქონდა, თითქოს გულზე ქონი აქვს მოკიდებული და ეს უშლის სიტყვის მკაფიობას. კითხვა გათავდა, ჩამოვარდა სიჩუმე, ილია აღგზნებული სახით აქეთ-იქეთ იყურება.“

პირველმა ხმა ამოიღო გრიგორ ვოლსკიმ, მე „ოთარაპი ქვრივს“ კი არა თბილ მარგალიტს დავარქმევდიო. ქვრივი, როგორც ტიპი, ჩამოსხმულია, გამოქანდაკებული. ენა ხომ ისეთია, რომ აქ ილიამ თვით ილიასაც კი გადამეტა, გადააჭარბა... მხატვრობით, ფერების სიუხვით, ნამდვილი ქართული მოსწრებული სიტყვა პასუხით, მშვენიერია, შეუდარებელი. მხოლოდ გიორგის დიდბუნებოვნებამ, მისი სულიერი დიადობა არა ჩანს. მეჯინიბეს მადლიანად სცემა და მოჯამაგირეს ტყეში

გვერდები ჩაამტკრიათ — ეს მაინცდამაინც არც ისეთი დიდი გმირობაა და არც დიდ-სულოვნება. მაში, რაზე ჰქიცხავთ კესოს, რომ გიორგის სიყვარულს ვერც კი მიუხვდათ. რაში გამოიჩინა გიორგიმ თავისი სულიერი სილამაზე, გონების წარმატებულობა, რომ კესოს თავი დავიწყებოდა და გული შესტოკებოდა? რა ვქნა იღია, არ მომწონს გიორგი. იგი ლანდია და არა ცოცხალი ხორცშესხმული ადამიანიო“.

წამოდგა ნიკო ნიკოლაძე, ესეც კესოს გამოესარჩხდა. იღიას არ მოსწონს, რომ კესომ შორს დაიჭირა თავი და გიორგის სულიერი ტანჯვა ვერც შეამჩნიათ. და მიზეზად იმას ასახელებს, რომ სხვადასხვა წოდების ხალხინ არიანო, ერთი თავადის ქალია, მეორე — გლეხის შვილი, მათ შეა უფსკრულიათ, სხვადასხვა ნაპირასა დგანანო, ხმა ვერ მიუწვდებიათ ერთმანეთისთვისო. ხელს ვერ აწვდიან ერთმანეთს, რადგან ხიდია მათ შორის ჩატეხილიო. აქ ჩატეხილი ხიდი არაფერს შეაშიათ. ხიდი რომ გავდოთ კიდეც, კესო და გიორგი ერთმანეთს ხელს ვერ მისცემენ, კესო გიორგის გულის წადილს პასუხს ვერ მისცემს. რატომ? მიზეზი აქ ხიდის უქონლობა კი არ არის, არც გვარიშვილობა, აქ კულტურული დაშორებაა. აბა, გიორგი უბრალო მოჯამაგირედ, ისიც უსწავლებელი — უწიგნო კაცად არ მისდგომოდა კესოს კარებს? წარმოიდგინეთ გიორგის სწავლა მიეღო, ყოფილიყო, ვოქვათ ინუინერი, ექიმი, მასწავლებელი — როგორ გგონიათ კესო გულცივად შეხვდებოდა გიორგის, ამას, რომ თავის გრძნობა ემცნო? არა, ეს შეუძლებელია, ეს ბუნების წინააღმდეგ იქნებოდა. კესო არც იკითხავდა გიორგი გლეხია თუ თავადისშვილიო, სწავლა, კულტურამ მათ შორის ჩატეხილი ხიდი შეაკრია გაამაგრა.

ზოგმა დაუწენა იღიას გიორგის სიკვდილი: არა ბუნებრივია, შემთხვევითიათ, თვით მოთხოვნის მსვლელობისაგან არ გამომდინარეობს, როგორც აუცილებელი, საბედისწიერო შედეგი იმ მოვლენათა გადახლართ-გადმოხლართვის, რომელსაც ცხოვრება ქმნის. თვით სიკვდილი გიორგისა — „პირადმა გადმოქცეული წამოვიდა ზემოდან გიორგი და ურმის ჭალს ზედ დაეგო ზურგითაო“ — არ მოსწონდათ, არაესთეტიკურიათ.

წვრილმან ნაკლულოვანებასაც აღნიშნავდნენ. შთაბეჭდილება მოთხოვნისა დიადი იყო, მომხიბლავი“. დ. სარაჯიშვილის ფართო, მდიდრულად მოწყობილ სახლში,, სასადილო ოთახში, დიდებული სუფრა იყო გაშლილი, სუფრას ლაზაოთი დასდო თამადამ, რაფიელ

ერისთავმა, რომელიც განთქმული იყო, როგორც მწერლობის პატრიარქი, ენა — წელიანი, ჭკუა — მახვილი, ოხუნჯი, ძველებური მოქართულე, დარბაისელი. სადღეგრძელოს დაპლევდა, შესაფერისი სახუმარო სიტყვით მიჰმართავდა, ხან ექსპრომტით ლესსაც ჩააყოლებდა“.

აი, რაფიელის ხუმრობის რამდენიმე მაგალითი: ქალაქის, ქართული ბანების დირექტორი ალექსანდრე ჩოლოვაშვილი აურჩევია ქალაქის „დუმაში“ — გიყვარდა კეთილი ცხოვრება, ნატრობდი მსუქანი ლუპმა გეშოვნა. აგიხდა ნატერა: ეხლა ქალაქის „დუმა“ ხელში გაქვს. სოალე და სოალე. ნუ დაზოგავ მსუქანი „დუმათ“.

პეტრე უმიკაშვილი წვერ-ულვაშს არ ატარებდა. ადდეგრძელა ქართული მწიგნობრობის მოყვარული, ადდეგრძელა და თან დასძინა: „ყური უგდეთ პეტრეს, თუ ჭიქა არ გამოსცალოს, ულვაში აუწიეთო და სხვა.

აკაკიმ 1905 წლის 3 აპრილს დავით და ეკატერინე სარაჯიშვილებს ნადიმზე სოლოლაკში აშენებული სახლის (ამჟმად მწერალთა კავშირის სასახლე მაჩაბლის ქუჩაზე) კურთხვაზე მიმართა:

„განგებამ მოგცათ სუყველაფერი,
ნუ სწუხარო იმას, რომ ხართ უშვილო
ნუთუ არ კმარა შვილად და ძირად
თქვენთვის სამშობლო და საქართველო?“

ეკატერინემ გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე სალონში შეკრებილებს გაანდო სურვილი, ქუთაისში თეატრის აშენებაზე, რისთვისაც მან ანდერძით 150 ათასი მანეთი დატოვა. ამის გამო ქუთაისი მოურავი ივანე ჩიქოვანი ეკატერინეს დაკრძალვაზე ამბობდა: „იმერელს, როგორც ყველა ქართველს უყვარს თავის თეატრში სიარული და როგორც შენი საშუალებით აშენებულ თეატრში შევა უმაღლეს მამულიშვილური გრძნობებით აღივსება იგი და შენს ძვირფას სახელსაც მაშინ მაღლობით მოიხსენიებას“.

ეკატერინე თავის ანდერძში მოითხოვდა: „ნუ დამკრძალავთ მდიდრულად, არ ვსაჭიროებ არცა გვირგვინებს არც დიდ ძეგლს, ბევრი არ დამახარჯოთ და ქონება ჩემი ერს გაუბოძეთო“.

ეკატერინე იმდენად მაღალი ზნეობისა და მორალის ადამიანი იყო, რომ ქმრის ანდერძი პირნათლად შეასრულა. სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე ანდერძი დატოვა თუ ვის რამდენი უნდა მიეღო, მისი მეუღლის ანდერძის მიხევით დატოვებული ქონებიდან.

დამოუკიდებლობის 100 წელი

ბიბლიო სტუდია

26 მაისი ქართველთა დიდი დღესასწაულია



კურთული სუსტოვენი
ფუძოუჩიზებული დღე!


3 ცდამეერთე საუკუნის დასაწყისია - 2018 წელი! 26 მაისს ქართველმა ხალხმა აღნიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის ასი წლისთვით, დამაზად, მხიარულად. მზე წვავდა მოედანს, სადაც გაიმართა ცერემონიალი. ამერიკულად გამოწყობილი (თბილ ფორმებში, საკმაოდ მძიმე იარაღებით აღჭურვილები...) ჩვენი ჯარისკაცებიც კოლონებად იდგნენ. ყველაფერი მართლაცდა დამაზანი სანახავი იყო რომ არა ეს ცხელი მზე... ტელევიზიის არხები ზედმიწვევნით სუფთად და შინაარსიანად აშუქებდნენ არა მარტო თბილისის, არამედ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში ჩატარებულ პარადებსაც. თავისუფლების მოედნიდან სიცხით შეწუხებული ჯარისკაცი გაიყვანა მეგობარმა. მაშინ კი ბრძანება გასცა პეზიდენტმა, ჯარებს დაეტოვებინათ მოედანი.

დამოუკიდებლობა ბევრმა უცხოელმა მოგვილოცა. ექვსი უცხო ქვეყნის პრეზიდენტი, საელჩოების წარმომადგენლები და საზღვარგარეთელი სტუმრები ესწრებოდნენ ჩვენს ზეიმს. დიახ, ასი წელი გასულა მას შემ-

დეგ, რაც ძალიან დუხშიორ და შეჭირვებულ დროში, რადაც სასწაულის ძალით საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა... დღეს ჩვენ ვიგორნებოთ იმ ისტორიულ ხანას, ძალიან გამოწვდილვით გვინდა რომ ვიცოდეთ რა და როგორ მოხდა მაშინ, ვეძიებოთ ისტორიულ დღემენტებს, ინტერესით ვკითხულებოთ იმ პერიოდის გაზეობებში გამოქვეყნებულ წერილებს, ვეცნობით თვითმხილველთა და მონაწილეთა მოგონებებს, მაგრამ მაინც, ვეჭვობ ჩავწერეთ იმ რეალობას, ვიგრძნოთ ის სიტუაციები, რაც ქართველ პოლიტოკოსებსა და ხალხში ტრიალებდა მაშინ. დიახ, როგორია იმ დღეების სრულად წარმოდგენა, შეცნობა და გაგება. რა საკვირველია, ამ შემთხვევაში უნდა დავუჯეროთ მკვლევარებს, ისტორიკოსებს და მათი წყაროების საშუალებით გავაცნოთ ჩვენი ტანჯული ქვეყნის ისტორიის ამ მეტად მნიშვნელოვანი მონაკვეთის ფაქტებს, მოვლენებს და ამბებს, რამაც მოკლევადიანი - სამწლიანი თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოგვიტანა. მაგრამ რა უძღვდა წინ ჩვენი ერის ამ საოცნებო მოვლენას? როგორ მოხდა რუსთა ოფიციალური თუ არაოფიციალური, ორასწლიანი ბატონობისაგან თავის დაღწევა?

1918 წლამდე უამრავი რამ მოხდა. ტახტიდან გადადგა რუსეთის იმპერატორი, ნიკოლოზ მეორე. რუსეთის იმპერიულ ძალასა და მოლიანობას საფუძველი მოერყა. ისარგებლებს რა მაშინდელმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, მათ შორის სოციალ-დემოკრატებმა, 1917 წლის 17 ნოემბერს თბილისში საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა გახსნეს. აირჩიეს ეროვნული საბჭო ხოე უორდანიას თავმჯდომარეობით. ამ დროს რუსეთი უპეტ გასაბჭოებულია და თვალი უჭირავს ამიკერკავკასიისაკენ. 1918 წლის იანვარში კიდევაც სცადა საქართველოს ოკუპაცია, მაგრამ ახ-





ლადშექმნილმა ქართულმა ჯარმა რუსეთის ჯარები სასტიკად დაამარცხა. ოუმცა, საშიშროება მხოლოდ რუსეთისაგან როდი მოდიოდა. ოურქეთიც ვერ მაღავდა თავის აგრესის, ამიერკავკასიას იგი რუსეთის მიერ მიტაცებულ ტერიტორიად (ასეც იყო!) მიიჩნევდა, არადა, კველაზე დიდი პრეტენზია მას პქრნდა და ცდილობდა მის ხელში ჩაგდებას. საჭირო იყო მოლაპარაკება და ოურქეთის აგრესის შეჩერება. ამ მიზნით, ამიერკავკასიის კომისარიატმა საკანონმდებლო ორგანოს სეიმი მოიწვია და 1918 წლის აპრილში გამოაცხადა ახალი, დამოუკიდებელი ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს შემადგენლობით (ოურქეთის სახელმწიფოს საპირტონე ქვეყანა). მიუხედავად ამისა, ოურქეთთან მოლაპარაკება ვერ შედგა, მან ბათუმის საზავო კონფერენციაზე საქართველოსთვის კიდევ უფრო მძიმე პირობები წამოაყენა, გარდა ამისა, რესპუბლიკელები - აზერბაიჯანი (ოურქეთიური), სომხეთი (ანგლოფილური) და საქართველო გერმანო-ფილური) თავიანთი საგარეო-ორიენტაციების მიხედვით ერთმანეთში ვერ თანხმდებოდნენ. არც გერმანია წყალობდა სამი ქვეყნის ახალ ფედერაციულ რესპუბლიკას. ეს იყო ერთ-ერთი მოტივი, როცა საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ოფიციალურად დაადასტურა გერმანოფილური საგარეო პოლიტიკური კურსი და ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაიწყო მზადება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთვის. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, ზურაბ ავალიშვილმა წარმოადგინა „საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების სანიმუშო პროექტი“ იმ დროს, როდესაც ბათუმში იმართებოდა საზავო მოლაპარაკებები ამიერკავკასიის სეიმსა და ოურქეთს შორის. ამ საგაზეოო წერილში შეუძლებელია მაშინდელი სიტუაციის დეტალური აღწერა, ვიტყვი იმას, რომ 1918 წლის 26 მაისს, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხები უკვე წინასწარ კარგად იყო მომზადებული, ვითარებაც ხელსაყრელი,


თბილისში, გავდასიის მეფისნაცვლის ყოფილი რეზიდენციის სარკეებიან დარბაზში შეიკრიბა ეროვნული საბჭოს უკანასკნელი სხდომა, ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით. სხდომა გაიხსნა 4 საათსა და 50 წუთზე, იგი დიდხანს არ გაგრძელებულა. ამ მართლაც, ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს სხდომას ეროვნული საბჭოს 42 წევრი და 36 წევრობის კანდიდატი ესწრებოდა. მოწვეულნი იყვნენ: თბილისის მიტროპოლიტი ლეონიდე, ქართველი მხედრობა, საპატიო სტუმართა შორის გამოირჩეოდნენ გერმანიის ჯარის უფროსი და გრაფი შულენბურგი თანმხლები ოფიცრებით. სეიმმა ამიერკავკასიის ფედერაცია დაშლილად გამოაცხადა და თავიდან მოიხსნა ყოველგვარი რწმუნებულება,

„დღეს თქვენ აქ მოწამე იყავით ერთი ისტორიულისა და ამავე დროს ტრადიკული აქტის. ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი ახლა ამავე დარბაზში ეყრება საფუძველი მეორე სახელმწიფოს “- ამ სიტყვებით გახსნა სხდომა ნოე ჟორდანიამ.

„საქართველოს დამოუკიდებლობის“ აქტი ეროვნულმა საბჭოს წევრებმა ერთხმად მიიღეს 1918 წლის 26 მაისის 5 საათსა და 10 წუთზე. საქართველოს გაუთენდა ისტორიული დღე, დღე, რომლისთვისაც საუკუნეების მანძილზე (მეთუთმეტე საუკუნიდან!) იღვწოდა, სისხლს დვრიდა, სიცოცხლეს სწირავდა! დიდი იყო საბჭოს წევრების სიხარული, თავმჯდომარის წინადადებით ეროვნული საბჭოს მდივანი ილია ზურაბიშვილი სასახლის აიგაზე გავიდა და იქედან წაუკითხა თავმოყრილ ხალხს დამოუკიდებლობის აქტი. ორ რაზმად ჩამწრივებულ საპატიო დარაჯებს ქიორათ ეროვნული დროშები. იყო ვაშას ძალი, ტაში, განუწყვეტელი ოვაციები. (ეს ყველაფერი აქტშია აღნიშნული).

ზეიმობდა ხალხი, რომელსაც დამოუკიდებლობა მიაჩნდა სიდარიბიდან სხინის, განვითარების, წინაგლისა და განახლების ერთადერო გზად!

ჩემი ოჯახის წევრების, ბაბუასა და თავად მამაჩემის (თორმეტი წლისა ყოფილა იმ



დროისათვის) ნამბითი მახსენდება. ოურმე ენით აუწერელი სიხარული ტრიალებდა მაშინ ქართველ ხალხში. სულ ახლახან კი პროფ. სერგო ვარდოსანიძემ ამაღლებებლი რამ მოგვითხრო ტელეარხიდან: ხაშურის ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებს, იმხანად გარდაცვლილი მამის საფლავის ქვაზე, წარწერა გაუკეთებია, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია - „გიხაროდეს მამა, ახდა შენი ოცნება, საქართველო დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყანააო!“ დიახ, სოფელში თუ ქალაქში, ყველგან - საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სიხარული სუფევდა.

არის ისტორიაში ისეთი განსაკუთრებული

ბი მოღვაწეობდნენ, მაგრამ 1921 წლის ობერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესის გზით მოახდინა თავის მიერვე ცნობილი საქართველოს სახელმწიფოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია. ჩვენ კარგად ვიცით შემდგომში რაც მოხდა, 1918 წლიდან 1991 წლამდე საქართველო, როგორც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფი, რუსეთსე უშუალოდ დამოკიდებული ქვეყანა „განვითარების“ სულ სხვა რელსებზე გადავიდა... მაგრამ არ მომკვდარა დამოუკიდგ-



ლი წუთები, საათები და დღეები, შემდგომში მოელ საუკუნეზე რომ ახდენს გავლენას. მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელმა საქართველომ მხოლოდ სამი წელი (918-1921)

გასტანა, მან უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა საქართველოს ისტორიაში და სამაგალითო გახდა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების სოფისაც, როგორც თავისუფლებისა და დემოკრატიის სწორ გზაზე შემდგარი ქვეყანა. მთავრობაში უნიჭიერესი პიროვნებები, პოლიტიკოსე-

ბლობისა და თავისუფლებისაგენ ლტოლვის სურვილი, ჩატარდა რა 1991 წლის 31 მარტის რევოლუციით, ქართველმა ხალხმა, იმავე წლის 26 მაისს კვლავ აღადგინა საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობა, რომლის საფუძველი 1918 წლის 26 მაისის აქტი და კონსტიტუცია გახლდათ. ეს ორი დოკუმენტი, - საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი და კონსტიტუცია, დღესაც კი იურიდიული ძალის მქონეა.

**ახალციხის რაიონის სოფელ საყუნეთის ბიბლიოთეკის
ბიბლიოთეკარის რეცეპტი**

მომზადების დრო:	1 თვე
სირთულე:	
ყველაზე მეტად უხდება:	ღიმილი, საქმისადმი ერთგულება, ამბიცია და თავდაუზოგავი შრომა

რა იყო „ინტერნეტი ყველა სოფლის
ბიბლიოთეკის“ წარმატების რეცეპტი
საყუნეთის ბიბლიოთეკაში?

საყუნეთში ბიბლიოთეკა სულ რაღაც ერთი
წელია აღდგა, თუმცა წიგნადი ფონდი საკმაოდ
მოძველებული იყო, ამიტომ არც მკითხველი
მყავდა და არც ინტერესით მიყურებდა
მოსახლეობა. ბიბლიოთეკრად დანიშვნის
დღიდან თავს ვთვლიდი ერთ ჩვეულებრივ
ბიბლიოთეკრად. თუმცა ბიბლიოთეკის
კომპიუტერული ტექნოლოგით და
ინტერნეტით აღჭურვამ გაასამმაგა მოსახლეობის
ინტერესი და მოთხოვნა ბიბლიოთეკის მიმართ.
დღეს მიხარია და მეამაყება, რომ დღის
განმავლობაში ბიბლიოთეკაში რამდენიმე
ათეული მომხმარებელი შემოდის. ჩემს
ბიბლიოთეკას ახალი სიცოცხლე დაუბრუნდა.



ინგრედიენტები :

- კომპიუტერული ტექნიკა
- სწრაფი, ულიმიტო ინტერნეტი
- თანამშრომლობა სკოლასთან,
მეზობელი სოფლის საბავშვო
ბაღთან.
- ადგილობრივი მოსახლეობის
მხარდაჭერა.
- მეგობრული, სანდო და
კეთილგანწყობილი გარემო.
- მოსახლეობის ინტერესის
გათვალისწინება

XXI საუკუნე ეს კომპიუტერის და ტექნოლოგიების
ხანაა და ვთვლი, რომ ჩვენს ბიბლიოთეკაში
კომპიუტერისა და ინტერნეტის არსებობამ მხარი
აუბა მსოფლიო კომპიუტერიზაციას. ინტერნეტში
ჩართულმა კომპიუტერმა საშუალება მოგვცა, რომ
ჩემი საქმიანობა უფრო საინტერესო გამეხადა.
კომპიუტერის საშუალებით უამრავი ადამიანი
მოვიზიდე ბიბლიოთეკაში. მათ ვუწევ სხვადასხვა
სახის მომსახურებას. ვითვალისწინებ მათ რჩევებს.
ხშირად თვითონ გამოთქვამენ იდეებს და
მემარებიან მათ განხორციელებაში.
კომპიუტერით ყოველ დღე ვეკონტაქტები
საქართველოს მაშტაბით ჩემს კოლეგა
ბიბლიოთეკარებს. ვიღებ მათგან დახმარებას და
რჩევებს. ისინი რომ არა ჩემი ბიბლიოთეკა არ
იქნებოდა ისეთი აქტიური როგორიც ეხლაა.



ვთვლი, რომ ბიბლიოთეკამ არა მხოლოდ დახმარება უნდა გაუწიოს მოსახლეობას, არამედ ეს უნდა იყოს მიმზიდველი და მყუდრო გარემო, სადაც ყველას მოესურვება შემოსვლა, დასვენება. ადგილი სადაც მოსწავლეებს შეეძლებათ მეცადინეობა. თემს შეეძლება შეკრება და სხვადასხვა საკითხების განხილვა, ხოლო სტუმრად ჩამოსული დამსვენებლისთვის ეს იქნება ადგილი, სადაც სიხარულით შემოვა და გაატარებს თავისუფალ დროს.

სოფიო ბერიძე

**ახალციხის რაიონის სოფელ საყუნეთის
ბიბლიოთეკარი**

„შეფ-მზარეულის“ რჩევები:

ჩემო ძვირფასო კოლეგებო და მეგობრებო, ბიბლიოთეკაში შევქმნათ ისეთი კარგი გარემო, რომ სოფლის ყველა მაცხოვრებელს მოუნდეს შემოსვლა. ჩვენ კი მუდმივად მზად უნდა ვიყოთ, რომ მათ გავუწიოთ დახმარება.

**რა უნდა
გააკეთოთ თქვენ:**



- გავითვალისწინოთ თემის ონტერესი
- ბიბლიოთეკა გავხადოთ საინტერესო, მიმზიდველი და მრავალი ფუნქციით დატვირთული.
- ვიყოთ ღიმილიანები, აქტიურები, ენერგიულები და ამბიციურები.

მაითხმულთა მომსახურება

აცნა იწესი

ერთი დღე ბიბლიოთეკის ცხოვრებიდან (თარგმანი ინგლისურიდან)

(დასაწყისი იხ. წინა ნომრებში)

თავი 3

ბავშვთა მომსახურების ბიბლიოთეკარი

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება საჯარო ბიბლიოთეკის ბავშვთა განყოფილების ფანტასტიკურ სამყაროში! სამუშაოს ოფიციალურ აღწერილობაში ნათქვამია, რომ მეგალება არასრულწლოვნებისა და მათი მეურვეებისთვის ფონდების მოწესრიგება და მომსახურების გაწევა. აქ შედის ადგილზე მომსახურება, ხელსაქმისა და ზეპირი კითხვის პროგრამების, სხვადასხვა საპოპულარიზაციო პროექტების განხორციელება, საბავშვო საბიბლიოთეკო სივრცის ორგანიზება და სხვა მრავალი. სინამდვილეში კი ეს ნიშნავს, რომ მე ვაკეთებ ყველაფერს, რაც შემიძლია, რათა ბავშვებმა მაქსიმალურად ისარგებლოონ ბიბლიოთეკით და შეიყვარონ კითხვა. შესაბამისად, გეხმარები თჯახებს, მასწავლებლებსა და საბავშვო ბადებს თავიანთი სოციალური როლის შესრულებაში. მე ვარ ჩვენს მომსახურებელთა ამ სეგმენტის უფლებათა დამცველი ბიბლიოთეკაშიცა და, ვყიქრობ, ზოგადად საზოგადოებაშიც. ეს თან სახალისო და თან სრულებით გიჟური საქმეა!

პატარა შესავალს გავაკეთებ: კანადის ალბერტას პროვინციის ქალაქ ედმონტონის მოსახლეობა, 2005 წლის მონაცემებით, 712391 ადამიანს შეადგენს. ქალაქის ცენტრში მდებარე ჩვენი ბიბლიოთეკა წარმოადგენს ადგილობრივი საბიბლიოთეკო ქსელის სათავო ოფისს და კომპლექტებისა და კატალოგიზაციის ცენტრალიზებული სისტემით. ქსელში გაერთიანებულია თექსემეტი ფილიალი, აქედან ოთხი საოლქო ფილიალია, რომელიც შედარებით მსხვილ ფონდებს ფლობს. ფილიალების პერსონალს შეადგენენ ფილიალის ხელმძღვანელი, ხელმძღვანელის თანაშემწერ, მოზრდილთა მომსახურების ბიბლიოთეკარი და ბავშვთა მომსახურების ბიბლიოთეკარი. ბავშვთა მომსახურების ოთხივე ბიბლიოთეკარი მუშაობს ცენტრალური ბიბლიოთეკის ბავშვთა მომსახურების ბიბლიოთეკართან ერთად, რათა კოორდინი-

რება გაუწიონ სხვადასხვა ფილიალში განსახორციელებულ პროგრამებს. ჩვენ აგრეთვე გუნდურად ვმუშაობთ ბიბლიოთეკის მრავალ სხვა თანამშრომელთანაც ისეთ პროექტებზე, როგორიცაა „საზაფხულო კითხვის კლუბი“ და „სკოლამდევლოა პროგრამა“.

წინამდებარებული მომსახურების ბიბლიოთეკარად ისეთ ადგილებშიც მიმუშავია, სადაც იყო მხოლოდ ერთი ბიბლიოთეკა და ბევრად უფრო მცირე თემს ვემსახურებოდი. მცირე ბიბლიოთეკაში გიწევს ერთდროულად მრავალი როლის შესრულება: ბავშვთა ბიბლიოთეკარიც ხარ, წიგნების გაცემაც შენ გეგადება, წიგნების რესტავრატორიც შენ ხარ, სანტექნიკოსიც, კომპიუტერის შემკეთებელიც და ა.შ. მსხვილ ბიბლიოთეკაში შემიძლია უფრო მეტად ვარცენტრიდე უშეალოდ ბავშვთა მომსახურებაზე. იმის მაგივრად, რომ ბავშვთა ყველა პროგრამა პირადად განვახორციელო, რისი გაეცემა მიწევდა პატარა ბიბლიოთეკაში, ამ მოვალეობებს ვუნაწილებ ბიბლიოთეკის სხვა თანამშრომლებს და შედეგად უფრო მრავალფეროვან მომსახურებასაც ვთავაზობ.

დონისძიებების დაგეგმვა: „კითხვის საათი“ და „თამაშების სადამო მოზარდებისთვის“

მოდი, დავიწყოთ იმით, რაც ჩემი საქმიანობის ერთ-ერთ ყველაზე სასიამოვნო ასპექტად მიმაჩნია: დონისძიებების დაგეგმვა. ანუ იგულისხმება ყველა ის საბიბლიოთეკო დონისძიება, რომელშიც ნორჩი მკითხველები მონაწილეობენ. თქვენთვის, ალბათ, ნაცნობია საბიბლიოთეკო მომსახურების ფორმა „კითხვის საათი“: წამყვანი ხმამაღლა უკითხავს ბავშვების ჯგუფს დასურათებულ წიგნს და თან ყველანი ერთად მდერიან ანდა თამაშობენ. ამას შეიძლება დაემატოს გაროობის სხვა ფორმებიც, მაგალითად, ხელსაქმე, სხვადასხვა თამაში, ფილმების ჩვენება, სტუმრების მოწვევა და სხვა. დამსწრეთა ასაკიდან გამომდინარე, პროგრამები განსხვავდება. არსებობს პროგრამა პატარა ბავშვებისთვის, როდესაც დედები და შვილები წრეზე სხვადებიან და სწავლობენ საბავშვო ლექსებს,

ენის გასატეხებს და მშობლები ეცნობიან ისეთ მიღვომებს, რომელთა დახმარებითაც მათ შეუძლიათ გაუზიარონ წიგნების შინაარსი თავიანთ პატარებს. პატარა ბავშვებისთვის იმართება შეხვედრები, სადაც ისინი მდერიან, თოჯინებით თამაშობენ და მარტივ მოთხოვდებს ჰყვებიან. არსებობს საბიბლიოოთეკო ტურები სკაუტი გოგონებისა და საბავშვო ბალის ჯავუბებისთვის, რომლების დროსაც ჩვენ ვაცნობთ ბავშვებს ჩვენს რესურსებს და ვასწავლით, როგორ მოუარონ წიგნებს. გვაქვს პროგრამები სკოლამდელი და სკოლის ასაკის ბავშვებისთვის, რომლებშიც შედის ყველაფერი: დახმარება საშინაო დაგალების შესრულებაში, სახალისო სამეცნიერო სანახობები, კონკრეტული წიგნების განხილვა ან თუნდაც საშობაო ხის ქვეშ ირმის კოსტიუმში ჯდომა და წიგნის ხმამაღლა კითხვა! ეს არის საოცრად შემოქმედებითი გარემო, რომლის შესაძლებლობები მართლაც რომ ამოუწურავია!

ერთი დღის განმავლობაში ჩემი ვალდებულებები შეიძლება მოიცავდეს ჩემი საკუთარი ღონისძიებების დაგეგმვას, რეკლამირებასა და ჩატარებას, სხვა თანამშრომლების დახმარებას მათი ღონისძიებების მომზადებაში და, ასევე, გუნდურ მუშაობას სხვა ბიბლიოთეკების თანამშრომლებოთან ქალაქის მასშტაბით დაგეგმილ ღონისძიებათა ციკლის განხორციელებაზე. თეატრალური ნიჭი და ღონისძიების დაგეგმვის უნარი ნამდვილად დაგეხმარებათ ამ საქმიანობაში. მაგალითად, ბევრი ბიბლიოთეკა ცდილობს გააუმჯობესოს მომსახურება და ამისთვის ქმნის მოზარდ მკითხველთა საკონსულტაციო ჯგუფებს და მასპინძლობს ვიდეოთამაშების ტურნირებს, წიგნის კლუბებსა და კარაოკეს სადამოებს. თუ ბალის ასაკის ბავშვებთან და მოზარდებოთან ერთად სიმღერა და ხალისი შეგიძლიათ, წარმატება გარანტირებული გაქვთ. ხალხის მისაზიდად სწორედ თქვენი ენთუზიაზმია საჭირო და არა, მაგალითად, უბადლო ხმა და სიმღერის უნაკლო შერულება.

ფონდები: რა უნდა შეიძინოთ, რა გამოხიროთ და სად რა განათავსოთ

ზოგიერთ ბიბლიოთეკაში ბავშვთა ბიბლიოთეკარებს აძლევენ განსაზღვრულ თანხას ყველანაირი მასალის შესაძენად. სხვა ბიბლიოთეკებში საბიუჯეტო თანხა განაწილებულია კატეგორიების მიხედვით: რამდენი უნდა დაიხარჯოს რბილყდიან წიგნებზე,

მაგარყდიან წიგნებზე, აუდიოვიზუალურ მასალებზე და ასე შემდეგ. ამ ერთეულების კატალოგიზაცია და დამუშავება ჩვენს ბიბლიოთეკას ევალება, ამის შემდეგ ისინი იგზავნება ცილიალებში. მე გასაგზავნი ტვირთის თითოეულ პარტიას ვამოწმებ და ყურადღებას ვაქცევ რამდენიმე დეტალს: სწორად მიენიჭა გამოცემას შენახვის შიფრი და დასახელება? სწორად აწერია დანიშნულების ადგილი? ან, მაგალითად, ხომ არ გამოდგება იგი „პიონერის საათის“ ღონისძიებისთვის ან კონკრეტული პრეზენტაციისთვის? ეს ასპექტები განსხვავდებული იქნება ოქვენი ბიბლიოთეკის სპეციფიკიდან გამომდინარე, მაგრამ საჭიროა, რომ ვინმე საონადო ყურადღება მიაქციოს ასეთ დეტალებს და უზრუნველყოს, რომ ერთეული ოპტიმალურ დროსა და ადგილას იქნეს გამოყენებული, რათა მიზნიდოს ახალგაზრდა მკითხველები.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ვყიდულობ მხოლოდ წიგნებს ძველი ეგზემპლარების ჩასანაცვლებლად და ფონდების აუცილებელი ერთეულებით შესავსებად, წინა სამსახურებში პასუხისმგებელი ვიყავი ყველანაირი საყმაწვილო მასალების შეკვეთაზე და ამიტომ ვკითხულობდი რეცენზიებს ისეთ გამოცემებში, როგორიცაა „სასკოლო ბიბლიოთეკების უკრნალი“ (შპკოლ ზიბრარყ უზრნალ) და „ბუკლისტი“ (ოოკლისტი). ამჟამად ჩვენი ფონდები მოიცავს სხვადასხვა ფორმატების მასალას (როგორიცაა დი-ვი-დი, ნახატი (გრაფიკული) რომანები და ელექტრონული რესურსები), ამიტომ მიწევს უფრო მეტი მუშაობა, რომ მოვიპოვო კარგი საინფორმაციო წყაროები შესაძენი მასალების ხარისხის შესაფასებლად. ბევრი მიმოხილვით უკრნალი და ვებსაიტი ისე ხშირადაც არ განახლდება, რომ მუდმივად უახლესი ინფორმაციის წყაროდ გამოდგეს. აგრეთვე როგორია გადაწყვეტილების მიღება ისეთ მასალებთან მიმართებით, რომელიც აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, მაგრამ დიდი პოპულარობით სარგებლობს, მაგალითად, მუსიკა უხამსი ან ძალადობრივი ტექსტით. რა ვიყიდოთ? როგორ უნდა მოხდეს კატალოგიზაცია? სად უნდა განთავსდეს ბიბლიოთეკაში ესა თუ ის ერთეული? რა ვქნათ, რომ ეს ერთეული არ მოიპარონ ან არ დაზიანდეს? თუ შემიძლია მკაფიოდ აგხსნა, თუ რატომ შევიძინე ესა თუ ის ერთეული, უფროსობისთვისაც უფრო ნათელი ხდება, რომ მე პასუხისმგებლობით ვეკიდები ჩვენს რესურსებს, და, შესაბამისად, მიადგილდება ჩემი გადაწყვეტილებების დასაბუთება.

საბიბლიოთეკო მასალების გადასინჯვა:
შევინახოთ, შევცვალოთ თუ მოვიშოროთ?

ზოგჯერ ცვლილებების საჭიროება ჩნდება მას შემდეგ, რაც საბიბლიოთეკო ერთეული უკვე წიგნსაცავშია. ფონდების გადასინჯვის საწყის ეტაპზე კი, ისევ და ისევ, უმეტესად სწორედ მე ვარ პასუხისმგებელი პირი.

ეს ცვლილებები შეიძლება იყოს მარტივი, როგორიცაა, მაგალითად, წიგნის გადამისამართება „ზარმაცი მკითხველების“ ფონდში, ან როტული: მაგალითად, პასუხის გაცემა რომელიმე მშობლის საჩივარზე, რომელიც ითხოვს, რომ შეურაცხმყოფელი ნაბეჭდი ერთეული ამოღებული იქნება ბიბლიოთეკის ფონდიდან. ზოგჯერ მკითხველებს უნდათ, ვიდაცამ უბრალოდ მოუსმინოს და აუხსნას, რატომ დევს კონკრეტული წიგნი იქ სადაც დევს. მათ აგრეთვე შეიძლება ჰქონდეთ შეკითხვები სხვადასხვა წესის შესახებ, მაგალითად, რატომ არ არის დაყენებული კომპიუტერებზე ინტერნეტის გამფილტრავი პროგრამები. ზოგიერთი პრობლემა უნდა წერილობით მოეხსენოს სხვა მენეჯერებს, ზოგჯერ კი საბიბლიოთეკო საბჭოსაც, რომელიც საბიბლიოთეკო მასალებთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს. თუმცა პრობლემების უმრავლესობა ადგილზევა გვარდება.

უნდა ითქვას, რომ, ალბათ, ბავშვთა მომსახურების ბიბლიოთეკარს მოუწეს შეჯახება ისეთ ადამიანებთან, რომლებსაც სურთ, გიკარნახონ, თუ რა წიგნებზე უნდა მიუწვდებოდეს ან არ მიუწვდებოდეს ხელი არა მარტო მათს შვილს, არამედ მათს უბანში მცხოვრებ ყველა ახალგაზრდას. ინტელექტუალური ოვისუფლებისადმი ერთგულება და თქვენი აზრის ნათლად გადმოცემის უნარი დაგეხმარებათ, რეალური გავლენა მოახდინოთ ბავშვთა მომსახურებაზე თქვენს ბიბლიოთეკაში. ფონდების დაკომპლექტების წესები, ინტელექტუალური ოვისუფლების მხარდამჭერი განცხადებების გაკეთება, პრობლემურ მასალებთან მოპყრობის პროცედურები და თქვენი ბიბლიოთეკის ადმინისტრაციის მხარდაჭერა სასიცოცხლოდ აუცილებელია ბიბლიოთეკის გამართული მუშაობისთვის. უნდა შემეძლოს იმის ახსნა, თუ რატომ სთავაზობს ან არ სთავაზობს ბიბლიოთეკა ოვის მომხმარებლებს ამა თუ იმ მასალას ან მომსახურებას, და ყოველთვის უნდა გავითვალისწინო ახალგზარდების ინტერესები, როდესაც ვადგენ სტანდარტებს, რომლებიც გავლენას ახდენს საბიბლიოთეკო მომსახურების ხელმისაწვდომობაზე.

რეკომენდებული ლიტერატურის სიების შედგენა: მკითხველისთვის შესაფერისი წიგნის პოვნა

თქვენი არჩევანისა და ძალისხმევის შედეგად მკითხველები ხშირად პოულობენ (ან ვერ პოულობენ) სასურველ საბიბლიოთეკო მასალებს. ამას დადგებითი გაგებით ვამბობ: სამკითხველო დარბაზში მუშაობითა და ამათუ იმ ლიტერატურის რეკომენდებით ბიბლიოთეკარი ეხმარება მკითხველს, იპოვოს ის, რაც დააკმაყოფილებს მის ინტელექტუალურ და რეკრეაციულ მოთხოვნილებებს. რაც უფრო მეტი იცით არა მარტო ინფორმაციის ირგანიზების ფორმებზე, არამედ კონკრეტულად ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებსა და საბავშვო ლიტერატურაზე, მით უკეთ მოახერხებოთ მკითხველთა სურვილების დაკმაყოფილებას. პირადად მე საბიბლიოთეკო ფაკულტეტზე დიდად არც არავერი მისწავლია კითხვის უნარის განვითარების ეტაპების შესახებ. ლექციები ძირითადად ეხებოდა საბავშვო ლიტერატურას, მის ისტორიას, თემატიკასა და სტილებს.

გირჩევთ, რაც შეიძლება მეტი ისწავლოთ კითხვის სწავლების პროცესზე და კარგად გაერკვეთ, როგორი წიგნი შეეცერება ბავშვის განვითარების თითოეულ ეტაპს. თქვენი ცოდნა დიდად გამოგადგებათ, ვოქვათ, როდესაც მშობელი გოთხოვთ წიგნს ცხენების შესახებ მესამეგლასელი გოგონასთვის, რომელსაც ჯერ კიდევ უჭირს კითხვა, ან როდესაც თქვენობან მოდის მექქსეკლასელი ბიჭი, რომელსაც უყვარს ფანტასტიკის ჟანრი და ეძებს „რამე შედარებით როტულს“.

აი კიდევ რამდენიმე სფერო, რომელშიც უნდა ერგვოდეთ: ხელმისაწვდომ მასალათა ტიპები; მასალათა შორის განსხვავება სტილების, ფორმატების, ავტორებისა და კითხვის უნარის დონეების მიხედვით; ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ოჯახურ გარემოზე, მაგალითად, ეკონომიკა, მასობრივი კულტურა, მასმედია, განათლების სისტემა, ბავშვის მოვლისა და აღზრდის სტილი, მოზარდული კულტურა. აგრეთვე უნდა გესმოდეთ იმ კონკრეტული ჯგუფების საჭიროებები, როგორიცაა განსაკუთრებულ საჭიროებათა მქონე ბავშვები, ხელმოკლე თჯახები, რისკის ჯგუფში შემავალი ახალგაზრდები, ეთნოკულტურული ჯგუფები. ძალიან გრძელი სიაა, არა? თავიდანვე ყველაფრის სწავლა შეუძლებელია, უბრალოდ, ცადეთ, მეტი შეიტყოთ თქვენი მკითხველების ინდივიდუალური საჭიროებების შესახებ. შეგიძლიათ ძალიან ბევრი ისწავლოთ სტატიებიდან,

ხალხთან საუბრიდან და ოქვენი კოლეგებისგან. ოქვენს მკითხველთა კონტინგენტის მიმართ ინტერესი და სწავლის სურვილი კარიერაში ძალიან დაგეხმარებათ.

პარტნიორობა და მოსახლეობასთან ურთიერთობების განვითარება

მკითხველებთან და მოსახლეობასთან ურთიერთობების გამყარება არა მარტო იმაში დაგეხმარებათ, რომ მიაწოდოთ მათ საჭირო წიგნები, არამედ მათ მხარდაჭერასაც მოიპოვებთ, რომელიც ბიძლიოთებას ყოველთვის სჭირდება. პარტნიორობა უნდა იყოს ორმხრივად ხელსაყრელი. მაგალითად, სკოლებთან თანამშრომლობა საშუალებას აძლევს ორივე მხარეს, რომ ცოდნაც მიაწოდოს ბავშვებს და კითხვაც შეაყვაროთ. დედების ადგილობრივ გაერთიანებებთან თანამშრომლობა ხელს უწეობს საბიძლიოთები მომსახურების პოპულარიზებას და, ამავდროულად, ეხმარება მშობლებს ბავშვთა აღზრდის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღებაში. საინტერესოდ და შემოქმედებითად განვითარებული პარტნიორობა წარმატებას მოუტანს ბიძლიოთებასაც და საზოგადოებასაც. იქნებ წიგნები „ახალგაზრდა ქრისტიანთა ასოციაციის“ ადგილობრივ ფილიალს ასესხოთ ხოლმე? ან დართოთ ნება, რომ ოქვენი დონისძიებების ოთახში ჩატარდეს ხოლმე ენის გაგვთილები? იქნებ „კითხვის საათი“ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებს შესთავაზოთ? მსგავსი ურთიერთობების გაღრმავებით არა მარტო ჩვენი რესურსების მაქსიმალურად ზრდაზე ვზრუნავთ, არამედ ბიძლიოთებას ჩვენი ადგილობრივი თემის განუყოფელ ნაწილადაც ვაქცევთ.

ადგილზე მომსახურება: „ხვალისთვის მზად უნდა მქონდეს“ — „ჩვენ კი ხუთ წუთში ვისურებით“

მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტმა სკოლის მოსწავლეებს ინფორმაციის მოპოვების ახალი არხები გაუჭრა, დღესაც შეხვდებით ხოლმე ბიძლიოთებებში სასოწარევით ბავშვებს საშინაო დაგაღების ჩაბარების წინა დამეს. ხშირად დასტული შეკითხვებისთვის გზამგლევის (შესაბამისი რესურსების ერთგვარი სიის) შემუშავება არის ძალიან კარგი მეთოდი მოსწავლეთა დასახმარებლად, როცა მათ სასწავლოდ სჭირდებათ რამის პოვნა. თუ გაეცნობით ადგილობრივი სკოლების სასწავლო პროგრამებსა და პროექტებს, უფრო ადგილად გაუმკლავდებით ბავშვების

მოულოდნელ შემოსევებს, როცა ყველა ერთ და იმავე ოქმაზე ეძებს ინფორმაციას. ოქვენს ნორჩ მომხმარებელთა კითხვებზე პასუხის გასაცემად, ალბათ, დაგჭირდებათ უფრო მეტი ელექტრონული რესურსის გამოყენება. მათ დასჭირდებათ ოქვენი დახმარება, რათა გონივრულად გამოიყენონ ეს რესურსები; იმ ბავშვებსაც კი, რომლებიც თავს ექსპერტებად მიიჩნევთ ონლაინძიებაში, შეიძლება ოქვენი ერთო-ორი რჩევა ძალიანაც გამოადგეთ.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამის კეთება ბიძლიოთების „კულისებში“ მოგიწვოთ, დარბაზში მკითხველებთან ყოველდღიური ურთიერთობა ყოველთვის ოქვენი ერთ-ერთი მთავარი მოვალეობა იქნება. ასწავლეთ მკითხველებს ზღვა ინფორმაციის მუდმივად ცვალებად ტალღებში ცურვა, რადგან ეს ნამდვილად უდიდეს კმაყოფილებას მოგანიჭებთ. იმასაც მივხვდი, რომ ძალიან როულია ბალანსის დაცვა ჩემსა და მკითხველის სურვილებს შორის: მათ სურთ, რომ დამოუკიდებლად მოიძიონ მასალა, მე კი — რომ ყველაფერი „სწორად გააკეთონ“. მაგალითად, შეიძლება მინდოდეს ხელიდან წავაროვა კლავიატურა რგა წლის ბავშვს, რომელსაც არ შეუძლია სიტყვის უშეცდომოდ აკრეფა, და ჩემით ჩავწერო საძიებო ტერმინები. ასევე, შეიძლება მინდოდეს მკითხველის განრიდება ბულგარული რომანების გაუთავებელი კითხვისგან და მისთვის უფრო სოლიდური ლიტერატურის შეთავაზება. მაგრამ მე აქ იმისთვის ვარ, რომ ვემსახურო მათს საჭიროებებს. ამიტომ, როდესაც ვთავაზობ მშობლებს უამრავ ბრწყინვალე სტატიას სწავლის უნარის დაქვეითებასთან დაკავშირებით, მაგრამ მათ მაინც ურჩევნიათ „ყურადღების დეფიციტი მხიარულ ალფისთან ერთად!“ ან რამე მაგდაგვარი, მე უბრალოდ უნდა ავტესნა, თუ რატომ მიმაჩნია, რომ ჩემ მიერ რეკომენდებული სტატიები უფრო მეტ სასარგებლო ინფორმაციას შეიცავს, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება თავად უნდა მიიღონ. თუმცა, რათმა უნდა, დამაინტების უმეტესობას სურს მიიღოს ყველაზე ადგევატური ინფორმაცია და ოქვენი მაღლიერია, როდესაც ცდილობთ ამ ინფორმაციის მიწოდებას. როცა ვიცი, რომ ჩემი ძალისხმევით რაიმენაირად დავეხმარე ვიდაცის კვლევა-ძიებას, თავს საჭირო ადამიანად ვგრძნობ და ძალიან მიხარია.

მენჯმენტი და ფინანსები: ხალხი, ფული და სხვა რესურსები

აღმოჩნდა, რომ იმაზე უფრო ხშირად მიწევს ხელმძღვანელის როლის შესრულება, ვიდრე

ოდესმე წარმოვიდგენდი. სხვადასხვა დროს ხან რეფორმების გატარება მიწევდა, ხანაც ინტელექტუალური თავისუფლებისა და განათლების უფლების დაცვა. იყო შემთხვევები, როცა პიროვნებათშორის კონფლიქტებსა და იმედგაცრუებას ვერ ვუმკლავდებოდი. ჩემი დღე სავსეა ისეთი ურთიერთობებით, როდესაც მიწევს ვუბიძოთ სხვა ადამიანებს, რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ საერთო პროექტებში. გინდ მკითხველებთან და გინდ თანამშრომლებთან, ჩემი მთავარი მოვალეობაა კარგი ურთიერთობების დამყარება და სხვა ადამიანებში მათი საუკუთესი მხარეების გადვივება.

მოელი ჩემი კარიერის განმავლობაში ვცდოლობ დავიცვა ახალგაზრდა მკითხველების ინტერესები და დავარწმუნო დანარჩენები, რომ ზოგჯერ საჭიროა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. სამწუხაროდ, ზოგჯერ ძალზე როელია სხვების დარწმუნება ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურების პრიორიტეტულობაში. უნდა განივითაროთ დარწმუნების უნარი. მენეჯმენტისა და ფინანსური საკითხების კარგი ცოდნა იმაში დაგეხმარებათ, რომ ზუსტად ახსნაო, თუ როგორ აპირებთ რესურსების გამოყენებას, რა სარგებელს მიიღებთ და რა სახის პასუხისმგებლობას აიღებთ მიღებულ შედეგებზე. სტატისტიკის, შედეგებისა და წმინდა მოგების ენაზე საუბარი ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურებაშიც ისევე მნიშვნელოვანია, როგორც უოლ-სტრიტზე. ჩემი სამუშაოს განუყოფელ ნაწილად იქცა პოლიტიკისა და ეკონომიკის სიახლეებისთვის თვალყურის დევნება: ასე კოველთვის ვიცი, თუ როდის წამოგწიო კონკრეტული ინიციატივა და ვის მივმართო მხარდაჭერისთვის. ვისგანაც უნდა ითხოვდეთ დახმარებას

— უურნალისტებისგან თუ დამლაგებლისგან, — იცოდეთ, რომ წარმატებას ხშირად მეგობრული ურთიერთობები განაპირობებს.

შეჯამება

ეს თავი, ისევე როგორც თავად სამუშაო, არ არის სტრუქტურულად დალაგებული და ასახავს სამუშაოს სინამდვილეს — ის, რომ გიწევს ერთდროულად ბევრი სხვადასხვა მიმართულებით მუშაობა. მაგრამ ბავშვთა მომსახურების ბიბლიოთეკარობა სწორედ იმითად საინტერესო, რომ გეძლევათ საშუალება, თავი ყველა ამ მრავალფეროვანი მიმართულებით გამოცადოთ. არის რაღაც ჯადოსნური იმაში, როდესაც ბავშვებს აცნობ წიგნების სამყაროს. სწორედ ეს ჯადოსნობა და ადამიანთა ცხოვრებაზე დადებითი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა მაძლევს სტიმულს ჩემს საქმეში.

ამონარიდი წიგნიდან „ერთი დღე ბიბლიოთეკის ცხოვრებიდან: კარიერული წარმატება საბიბლიოთეკო საქმესა და საინფორმაციო მეცნიერებაში“ (პრისცილა პ. შონტზისა და რიჩარდ ა. მარის რედაქტორებით; Shontz, Priscilla K. and Richard A. Murray, editors. *A Day in the Life: Career Options in Library and Information Science*. Libraries Unlimited, 2007)

ინგლისურიდან თარგმნა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პარლამენტის სამეცნიერო-საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომელმა ონათინ სულუხიამ.

ქართველი აკადემიური ინტერნეტი

ის ბობიშვილი

„საქართველოს ბიოგრაფიული ლექსიკონის“ წარსული და დოკუმენტი

2001 წელს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკის ავტომატიზაციის განყოფილებაში (ხელმ. თემიშვილის ხელნაშენი) განხორციელდა პროექტი - „შეიქმნა ვებსაიტი „ქართველი ავტორები ინტერნეტში“, (<http://www.nplg.gov.ge/authors>) რომელიც მოიცავდა საქართველოსა და უცხოეთში მოღვაწე სხვადასხვა დარგის ქართველი მეცნიერების, ავტორების, მწერლების, პოეტების ბიოგრაფიული ცნობების მონაცემთა ბაზას, ასევე მათი ავტორობით გამოსული წიგნების ანბანურ სიას საძიებლით. (სურ.1)

ლი ბიბლიოთეკის სამართლისა და ბიზნესის ინფორმაციის განყოფილება (განყოფილების უფროსი რუსულ დანელია). ელექტრონული ცნობარი, რომელ შიც შედიოდა როგორც თანამედროვე, ისე კლასიკოსი ავტორები, ინტერნეტ მომხმარებლებს შორის საკმაოდ დიდი ინტერესით სარგებლობდა.

ინტერნეტის განვითარებამ, ქართული შრიუბის კოდირების შეცვლამ აუცილებელი გახადა ინტერნეტ ცნობარის განახლება, ვინაიდან ვედარ ხერხდებოდა ახალი მონაცემების დამატება და ვეღარც ინტერნეტ მომხმარებელი ხედავდა ქართულ შრიფტს.



პროექტი დააფინანსა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და კულტურული ურთიერთობის ბიურომ (ECA), ხოლო მისი ადმინისტრირება განხორციელდა საერთაშორისო კვლევისა და გაცვლის საბჭოს (IREX) მიერ.

პროექტის „ქართველი ავტორები ინტერნეტში“ ძირითადი მიზანი იყო შექმნილები ქართველი ავტორების მონაცემთა ბაზა, ელექტრონული ცნობარი, რომელიც შემდგომ საქართველოს გამომცემლობების და ავტორების ავტორიტეტული ფაილის შექმნის საფუძველი გახდებოდა. ავტორიტეტული კონტროლი საჭიროა დახარისხებისთვის, რათა ერთნაირი სახელისა და გვარის ადამიანზე, ორგანიზაციაზე, ნაშრომზე არსებული მონაცემები ერთად დალაგდეს.

ვებსაიტის „ქართველი ავტორები ინტერნეტში“ ტექნოლოგიური გარემო შეიქმნა ავტომატიზაციის განყოფილების წამყვანი სპეციალისტის, გიორგი ბახიას ავტორობით. მონაცემთა შეგროვებასა და ბაზის შევსებაზე მუშაობდა ეროვნული

გაითვალისწინა რა „ქართველი ავტორების“ მონაცემთა ბაზის შინაარსის მნიშვნელობა ქართული ინტერნეტ სივრცისთვის, საბიბლიოთეკო მომსახურებისა და ინფორმაციის დეპარტამენტმა დააყენა საკითხი ვებსაიტის და მონაცემთა ბაზის ტექნოლოგიური გარემოს განახლებასთან დაკავშირებით. (სურ.2)

2012 წელს ელექტრონული ცნობარი ტექნოლოგიურად დაიხევეშა, ძრავი და სამომხმარებლო ინტერფეისი მთლიანად გამოიცვალა. ძველი ბაზიდან ახალ ბაზაში გადავიდა

Georgian Authors Biographies, Books and other Publications		English Georgian																																					
Home Categories Search Author Name: <input type="text"/> <input checked="" type="checkbox"/> Exactly <input type="checkbox"/> Search Suggest a Biography	Authors by first letter Total 955 authors <table border="1" style="width: 100%; border-collapse: collapse; text-align: center;"> <tr><td>A</td><td>B</td><td>C</td><td>D</td><td>E</td><td>F</td><td>G</td><td>H</td><td>I</td><td>J</td><td>K</td><td>L</td><td>M</td><td>N</td><td>O</td><td>P</td><td>Q</td><td>R</td><td>S</td><td>T</td><td>U</td><td>V</td><td>W</td><td>X</td><td>Z</td></tr> </table> Recently updated <table border="1" style="width: 100%; border-collapse: collapse; text-align: center;"> <tr> <td style="width: 30%;">  ვაჲა გორგაძე, გერმანია 1940 Playwright, Linguist, Poet </td> <td style="width: 30%;">  გიორგი ბახია, საქართველო 1936 Architect </td> <td style="width: 30%;">  გიორგი გორგაძე, უკრაინა 1970 Musician, Writer, Poet, Philosopher </td> </tr> <tr> <td style="width: 30%;">  დავით გაბაშვილი, გამარჯვე 1956 Economist </td> <td style="width: 30%;">  სამება გორგაძე, რევენუ 1936-2012 Philologist </td> <td style="width: 30%;"></td> </tr> </table> Birthday <table border="1" style="width: 100%; border-collapse: collapse; text-align: center;"> <tr> <td style="width: 30%;">  გიორგი გორგაძე, გორგა 8 October, 1936 (66 years) Historian </td> <td style="width: 30%;">  გიორგი გორგაძე, გორგა 8 October, 1904 (96 years) Linguist </td> <td style="width: 30%;">  გიორგი გორგაძე, გორგა 10 October, 1910 (86 years) Writer </td> </tr> <tr> <td style="width: 30%;">  გიორგი გორგაძე, გორგა 10 October, 1728 (57 years) Writer </td> <td style="width: 30%;">  გიორგი გორგაძე, გორგა 12 October, 1923 (89 years) Entertainer </td> <td style="width: 30%;"></td> </tr> </table>	A	B	C	D	E	F	G	H	I	J	K	L	M	N	O	P	Q	R	S	T	U	V	W	X	Z	 ვაჲა გორგაძე , გერმანია 1940 Playwright, Linguist, Poet	 გიორგი ბახია , საქართველო 1936 Architect	 გიორგი გორგაძე , უკრაინა 1970 Musician, Writer, Poet, Philosopher	 დავით გაბაშვილი , გამარჯვე 1956 Economist	 სამება გორგაძე , რევენუ 1936-2012 Philologist		 გიორგი გორგაძე , გორგა 8 October, 1936 (66 years) Historian	 გიორგი გორგაძე , გორგა 8 October, 1904 (96 years) Linguist	 გიორგი გორგაძე , გორგა 10 October, 1910 (86 years) Writer	 გიორგი გორგაძე , გორგა 10 October, 1728 (57 years) Writer	 გიორგი გორგაძე , გორგა 12 October, 1923 (89 years) Entertainer		
A	B	C	D	E	F	G	H	I	J	K	L	M	N	O	P	Q	R	S	T	U	V	W	X	Z															
 ვაჲა გორგაძე , გერმანია 1940 Playwright, Linguist, Poet	 გიორგი ბახია , საქართველო 1936 Architect	 გიორგი გორგაძე , უკრაინა 1970 Musician, Writer, Poet, Philosopher																																					
 დავით გაბაშვილი , გამარჯვე 1956 Economist	 სამება გორგაძე , რევენუ 1936-2012 Philologist																																						
 გიორგი გორგაძე , გორგა 8 October, 1936 (66 years) Historian	 გიორგი გორგაძე , გორგა 8 October, 1904 (96 years) Linguist	 გიორგი გორგაძე , გორგა 10 October, 1910 (86 years) Writer																																					
 გიორგი გორგაძე , გორგა 10 October, 1728 (57 years) Writer	 გიორგი გორგაძე , გორგა 12 October, 1923 (89 years) Entertainer																																						

500-მდე ავტორის ბიოგრაფიული მონაცემი. მონაცემთა ბაზის განახლების პროცესში უძლი და სამომხმარებლო ინტერესის დიზაინი შესრულდა ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლის, დაგიოთ მჯედლიშვილის ავტორობით. დღეს, „ქართველი ავტორები“ შეგიძლიათ იხილოთ ფეისბუქის გეგერდის საშუალებით <https://www.facebook.com/geoauthors>. (სურ. 3)

მოგება	პიროვნების სახელი	პიროვნების გვარი	სულ 11,654 პიროვნება																																																				
<input checked="" type="checkbox"/> უსურად	<input type="checkbox"/> მოგება																																																						
ჩოლო გამახსოვებები <table border="1"> <thead> <tr> <th>პიროვნების სახელი</th> <th>გვარი</th> <th>დაბადების წელი</th> <th>დაბადების დღე</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>გიორგი გორგაძე</td> <td>გორგაძე</td> <td>1957</td> <td>19 ივნის, 1957 (66 წლის)</td> </tr> <tr> <td>გიორგი ლევან</td> <td>ლევან</td> <td>1908-2011</td> <td>19 ოქტომბერი</td> </tr> <tr> <td>გიორგი გაბაშვილი</td> <td>გაბაშვილი</td> <td>1925-2012</td> <td>19 ივნის, 1925 (74 წლის)</td> </tr> <tr> <td>გიორგი გაბაშვილი, გაბაშვილი</td> <td>გაბაშვილი</td> <td>1911-1982</td> <td>19 ოქტომბერი</td> </tr> <tr> <td>გიორგი გაბაშვილი, გაბაშვილი</td> <td>გაბაშვილი</td> <td>1979</td> <td>19 ოქტომბერი</td> </tr> <tr> <td colspan="4">დაბადების დღე</td> </tr> <tr> <td colspan="4">19 ივნის, 1890 (69 წლის)</td> </tr> <tr> <td colspan="4">19 ოქტომბერი, 1908 (100 წლის)</td> </tr> <tr> <td colspan="4">19 ივნის, 1925 (74 წლის)</td> </tr> <tr> <td colspan="4">19 ოქტომბერი, 1982 (72 წლის)</td> </tr> <tr> <td colspan="4">19 ოქტომბერი, 1911 (70 წლის)</td> </tr> <tr> <td colspan="4">19 ოქტომბერი, 1895 (83 წლის)</td> </tr> </tbody> </table>				პიროვნების სახელი	გვარი	დაბადების წელი	დაბადების დღე	გიორგი გორგაძე	გორგაძე	1957	19 ივნის, 1957 (66 წლის)	გიორგი ლევან	ლევან	1908-2011	19 ოქტომბერი	გიორგი გაბაშვილი	გაბაშვილი	1925-2012	19 ივნის, 1925 (74 წლის)	გიორგი გაბაშვილი, გაბაშვილი	გაბაშვილი	1911-1982	19 ოქტომბერი	გიორგი გაბაშვილი, გაბაშვილი	გაბაშვილი	1979	19 ოქტომბერი	დაბადების დღე				19 ივნის, 1890 (69 წლის)				19 ოქტომბერი, 1908 (100 წლის)				19 ივნის, 1925 (74 წლის)				19 ოქტომბერი, 1982 (72 წლის)				19 ოქტომბერი, 1911 (70 წლის)				19 ოქტომბერი, 1895 (83 წლის)			
პიროვნების სახელი	გვარი	დაბადების წელი	დაბადების დღე																																																				
გიორგი გორგაძე	გორგაძე	1957	19 ივნის, 1957 (66 წლის)																																																				
გიორგი ლევან	ლევან	1908-2011	19 ოქტომბერი																																																				
გიორგი გაბაშვილი	გაბაშვილი	1925-2012	19 ივნის, 1925 (74 წლის)																																																				
გიორგი გაბაშვილი, გაბაშვილი	გაბაშვილი	1911-1982	19 ოქტომბერი																																																				
გიორგი გაბაშვილი, გაბაშვილი	გაბაშვილი	1979	19 ოქტომბერი																																																				
დაბადების დღე																																																							
19 ივნის, 1890 (69 წლის)																																																							
19 ოქტომბერი, 1908 (100 წლის)																																																							
19 ივნის, 1925 (74 წლის)																																																							
19 ოქტომბერი, 1982 (72 წლის)																																																							
19 ოქტომბერი, 1911 (70 წლის)																																																							
19 ოქტომბერი, 1895 (83 წლის)																																																							
<small>საქართველოს მოყრაცხვულ დაწყების ინიციატივის მიმღებელთა მოუნაველი, რომელიც საქართველოს ისტორიის ნაწილით არის მა დაკავშირებული არის საქართველოს სამსახურისათვის, უფრო უფრო საქართველოს ამ მის ფარილების გარეთ.</small>																																																							
<small>ლექსიკონის მოყრაცხვულ საქართველოს პარლამენტის კონფერენციულ ბიბლიოთის გარეთ.</small>																																																							
<small>პიროვნების მოსახლეობის გამოცემის მსასულებელი ყველა წელით ქართველი უძრავი დაწყების მემკვიდრეობა, კულტურული, საზოგადო მოურა საქართველო.</small>																																																							
<small>შემოგვრეცილებით ფინანსურულ დაწყება.</small>																																																							
<small>გარიბარის შემოსაცავშია</small>																																																							

განაპირობა მონაცემთა ბაზის რიცხობრივი ზრდა. ამჟამად, „საქართველოს ბიოგრაფიულ დექსიკონში“ იხილავთ იმ პიროვნებათა ბიოგრაფიებს, რომლებიც დაკავშირებული არიან საქართველოს სამსახურის უფრო უფრო საქართველოს სამსახურის მიერთვის მიზანით. ამ უნიკალურ ცნობარში, სხვადასხვა დარგში მომუშავე პიროვნებების ბიოგრაფიული მო-

2015 წელს საბიბლიოოთებით რესურსების დეპარტამენტთან ერთად გადაწყდა, რომ ინტერნეტ ცნობარს „ქართველი ავტორები ინტერნეტში“ შეეცვალოს სახელი და ეწოდოს „საქართველოს ბიოგრაფიული ლექსიკონი“ (<http://www.nplg.gov.ge/bios>). ქართველი ავტორების ბიოგრაფიები გადავიდა განაცემებულ მონაცემთა ბაზაში. ცნობარს სახელის გარდა შეეცვალა შინაარსიც, რამაც


ნაცემების გარდა (12 ათასამდე ბიოგრაფია), იხილავთ პიროვნებათა ფოტოებს, ჯილდოების, პრემიების და პრიზების ჩამონათვალს, რომლებიც თავიანთი საქმიანობის ან მოღვაწეობის პერიოდში აქვთ მიღებული. თუ პიროვნებას აქვს გამოქვეყნებული წიგნი ან სხვა გამოცემა, ამ გამოცემების ბიბლიოგრაფიულ სიებსაც გაეცნობით. (სურ. 4)

2018 წელს ქართულ ვიკიპედიაში, კატეგორიაში ქართული საიტები,, „საქართველოს ბიოგრაფიულ ლექსიკონზე“, , როგორც უმსხვილეს ქართულ ბიოგრაფიულ მონაცემთა ბაზაზე, სტატია დაიწერა.

ინტერნეტ ცნობარში „„საქართველოს ბიოგრაფიული ლექსიკონი“ ნებისმიერს შეუძლია ჩაასწოროს ან დაამატოს პიროვნების ბიოგრაფიის ესკიზი საიტზე არსებული სპეციალური შაბლონური ფორმის საშუალებით („საქართველოს ბიოგრაფიული ლექსიკონის“ მთავარი ვებგვერდის მარცხნა ქვედა კუთხეში არსებული ბმული: ბიოგრაფიის შე-

მოთავაზება). დამატებული ბიოგრაფიის ესკიზი გაივლის შემოწმებას ელექტრონული რესურსებით მომსახურების განყოფილებაში (ხელმ: რ. დანელია) და მხოლოდ ამის შემდეგ გამოქვეყნდება.

„საქართველოს ბიოგრაფიული ლექსიკონზე“ მომუშავე გუნდი მიზნად ისახავს, გამოაქვეყნოს მონაცემები ყველა ცნობილი ქართველის შესახებ. თუ ოჯახში გაქვთ თქვენი წინაპრის ბიოგრაფიული ხასიათის მასალები, დაგვიკავშირდით ფეისბუქის გვერდის საშუალებით <https://www.facebook.com/biosge>. (სურ.5)



ასევე, შეგიძლიათ დარეკორ ელექტრონული რესურსებით მომსახურების განყოფილებაში ნომერზე 2 97 16 12 ან მიაკითხოთ საქართვე-

ლოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო მომსახურებისა და ინფორმაციის დეპარტამენტს.

მათოლური სამსახური

ბეჭედი თაყნიაშვილი

როგორ შევადგინოთ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების ანალიზი

საბიბლიოთეკო საქმის შესახებ საქართველოში მოქმედი კანონით (მუხლი 20) ადგილობრივი ოფიციალური კულტურული მემკვიდრეობის მინიჭებულების მისამართი გადაწყვეტილი იყო მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური პირობების, მოსახლეობის რაოდენობის, მისი განსახლებისა და საინფორმაციო მოთხოვნების შესაბამისად. საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექცია ვალდებულია სისტემატურად შეადგინოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების მდგრმარეობის ანალიზი, შეიმუშაოს რეკომენდაციები და წარუდგინოს შესაბამის ორგანიზაციებს. ანალიზი უნდა მოიცავდეს საჯარო ბიბლიოთეკების ქსელის რაოდენობით და ხარისხით მაჩვენებლებს. ქსელის ორგანიზების ოპტიმალურ საფუძველს შეადგენს მოსახლეობის რაოდენობა, მისი ტერიტორიული მოწყობა, დასახლებული პუნქტების (სოფლების) რაოდენობა. სოფლად მოსახლეობის რაოდენობა შესაძლებელია წარმოვადგინოთ დიფერენცირებულად: მოსახლეობა 100-მდე მაცხოვრებლით, 100-დან 500-მდე, 500-დან 1000-მდე და 1000 და მეტი მაცხოვრებლით. თოთოვეულ დასახლებულ პუნქტში აუცილებელია ვუჩენოთ ბავშვთა რაოდენობა 15 წლის ჩათვლით. მოსახლეობის რაოდენობა ასეთი სქემით შეიძლება იქნეს წარმოვადგენილი:

მოსახლეობის რაოდენობა მუნიციპალიტეტში?

№	ცენტრში	სოფლებში	ეროვნული შემადგენლობა				
			ქართ.	აზერბ.	სომხეთი	რუსი	დანარჩ.

სქემაში აუცილებელია ვუჩენოთ სულ დასახლებული პუნქტების რაოდენობა. ცალკე შეიძლება გამოვყოთ იმ ბიბლიოთეკების რაოდენობა, რომლებიც ემსახურებიან მოლოდ ეროვნულ უმცირესობებს.

მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო ქსელის ანალიზის პერიოდისათვის შეიძლება ასეთი სქემის სახით წარმოვადგინოთ:

საჯარო ბიბლიოთეკების რაოდენობა

იყო 2000 წლისათვის	გაუქმდა 2000-2012 წწ.	ალადგინეს 2012-2017 წწ.	არის 2018 წლისათვის	შეიძლება

ქსელის მოწყობის ანალიზის პროცესში უკარადღება უნდა მიექცეს საერთაშორისო საბიბლიოთეკო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების რეკომენდაციებს (IFLA, UNESCO). მათი რეკომენდაციების თანახმად, თუ დასახლებული პუნქტი დაშორებულია სტაციონალური ბიბლიოთეკიდან 3-5 კმ-ით, ასეთი სოფლები შეიძლება ჩაითვალოს მომსახურების უზრუნველყოფით. ეს მათი რეკომენდაციები, ჩვენ შეიძლება ნაკლებად გავითვალისწინოთ. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოსახლეობის რაოდენობა, სატრანსპორტო საშუალებები, მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მოთხოვნები და ა. შ. ანალიზში ნაოლად უნდა გამოიკვეთოს ქსელის მოწყობის უარყოფითი მაჩვენებლები, ანუ მოსახლეობისა და დასახლებული პუნქტების რაოდენობა, რომლებიც არ არიან უზრუნველყოფილი საბიბლიოთეკო მომსახურებით.

მომსახურების გარეშე დარჩენილი სოფლების რაოდენობა

სოფლების სახელმწიფო მინიჭებულება	გაცხოვენის სახელმწიფო მინიჭებულება	ეროვნული წესამაგრესის მინიჭებულება	მანიურის სახელმწიფო მინიჭებულება	არასორის სახელმწიფო მინიჭებულება	შენიშვნა

ანალიზის ამ ნაწილში შეჯამებული უნდა იქნეს მომსახურების გარეშე დარჩენილი მოსახლეობის რაოდენობა. დასახულ უნდა იქნეს უახლოესი ამოცანა ქსელის რეაბილიტაციის მიზნით. უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ მოსახლეობის რაოდენობა, მათი კონსტიტუციური თუ იურიდიული

უფლებები. დასაბუთების ნაწილში შეიძლება დაგიმოწმოთ ქვეყნის მასშტაბით 2012 წლის შემდეგ საჯარო ბიბლიოთეკების აღდგენის ტენდენცია.

ანალიზი მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მოსახლეობის საბიბლიოთეკო კითხვაში ჩატარებულის, მათი წიგნიერების დონის მაჩვენებლებს. მოსახლეობის საბიბლიოთეკო კითხვაში ჩატარებულის ხაზის ხარისხივი მაჩვენებლები მიგვანიშნებას ქსელის წარმატებულ თუ წარუმატებელი ფუნქციონირების შესახებ. ბიბლიოთეკების ფუნქციონირების მიზნით გატარებული ყველა საორგანიზაციო თუ მეთოდურ-პრაქტიკული ხასიათის დონისძიება მიზნად უნდა ისახავდეს მხოლოდ ერთი ამოცანის წარმატებით გადაჭრას: მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, მათი საინფორმაციო თუ საგანმანათლებლო მოთხოვნათა მაქსიმალური და ოპერატორული დაკმაყოფილება.

მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების მაჩვენებლებით ცალ-ცალკე უნდა იქნეს გაანალიზებული ცენტრისა და ქსელის მასშტაბით. კითხველთა რაოდენობა, ფონდის რაოდენობა, გაცემული საბიბლიოთეკო დოკუმენტების რაოდენობა, საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმები და მეთოდები საშუალებას გვაძლევს ანალიზი შევადგინოთ ხარისხივი მაჩვენებლების დადასტურებით. კითხვაში ჩატარების მაჩვენებლები დაანგარიშებული უნდა იქნეს ცენტრისა და ქსელის მასშტაბით. ანალიზში ყურადღება უნდა მიექცეს მომსახურების უარყოფით მაჩვენებლები: მომსახურების გარეშე დარჩენილი მოსახლეობის რაოდენობა, ბიბლიოთეკების დარიბი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების დაბალი დონე, ფონდების განახლების დაბალი მაჩვენებლები და ა. შ.

ბავშვთა საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების ანალიზის ნაწილში ციფრულით უნდა იქნეს წარმოდგენილი საბავშვო განყოფილებაში და სოფლის ფილიალებში ბავშვ მკითხველთა საერთო რაოდენობა. ცენტრალურ ბიბლიოთეკაში აღრიცხული უნდა იქნეს მუნიციპალიტეტში ბავშვთა საერთო რაოდენობა. მათგან რამდენია ფაქტიური მკითხველი საჯარო ბიბლიოთეკებში და რამდენია საჯარო სკოლებში არსებული ბიბლიოთეკების მონაცემებით. აქედან შეიძლება წარმოვადგინოთ რეალური სურათი მუნიციპალიტეტის ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურების შესახებ. ბავშვთა საბიბლიოთეკო კითხვაში ჩატარების % უდრის ბავშვ მკითხველთა საერთო რაოდენობა გაყოფილი მუნიციპალურ ბავშვთა საერთო რაოდენობაზე:

% =

ბავშვ მკითხველთა საერთო რაოდენობა

**ბავშვთა საერთო რაოდენობა
მუნიციპალიტეტში**

ანალიზის პროცესში საჭიროა მივმართოთ ქსელის მასშტაბით მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების ხარისხის მაჩვენებლებს:

კითხვადობა
% =

ნლიური წიგნგაცემის რაოდენობა

მკითხველთა საერთო რაოდენობა

ბრუნვადობა
(ფონდის გამოყენების მაჩვ.)
% =

ნლიური წიგნგაცემის რაოდენობა

მთლიანი ფონდის რაოდენობა

კითხვაში ჩატარების % =

მოსახლეობის რაოდენობა

წიგნით უზრუნველყოფის კოეფიციენტი
% =

მკითხველთა რაოდენობა

ამ მაჩვენებლებიდან ცხადია, მთავარი ხარისხის მაჩვენებელია - კითხვადობის მაჩვენებელი. ყველა საბიბლიოთეკო დონისძიება, თავისი შინაარსითა და ორგანიზაციული ფორმით მიზნად ისახავს მოსახლეობის კითხვადობისა და წიგნიერების დონის ამაღლებას, ბიბლიოთეკის პოპულარიზაციისა.

ანალიზის ერთი ნაწილი უნდა დაეთმოს ქსელში ორგანიზებული საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდების შემაღებელობის ანალიზს: როგორია ფონდების დარგობრივი შემაღებელობა, პასუხობს თუ არა მისი შინაარსი მუნიციპალიტეტში განვითარებული მირითადი დარგების ინფორმაციული უზრუნველყოფის პრინციპებს, როგორია ფონდების განახლების მაჩვენებელი წლების მიხედვით, გაცემული უარების შინაარსი და

მიზეზები, ფონდების საცნობარო აპარატში ასახვის დონე, ელექტრონული კატალოგის ორგანიზებისა და გამოყენების საკითხები და ა. შ. ქსელში კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვისა და ხელმისაწვდომობის ნაწილის ანალიზის დროს ყურადღება უნდა

მიექცეს: რამდენი კომპიუტერია ქსელის მასშტაბით, მათგან რამდენი ცენტრალურ ბიბლიოთეკაში და სოფლის ფილიალებში; რა სახის ძიებას აწარმოებენ მკითხველები და ა. შ. როგორ ხორციელდება საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტი „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“. ანალიზში წარმოდგენილი რაოდენობითი თუ სარისხობრივი მაჩვენებლები ეფუძნება პირველადი აღრიცხვის ფორმებიდან მიღებულ ინფორმაციას: მკითხველთა რაოდენობა ბიბლიოთეკარის დღიურიდან, ფონდის რაოდენობა ჯამობრივი (ჯამური) აღრიცხვის მესამე ნაწილიდან, უარების, მათ შორის თემატური უარების რაოდენობა მომსახურების განყოფილებიდან და ფილიალებიდან მიღებული მონაცემებიდან.

მომსახურების მდგომარეობის ანალიზს ყოველწლიურად უნდა აწარმოებდეს თითოველი სასოფლო ფილიალი, განყოფილება, სადაც გაანალიზებული იქნება ის უარყოფითი ფაქტორები, რომლებიც არსებით ზეგავლენას ახდენენ მომსახურების საერთო მდგომარეობაზე. ცენტრალური ბიბლიოთეკის მიერ ანალიზის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები უნდა იყოს რეალურად განხორციელებადი. ბიბლიოთეკის დირექტორს იცნობს დაგილობრივი ხელისუფლების მატერიალურ თუ ფინანსურ შესაძლებლობებს. მოთხოვნა უნდა იქნეს იმ დონეზე მოტივირებული, რომ შეიძლებოდეს მისი ეტაპობრივად განხორციელება. პრაქტიკაში არსებობს შემოხვევები, როდესაც ადგ-

ილობრივ ხელისუფლებას აქვს რეალური შესაძლებლობები გააუმჯობესოს მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების მდგომარეობა, საჭიროა მხოლოდ კეთილი ნება, თუმცა იგი უნდა ეფუძნებოდეს მოსახლეობის კანონიერ მოთხოვნებს. ზოგიერთ მუნიციპალიტეტში მძიმე მდგომარეობაა ამ მხრივ შექმნილი. მოსახლეობის დიდი ნაწილი მოკლებულია საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების სიკეთეს. ამის გამო ერთობ დაბალია მათი განათლებისა და წიგნიერების დონე. ადგილობრივი მოსახლეობა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის დიდი ნაწილი დიდ დასახლებულ პუნქტებში ცხოვრობენ აზრისგან დაცლილ სამყაროში. ამ გარემოების სასიკეთოდ შემოტრიალება შეუძლიათ საჯარო ბიბლიოთეკებს, კულტურისა და განათლების დაწესებულებებს, რომელთა კოორდინაციული მუშაობის შედეგად შესაძლებელია მოსახლეობის წიგნიერებისა და საერთოდ განათლების დონის გაუმჯობესება. საჯარო ბიბლიოთეკებს, როგორც ყველაზე დია ბიბლიოთეკებს ინფორმაციის საუკუნეში არსებითი როლის შესრულება შეუძლიათ მუნიციპალიტეტში სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების, მოსახლეობის ინფორმირების, ყველა სოციალური უნის მომსახურებისა და სხვ. პრობლემების გადაჭრაში, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქვეყანაში მიზანმიმართული საბიბლიოთეკო პოლიტიკის გატარებას, ადგილობრივი მოსახლეობის კულტურული და საგანმანათლებლო მოთხოვნების მაქსიმალურ და ოპერატორულ დაკმაყოფილებას.

პროფესიალური და პროფესიონალური

ენე ყალამხილი

ოვანდოსილი

გურჯაანის რაიონში ნაყოფიერად ფუნქციონირებს შოთა რუსთაველის სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკა, სადაც მარავალი აქტუალური წამოწყება ხორციელდება, რითაც ის, სულიერების მაცოცხლებელ წყაროს წარმოადგენს. ცენტრს პროფესიული სიმები აკავშირებს სოფლის ბიბლიოთეკებთან და ამგვარად ხელჩაკიდებული, მიყვებიან ერთი მიზნისაკენ მიმავალ ბაგირს.

წიგნის სახლი! - თეთრი ტაძარი ჩვენი, სულიერების სამყაროს აყვავებული ლელიანი, ყველაზე დიდი საუნჯე დედამიწაზე! დმგროვ, არ ჩაჭკონ ეს სამოთხე!

წიგნის სახლის მამოძრავებელი სული და ძალაა, გურჯაანის საბიბლიოთეკო და სამუხეუმო გაერთიანების ორგანიზაციონი, ქალბატონი ლია გოდელაშვილი.

ა.ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მუშაობდა სოფლის ბიბლიოთეკის გამგედ. 1976 წლიდან გადმოიყვანეს რაიონის ცენტრალური ბიბლიოთეკაში, ხელმძღვანელობდა მეთოდურ განყოფილებას, მეოოდურ -ბიბლიოგრაფიულ და საინფორმაციო-ანალიტიკურ განყოფილებებს. ამჟამად მუშაობს საბიბლიოთეკო და სამუხეუმო გაერთიანებაში ორგანიზაციონის პოზიციაზე. იგი მოწოდებულია არჩეული პროფესიის მიმართ ფანატიკური სიყვარულით და იმ მოვალეობით, რასაც წიგნის პროპაგანდა ჰქვია, - საბიბლიოთეკო კომუნიკაციებითა და პროფილის მიხედვით გათვალისწინებული რეგალიებით.

სახოგადოებაში ის ყოველთვის მეგობრად ეგულებათ. იყო ქალაქის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე, სახალხო უნივერსიტეტის რექტორი, საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი. მის მიერ მომზადებული თემები და რეფერატები საპატიო სიგელებით არის დაჯილდოებული.

ეს გახსნავთ არასრული ნუსხა იმ დავალებებისა, რომელსაც უანგარიდ, ანაზღაურების გარეშე, მაღალი პასუხისმგებლობით ასრულებდა წლების განმავლობაში.

საამაყოა მისი ამსახველი ჯილდოები: „მუნიციპალიტეტში საბიბლიოთეკო სისტემის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის“ - საპატიო სიგელი კულტურის განყ-

ოფილებიდან, სიგელი კულტურის სამინისტროდან, „მადლობის ფურცელი“ გურჯაანის კულტურის განყოფილებიდან და სხვა უამრავი ჯილდო.

მრავალი საინტერესო დონისმიების ინიციატორს, საზოგადოებრივი პრობლემებიც ხშირად მოუგვარებია. ყოველთვის დასაყრდენი იყო მრავალშვილიანი ხელმოკლე ოჯახებსათვის, ამიტომ ყოველთვის ემძედებათ.

ქალბატონი ლია უძღვება ლიტერატურულ სალონს, რომლის მიზანია ახალგაზრდა და ნიჭიერი თაობის მოზიდვა, წიგნთან დაახლოება, კლასიკოსთა ნაწარმოებების დრმად გააზრება, რაც ხელს შეუწყობს თაობებს, ადამიანური დირექტულებების შეძენასა და წევობრივი ნორმების გააზრებაში. ისინი ეზიარებიან ხელოვნების დარგს, - ლიტერა-



ტურას და ამით აღწევენ სულიერების გამდიდრებას. სული ხომ ადამიანის შინაგანი სამყაროა: ხასიათი, მიდრეკილება, განცდა, ცნობიერება, პიროვნების ფსიქიკურ თვისებათა ერთობლიობა, ნიჭი, უნარი, მიდრეკილება, რაც მის ქცევას განსაზღვრავს.

ქალბატონი ლიასთვის წლევანდელი წლი აერთიანებს სამ, მეტად მნიშვნელოვან თარიღს: დაბადებიდან 70-ე წლისობრივ მოდვაწეობის 50-ე და ქორწინების 40 წლით დაგვირგვინებას! სამივე დღესასწაულს მხურვალედ ულოცავენ კოლეგები, სალონის წევრები.

ქალბატონი ლია! ვიცი, თქვენ მზად ხართ ბლიც-ინტერვიუსათვის, რომლის პასუხებსაც

ინტერესით ელის მკითხველი:

1. რამ გაგინაოთ აღნიშნული სპეციალობის დაუფლების სურვილი?
 - მინდოდა გამოვსულიყავი სამართლიანი, ძლიერი პროცესურორი, მაგრამ მოხდა ისე, რომ სოფლის ბიბლიოთეკაში, პროფესიული საქმიანობა წარვმართე და მკითხველებთან და წიგნად ფონდთან ურთიერთობა მაღიან მომეწონა, ჩემი გადაწყვეტილებაც შეიცვალა
2. მეორე შეილიშეილს ელოდებით - რა ემოციები გაჟუფლებათ?
 - ემოციები დიდია... ერთი შეილისაგან 13 წლის ბიჭი მყავს და ახლა, ამდენი ხნის შემდეგ ველოდები მარიამს!
3. რას უსეურვებდით დედასაქართველოს და რა წვლილს შეიტანდით ქვეყნის პროგრესში?
 - ჩემი სალოცავი საქართველო მინდა გამოლიანებული, სულიერად, მორალურად, ეკონომიკურად ძლიერი ვიხილო. მე

კი, ჩემი საქმიანობითა და ერთგულებით ერთი აგური დავდო მის მშენებლობაში. ვუერთდები საზოგადოების მოლოცვებს ჩემი გულწრფელი სიტყვებით და გილოცავთ დაბადების დღეს!

ქალბატონო ლია!

არ მავიწყდება სიკეთის ნიშნად, დაბადების დღე შენი, ჩამოგიკრევავ ციდან ვარსკვლავებს, რომ გაგინაოდეს ჭერი, მოვალ, დაგლოცავ, - ეს იმას ნიშნავს, აღმართის ასვლას გშველი, ისე დავდგები შენს დია კართან, როგორც ობოლი შველი...

პატივისცემით,
ნუნუ ყალაბეგაშვილი
„სახალხო განათლების წარჩინებული“
პედაგოგი, პოეტი და ქურნალისტი.

გურჯაანი
28 მაისი 2018 წელი

ნანა აბერძენი

საიუბილეო საღამო გორის ცენტრალურ ბიობლიოთეკაში.

კიდევ ერთი ლამაზი საღამო აჩუქა გორის საზოგადოებას გორის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ, შეხვედრა ყოფილ

კოლეგასა და მეგობართან დვაწლმოსილ ქალბატონსა და ფროფექსიონალ ბიბლიოთეკარს ქალბატონ ელიზა ელბაქიძე-ნადიმაშვილთან





რომელსაც დაბადებიდან 80 და მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა. ბიბლიოთეკის დარბაზში იმყოფებოდნენ იუბილარის ყოფილი კოლეგები, უახლოესი მეგობრები, ქალაქში მოღვაწე ცნობილი ადამიანები, საზოგადო მოღვაწენი, მწერლები, პოეტები, ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები და ხელისუფლების წარმომადგენლები. საღამოს უძღვებოდა ცენტრალური ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ნანა აბრამიძე, რომელმაც საზოგადოებას გააცნო იუბილარის მიერ განვლილი ცხოვრების გზა, აღნიშნა მისი დამსახურება საბიბლიოთეკო საქმის განვითარებასა და

მის სრულყოფაში. წლების მანძილზე იყო რიგითი ოანამშრომელი, ხოლო ცენტრალიზაციის შემდგომ გადაყვანილი იქნა მეთოდური განყოფილების გამგედ, შემდგომ დაკომპლექტების-დამუშავების განყოფილების გამგედ და ქალაქის ერთერთი წარმატებული ფილიალის გამგედ, მან არაერთ ახალგაზრდა სპეციალისტს გაუკვალა გზა და შეაყვარა საბიბლიოთეკო საქმე და როგორც მაღალი რანგის პროფესიონალმა და სპეციალისტმა თავისი წვლილი შეიტანა ოანამშრომელების პროფესიონალებად ჩამოყალიბების საქმეში. იუბილარს მიესალმნენ დამსწერ საზოგადოებ-



ბის ცნობილი ადამიანები: რობერტ მაღლაპელიძე, ვახტაგ ჭანკოტაძე, ვაჟა კვალიაშვილი, გიორგი საძაგლიშვილი, ჯემალ ინჯია, ელდარ მამისოვალიშვილი, ზაქარია ჭარუაშვილი, იამზე ხომასურიძე, გურამ ვაშაკიძე, სესოლი ხუციშვილი. ყოფილი კოლეგები : ტახო ტივაძე, თინა ბერისვილი, ნელი გოლოშვილი, ქსენია ბარბაქაძე და სხვებმა.

ქალბატინმა ელიზამ სამსახურიდან წასვლის შემდეგ დაიწყო ლექსებისა და მოობრობების წერა და გამოსცა სამი კრებული, რომლთაც ის მთელი სადამოს განმავლობაში კითხულობდა, ცენტრალური ბიბლიოთეკის ანალიტიკური - ინფორმაციული განყოფილების ხელმძღვანელმა ნანა კარკაძემ წაიკითა მისი ერთერთი მოობრობა „დმერთმა ინება“ რამაც მსმენელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

სადამოს თან სდევდა გემოგნებით შერჩეული მუსიკის პანგები, რომლის ფონზე იუბილარმა თავისი სიტყვა დაასრულა თავისივე ლექსისი სტრიქონებით :

„შენა ხარ, ჩემი ლექსების მუზა, ქალაქო გორო!

შენზე ფიქრები თავს არ მანებებს.....“

კიდევ ერთი ლამაზი საღამო დასრულდა, კიდევ ერთი დგაწლმოსილი ადამიანი დაიმუხტა ახალგაზრდული შემართებით, კიდევ ერთ დირსეულ ადამიანს მიაგეს პატივი, სითბო და სიყვარული აჩუქეს მას უახლოესმა ადამიანებმა, ჯანმრთელობა და დღაგრძელობა უსურვეს. სიჩუმემ დაისადგურა დარბაზში..... დორებითმა სიჩუმემ.... მომავალი ლამაზი საღამოების მოლოდინში.

აღმსანები ცოდნა

ცოდნითა და გამოცდილებით

გურამ თაყინიაშვილი - 80

Гრო შეხედვითვე ჩანს, უბრალო, თავ-მდაბალი ადამიანია, რომელსაც არ უყვარს თავის თავზე ლაპარაკი, მაგრამ ჩვენ, მისმა კოლეგებმა არ შეგვიძლია არ ვთქვათ, თუ რამდენად დრმა საინტერსო, მრავალფეროვან და შრომისმოყვარე ადამიანთან გვაქვს საქმე, რომელსაც დიდი წვლილი შეაქვს დარგის განვითარებასა და ფართო საზოგადოებრივ საქმიანობაში მისი პოპულარობისათვის. კაცი რომელიც გამოირჩევა მოქალაქეობრივი თვითშეგანებითა და პროფესიონალიზმით.

გურამ თაყინიაშვილი დაიბადა დმანისის რაიონის სოფელ მამულოში, სადაც მიიღო თავდაპირველი განათლება, რომელიც შემდეგ თბილისის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლში განაგრძო. ამას მოჰყვა საბჭოთა არმიაში სამსახური, ხოლო დემობილიზაციის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა სწავლას თავისი ინტერესების ფარგლებში თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრებას მოჰყვა მრავალწლიანი პროფესიული მოღვაწეობა.

მე პირადად მოწმე ვარ მისი წარმატებისა სწავლის პერიოდში, რამდენადაც აქ ვმოღვაწეობდი პედაგოგიდ. იგი იმთავითვე გამოირჩეოდა ენერგიული შრომით, მაღალი

სტუდენტური დისციპლინითა და აქტივობით, წარჩინებული სწავლით. იყო სახელობითი სტიპენდიის სტიპენდიანტი. სწავლასთან ერთად სისტემატურად მონაწილეობდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში, წარადგენდა მეტად საინტერესო რეფერატებს, ამავე დროს იყო ინსტიტუტის ახალგაზრდა ლიტერატორთა შემოქმედებითი წრის წევრი. დაასრულა რა უმაღლესი სასწავლებელი, 1966 წლიდან ამავე ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში შეუდგა პრქატიკულ მოღვაწეობას ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტებთან.

პერსპექტიული ახალგაზრდა სპეციალისტი არ დარჩენილა მხედველების გარეთ. 1982 წლიდან მიიწვიეს მაშინდელი რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მეოთხესტად, სადაც მან გამოაგლინა კარგი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. საბოლოოდ ის ამ განყოფილების ხელმძღვანელი გახდა.

ენერგიული შრომისა და მონდომების შედეგად მან თავი გამოიჩინა როგორც საქმის ღრმად მცოდნებ და პროფესიონალმა. წლების

განმავლობაში დაუდალავად მოდგაწეობდა უშუალოდ ცალკეულ პირებთან თუ მიემგზავრებოდა რაიონებში ბიბლიოთეკაში მომუშავე საქციალისტთა დასახმარებლად სემინარებისა და კონსულტაციების ჩასატარებლად. პერიოდულად რესპუბლიკის მასშტაბით იწვევდა ბიბლიოთეკარებს სემინარებში მონაწილეობის მისაღებად. იგი ამჟამადაც ანალოგიურ საქმიანობას ეწვება პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სტანდარტიზაციის ხელმძღვანელის პოსტზე.

გურამ თაყნიაშვილი მუდამ ეწეოდა და ახლაც მიმართვავს მეთოდოლოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას, ამავე დროს მუშაობს დასაბეჭდი წიგნის რეცენზიებასა და რედაქციაზე. ამ ხნის განმავლობაში მას ასობით მეთოდური მითითება და რეკომენდაცია აქს გამოქვეყნებული როგორც ცალკეული, ისე სტატიების სახით, დაბეჭდილია მისი სამეცნიერო სესიებისა თუ სემინარებზე გამოსვლების მასალები. სისტემატურად იძებებდა გ. თაყნიაშვილის პუბლიცისტური სტატიები. განსაკუთრებით საყურადღებო მისი მოდგაწეობის სფერო და ოქმატიკის მრავალფეროვნება, მაგრამ გამოირჩევა მენეჯმენტის ციკლის, საბიაბლიოთეკო დოკუმენტების აღრიცხვისა და კლასიფიცირების, ცალკეულ პროცესთა წარმართვასთან დაკავშირებული საკითხები. მაგრამ განსაკუთრებით დირექტულია მისი მონოგრაფია „ბიბლიოთეკათმცოდნების განვითრება საქართველოში: (1900-1985)“, რომელიც, ფაქტობრივად, საქართველოში საბიაბლიოთეკო საქმის თეორიის ისტორიას წარმოადგენს.

გ. თაყნიაშვილი განსაკუთრებულ ყურდღებას უთმობდა და უთმობს სასკოლო და საბავშვო ბიბლიოთეკების მეოთდიკურ საკითხებს, მისთვის დამახსასიათებელია ერთგვარი კორპორაციული მუშაობა საქციალისტ-კო-

ლეგებთან, ორ-სამ ავტორთან, აგრეთვე ავტორთა კოლექტივთან.

საგულისხმოა, რომ გ. თაყნიაშვილს ყოველთვის ახასიათებს სიახლეებისამი ყურადღების გამახვილება. იგი საბიბლიოთეკო საქმეს განიხილავს ახალ პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით, მუდამ მიმართულია „ნოვაციებზე“, რეფორმაციასა და გარდაქმნებზე.

მნიშვნელოვანია გ. თაყნიაშვილის პუბლიციისტური შემოქმედება, რომელიც წარმოდგენილია პერიოდულ თრგანოებში. სწორედ ამ ასპარეზზე მიეცა მას საშუალება წარმოეჩინა თავისი შემოქმედების ახალი მისწრაფება ლიტერატურული ძიების სახით. მას არაერთი მნიშვლელოვანი გამოკვლევა აქვს ამ მიმართულებით.

გამოკვეთით მინდა ავღნიშნო გ. თაყნიაშვილის პოეტური შემოქმედება. მისი ლექსების კრებული “განწმენდისაკენ, განწმენდისაკენ!”. სავსეა პოეტური აღმაფრენით, შთაგონებით, უშუალობით, გულწრფელობით, გამოირჩევა პოეტური მეტყველების სისადავით, მდიდარი ლექსიკითა და მანერით, რაც ამ ლექსთა კრებულს მომხიბლელები აქცევს, ამის შესახებ ჟურნალში ცალკე გამოვთქმით ჩვენი მოსაზრება.

გ. თაყნიაშვილი გამოირჩეა როგორც საზოგადო მოდგაწე, შრომისმოყვარული და ოპერატულად განწყობილი თანამშრომელი, მას დიდი დვაწლი მიუძღვის ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ დაარსებაში, რომლის მდივნად და რედაქტორის მოადგილედ დაარსებიდან დღემდე მუშაობს საზოგადოებრივ საწყისებზე, როგორც რედაქციის ყველა წევრი და ავტორი.

არ შეიძლება არ ითქვას, რომ ის დღეს დარაჯად უდგას საქართველოს საბიბლიოთეკო საქმეს და თავისი დავაწლით ხელს უწყობს დარგის განმტკიცებასა და განვითარებას.

ვულოცავთ!

ვილოცავთ ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკარის“ 70-ე ნომრის გამოსვლას და მასთან ერთად პროფესორ გურამ თაყნიაშვილის 80 წლისთავს.

თქვენ თავივენი ნათელი წერტილი ხართ ბიბლიოთეკარის დაუფასებელ ცხოვრებაში. თქვენთან თანამშრომლობა და მეგობრობა დიდხანს და ნაყოფიერად გაგრძელებულიყოს რადგან ეს მოვლენა თოთვეულ ჩვენგანს პროფესიონალურად გვამაღლებს, ხელს გვი-

წყობს ბიბლიოთეკარებს და ბიბლიოგრაფებს კვალიფიკაციის ახალ საფეხურზე ასვლაში.

დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, უშრეტ ენერგიას გისურვებო ბატონო გურამ საბიბლიოთეკო მეცნიერებისა და დარგის აყვავბისაოვის.

საქართველოს მთავრობის სახელმწიფო განცხადი

წიგნი - ყურადღების ცენტრში

ც ბილისში 31 მაისიდან 3 ივნისის ჩათვლით ჩატარდა წიგნის საერთაშორისო ფესტივალი, რომელიც გაიმართა „ექსპო ჯორჯიას“ მე-11 და მე-6 პავილიონებში.

თვით ფაქტი, რომ კვლავ და კვლავ იმართება წიგნის საერთაშორისო ფესტივალი, მოწმობს, რომ წიგნს მთელი მსოფლიოსაზოგადოების ცხოვრებაში უდუდესი ადგილი აქვს. ის არის ყველა იმ ფუნქციის მატარებელი, რომელი აქამდე ჰქონდა, და არ არის აღტერნატივი მისი სამუდამოდ უგულველყოფია. ყველი ფესტივალი დასტურია იმისა, რომ ხალხს უყვარს წიგნი, ის მათი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

ის, რომ თბილისი მსპინძლობს წიგნის საერთაშორისო ფესტივალს, მეტყველებს ქართველი ხალხის მისწრაფებებზე-იყოს მუდამ წიგნიან ერთად, მისი ქომაგი და დამცველი, პოპულიზატორი, გამავრცელებელი, რაც ენერგიის მატებს წიგნის საქმის არა მარტო მუშაკებს, არამედ მთელ მკითხველ საზოგადოებას რომელთა რიცხვი განუზომდად დიდია.

სამი რის განმავლობაში ექსპო ჯორჯიას მე-6 და მე-11 პავილიონი გადავსებული იყო ხალხით-მოხუცები, ახალგაზრდები, მავშვები საქმიანად ფუსტუსებდნენ, არა მარტო ათვალიერებდნენ წიგნებსადა დიდი გემოვნებით შესრულებულ პლაკატებს, არამედ ექცევნენ მათვების საინტერესო წიგნებს გამოფენა-გაყიდვაზე შესაძენად.

ყველაფერი შესაფერისად იყო მორთულ-მოკაზმული, ხალხს სიაოვნებდა ამ გარემო ყოფნა და ფუსტუსი. ყველა გამომცემლობას, ვისაც კი ჰქონდა ამის სურვილი, თავისი წიგნების გამოსაფენად და გასაგრცელებლად გამოეტანა თავისი გამოცემები. დამოგალიერებელი არ კლდათ. თავიანთი ჯიხურები ჰქონდათ ჩვენს ცნო-

ბილ გამომცემლებსა და ორგანიზაციებს: „პალიტრა“, „ინტელექტი“ იუნის ემრეს სახელობის ინსტიტუტი, გამომცემლობა „პოეზია“, გამომცემლობა „წიგნი+ერი“ „საქმიგნი“ გამოცემლობა „არტანუჯი“ „წიგნები ბათუმში“, „საქართველოს მწიგნობართა ასოციაცია“, გამომცემლობა „ბაკში“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, „ელფის გამომცემლობა“ „ინდიგო“, „ქარჩხაძის გამომცემლობა“ „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ და სხვ.

სამი დღის განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდნენ: საქართველოს წიგმოგამავრცელებელთა საზოგადოება და გამავრცელებელთა ასოციაცია, პაინტის ბიოლის ფონდი (რეგიონალური ოფისი), ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი, გაძლიერებული მათებატიკისა და წიგნიერების სასწავლო ცენტრი „ლოგიმეტდრი“ და სხვ.

სამი დღის განმავლობაში მრავალი ღონისძიება ჩატარდა, უმეტესად საყურადღებო იყო გამომცემლობების მიერ წარმოდგენილი წიგნების წარდგენა, ინფორმირება, პანელ-დისკუსია, შეხვდრები მწერლებსა და მორგნელებთან (აქ უნდა ჩაემატოს „გიკი გოგოს“ ავტორის ჩამოსვლა და მასზე საუბარი) გაიმართა ლოგიკური შეჯიბრებები, დაჯილდოებები სხვადასვა კონკურში გამარჯვებულის. ბავშვ მკითხველებისთვის მოეწყო მუსიკალური გამოსვლები, თამაშები „აბა გამოიცანი“, „სიტყვებით თამაში“ და სხვა. თეატრალიზირებული წარმოდგენები, ხატვის გაკვეთილები, თამაში „დაიმახსოვრებაში“ და სხვ.

აღსანიშნავია რომ თბილისის საერთაშორისო ფესტივალი უკვე 20 წლის იუბილეს იხდის, რაც სპეციალური კონცერტით ადინიშნა, რომელიც გაიხსნა თბილისის მერიის „ბიგ ბენდმას“.

მექი ბიონიბიძე

სახაბურის მუსახ საჯარო სამიცის პალატი

„თუ ვერ ვიგუაბთ, ვერ შევიფერებთ“

* * *

„ადამიანში არის რაღაც, რასაც ვერაფრით შეცვლიალბათ, ესაა ბედისწერა. მე არასოდეს მიუიქრია სხვაგვარ ცხოვრებაზე“ – ამ სიტყვებს წერდა პიროვნება, რომელსაც შეეძლო, მშვიდად და უზრუნველად ეცხოვრა, დამტკბარიყო ყველა იმ სიკეთით, რასაც საბჭოური ყოფა სთავაზობდა ცნობილი მწერლის შეილს, მაგრამ „ურჩი რაინდი“ ძალზე ადრეულ ასაკში „დაავადდა“ იმ უკურნებელი სენიორ, რასაც სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა ჰქვია. ამ უსაჩინოები მიზნის მისაღწევად სიტყვითა და საქმით იარა ძნელად-სავალი ეკლიანი გზებით და თავს დაიდგა „ეკლის გვირგვინი“, გვირგვინი, რომელიც უამრავ დაფნის გვირგვინის გადასწონის...

დიახ, დიდი რომანისტის, კონტანტინე გამსახურდიას, პირმშოს, ზვიად გამსახურდიას, არასდროს უფიქრია სხვაგვარ ცხოვრებაზე და ალბათ, არსოაგამრიგემ განსაზღვრა ისიც, რომ მას ორი ძვალშესალაგი გამოეცვალა-ჯიხაშეარისა და გროზნოს შემდეგ ქართული სულის სავანეს, მთაწმინდას, შეერთებოდა მისი ნაგვეზნატანჯი სხეული, მარადიული ბინა დაედო თავისი ქრისტესმიერი მმის-მერაბ კოსტავას გვერდით...

„რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გადაეცემის“ ასე-თი უამშეუვალი სიბრძნით დაგვმოძვრა ბრძენმა ჭაბუქმა, ტატო ბარათაშვილმა. დიახ, ცხოვლად დააჩნდა ზვიად გამსახურდიას მგზნებარე სულს სიყმაწვილიდანვე ის უმთავრესი, რასაც სოავაზობდა დიდი მამის კერა. დიდ კონსტანტინესთან რეგულარულად იკრიბებოდნენ ქვეყნის აწმყოზე სმენაგამახვილებული მამულიშვილები და მსჯელობნენ იმ ნათელ გზაზე, რომელიც ქართველს ააშორებდა გოდებას: „ჩვენმა უხეირობამ დაგვლუპა, ვაი, ჩვენი ქართლი ძედო!..“

აი, სწორედ აქ, პოლხური კოშკის კედლებში, „დაავადდა“ ზვიად გამსახურდია ზემოაღნიშნული სენიორ. ზეციურ საქართველოში დავანებული საქართველოს პირველი პრეზიდენტის სული მაშინ იგრძნობს სრულ სიმშეიდეს, როცა საქართველოს მომავალი, ჩვენი ახალგაზრდობა, სრულად გაითავისებს იმ იდეალებს, რომლისთვისაც უფლის ნებით მოვიდა, იცხოვრა და აღესრულა გამორჩეული მამულიშვილი.

ათასი მადლობა უნიჭიერეს შემოქმედს, როსტომ ჩეიიძეს, რომელმაც ტიტანური შრომა გასწია, რომ ჩვენმა საზოგადოებამ და შთამომავლობამ გაითავისოს გზა წიწამურიდან ჯიხაშეარამდე, კიდევ ერთხელ ირწმუნოს საწუთოოს დაუნდობლობა, დეტალებში გაეცნოს აწ უკვე სამზეოზე გამოტანილ ძველი ხიბულას საიდუმლოებას. ყოველივე ამას გვთავაზობს როსტომ ჩეიიძის რომანი-დილოგია „ეკლის გვირგვინი“. ვერც ვაკადრებ და ჩემს სუსტ კალამს არც ძალუმს, რაღაც გამორჩეული ვთქვა ამ წიგნზე. ვისოვთ საც ძვირფასია საქართველოს თავისუფლება, ვისოვთ საც ძვირფასია ჩასწვდეს სრულ ჭეშმარიტებას, რომ ბიბლიით ნასაზრდოები, უცლის გზით მავალი ზვიად გამსახურდია საკუთარი სიცოცხლით არ განშორებია წუთისოფელს, „ვისაც აინტერესებს, რა ძალის ხმევა დასჭირდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ვაჟს, კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსს, რითაც 2010 წლის 24 თებერვალს საქართველოს პარლამენტის სესიაზე მოწონებულ იქნა დროებითი საპარლამენტო კომისიის მოკვლევა, რომლითაც სხვა უამრავ საკითხთან ერთად დადგინდა ჭეშმარიტება და გამოირიცხა თვითმკვლელობის ისედაც ძნელად დასაჯერებელი ვერსია.

გთავაზობთ ამონარიდს კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსის წერილიდან თრიოდე სიტყვა როსტომ ჩეიიძის ბიოგრაფიულ რომანზე „ეკლის გვირგვინი“:

„როსტომ ჩეიიძე თავის ახალ წიგნში გულისშემძღვრელად მოგვითხრობს პრეზიდენტის სიცოცხლის უანასქნელი თრი თვის შესახებ, როდესაც იგი ცნობიერად უახლოვდებოდა სიკვდილს და სად უნდა მოიცალო



რომანტიკისთვის, როცა სიკვდილთან პაემანს ნიშნავ...

ეს არის დღეები, რამაც ჯიხაშეარი და ხიბულა ახალ წიწამურად აქცია. ახალი წიგნი ავტორის მიერ წარმატებით მომარჯვებული ბიოგრაფიული რომანის უანრში კარგად ჯდება და უმძიმესი სინამდვილის საკმაოდ კომპლექსურ სურათს ადადგენს.“

დიდი მადლიერებით გუერთდები ამ შეცასებას და კიდევ ერთხელ მინდა გამოვხატო თქვენდამი მადლობა, ბატონო როსტომ!

1998 წელს, როცა ოქვენი წიგნი „თუ საწუთომან დამამხოს“ (ზვიად გამსაურდიას ბედისწერა, ისტორიული ცდა) შევიძინე, სულმოუთქმელად წავიკითხე და ვირწმუნე, რომ ოქვენ კვლავ შეახვედრებდით მკითხველს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ცხოვრებასთან, ოქვენთვის ჩვეული მიუკერძოებლობით, მართალი სიტყვით ჩამოაშორებდით ზვიადის სახეს მავანთაგან მიწებებულ ყოველივე არაჯანსაღს, არარეალურს და სათანადო დოკუმენტზე დაყრდნობით მოელი სრულყოფილებით წარმოგვიჩენდით მამულისა და ერის სიყვარულისთვის დასჯილ ეროვნულ გმირს...

მადლობა ოქვენ, დირსეული მამის დირსეულ



კვლავ შემახვედრეთ ცნობილ მწერალსა და ჩემს უსაყვარლეს ლექტორს, სულგანაოლებულ ოთარ ჩევიძეს, რომელიც საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიის კურს გვითხვდა და რომლის საოცარი ერუდიციით ჩავწედით: გოგოეს, შილერის, შექსპირის, პიუგოს, ბალზაკის, მოპასანის, დიკენსისა და სხვათა მხატვრულ სამყაროს...

„მკლის გვირგვინით“ კიდევ ერთხელ გაიდგიძე ჩემს სულში ტკიფილიანი სირცეგილის გრძნობამ:

-მაშინ დამამთავრებელი კლასის მოსწავლე და აქტიური კომპაგნირელი ვიყავი. ერთ



მემკვიდრეს, რომ „ეკლის გვირგვინი“ კვლავ მიმახლეთ ჩემი ცხოვრების უბედნიერეს ხანას-სტუდენტობას. ამ წიგნის ფურცლებზე, თქვენდამი გონივრული მამობრივი რჩევებით,

დღეს სასკოლო კომპაგნირული ორგანიზაციის მდივანმა გამოგვიცხადა, რომ კომპაგნირის ცეკვადან სტუმარი გაეწვეოდა და საგანგებო ვითარებას გაგვაცნობდა „ზემოდან

მოვლინებულმა“ სიტყვა-სიტყვით წაგვიკითხა გაზეთ „კომუნისტის“ 1956 წლის დეკემბრის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებული „სარეველა“ აგვისტისა ზვიადის ხელმძღვანელობით შექმნილი ანტისაბჭოური ჯგუფის შესახებ, რომელსაც ციმბირი არ ასცდებოდა. მერე გვალანდინა და გვათათხინა ეს „გარეწრები“ და ოქმიც გაგვაფორმებინა.

მაშინ როგორ შემქმნელადა „დიდოსტატის მარჯვენის“ ავტორი, რომელსაც ასეთი „ხულიგანი“ შვილი ჰყავდა...

ეს უნებლივ დანაშაული ამ რამდენიმე წლის წინ ხარაგაულში მოწვეულ ცნობილ მწერალ გურამ დოჩანაშვილთანაც მოვინანიგ. ის ხომ ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო ზვიად გამსახურდიას ჯგუფისა.

ბატონ როსტომს კიდევ ერთხელ მინდა, ვუთხრა მადლობა ხარაგაულის კულტურული ყოფის მიმართ გამოჩენილი ინტერესისა. ბატონი როსტომი იყო კომპეტენტური ჟიურის თავმდომარე ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის (ხელმძღვანელი იზა ვეფხუაძე) ორგანიზებით მოწყობილ კონკურს „ოდეონისა“ 2015-2016 წლებში, იყო სასურველი სტუმარი,

როცა ქალბატონ იზა ვეფხუაძის ძალისხმევოთ და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით სოფელ ფარცხენალში გაიხსნა გალაბტონ ტაბიძის ოთახი-მუზეუმი.

მადლობა უშვენიერეს კულტურულ-საგანმანათლებლო კერას, ხარაგაულის ცენტრალურ ბიბლიოთეკას, მის შემოქმედებით კოლექტივს, სადაც შეიქმნა შესანიშნავი პროექტი „შეხვედრა ცნობილ ადამიანებთან“ (პროექტის ავტორი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დორექტორი ნიკოლოზ მაჭავარიანი). მორიგი და ძალზე საინტერესო შეხვედრა ბატონ როსტომთან სწორედ ამ პროექტის ფარგლებში განხორციელდა.

* * *

ყოველთვის, როცა ზვიად გამსახურდიაზე ვფიქრობ, მაგონდება დიდი ვაჟა-ფშაველას რჩევა:

„ოუ ვერ ვიგუებო, ვერ შევიყერებო, კარგი შვილები რად გვებადება?... ჩემო ქვეყანავ, ჩემო სიცოცხლევ, არ გეპადრება, არ გეპადრება!..“

ნორა ეიშიაშვილი

იმედის გმირი საბიბლიოთეკო საქმეში

სოფ. ნოსტეში ცხოვრების საინტერესო პიროვნება 23 წლის გენადი გაბოიძე, რომლის დღევანდელი მოქმედებით უთუოდ დაინტერესდებიან საბიბლიოთეკო საქმის სპეციალისტები, და არა მარტო ისინი. ეს ახალგზარდა კაცი ბიბლიოთეკებსა და სხვადაც კულტურულ დაწესებულებებში სისტემატურად ესწრება წიგნების წარდგინებას მკითხველი საზოგადოების წინაშე. ასეთ დონისძიებაში გ. გაბოიძე აგროვებს ავტორებისაგან საჩუქრად

გადასაცემ წიგნებს. მას განზრახული აქვს ავტოგრაფიული წიგნებისაგან კასპში დააფუქნის სპეციალური ბიბლიოთეკა, ამჟამად მას თავმოყრილი აქვს 1200-ზე მეტი ავტოგრაფიული წიგნები. მას არ გააჩნია სათანადო ბაზადა პირობები, რომ ასეთი სახის გამოცემებს მისცეს ბიბლიოთეკის სახე. წიგნი ა. გაბოიძეს დედამ შეაყვარა. ასეთი ენტუზიაზმით მოღვაწე ახალგაზრდა 2014 წელს იმედის გმირი გახდა.

ბიბლიოთეკარების თვითშემოქმედებას საზღვარი არა აქვს



ის, ვინც ა.წ. 5 მაისს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში დაესწრო ბიბლიოთეკართა ნახელავს, ხელოვნების სხვადასხვა ნამუშების გამოფენას, ვფიქრობთ დარწმუნიდა, თუ რაოდენ მდიდარი და მრავალფეროვანია საქართველოს სახვადსხვა ტიპისა და უწყების ბიბლიოთეკაში მომუშავე ბიბლიოთეკართ თვითშემოქმედება; ჭეშმარიტად ასეა: ამ დღეს ყველა ბიბლიოთეკა ცდილობდა თავისებურად, ლამაზად, ორიგინალური ნამუშევრებით წარმოედგინა საქუთარი ბიბლიოთეკა. ასეთ ნამუშევრებში ჩაქსოვილი იყო ბიბლიოთეკართა არა მარტო ფანტაზია, არამედ მათი გონების ნაწილიც. ბიბლიოთეკარები დღენიადაგ ტრიალებებ წიგნის სამყაროში, ეცნობიან ადამიანთა მიერ შექმნილ სიახლეებს ცხოვრების ყველა დარგში. გამოფენაზე ყველამ საქუთარი ნამუშევარში ჩადო ნიჭი.

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ასეთ ღონისძიებას გა-



მოეხმაურა სამოცამდე ბიბლიოთეკარი. ხელოვნების ნიმუშებს შორის გამოარჩევდით მხატვრულ ნაქარგებსა და ესკიზის ნიმუშებს, ხელნაწერ წიგნებს, ისეთ მასალებს, რომლებიც ადვილად მეტყველებდნენ შემსრულებელთა მონძომებასა და ნიჭზე; ღონისძიების იდეური ხელმძღვანელი გახლდათ ქალბატონი ინგა ლორია.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მთავარ ბიბლიოთეკაში (დირექტორი ნინო ბერიძე) ჩატარდა ლიტერატურულ კომპოზიცია დაკავშირებული თამარის მეფობის პერიოდთან. თამარობა აღინიშნება ყოველი წლის 14 მაისს. ამ დღის აღსანიშნავად მომზადებულ ლიტერატურულ კომპოზიციაში მონაწილეობდნენ ბიბლიოთეკის აქტიური მკიონები: ნ. ზაზაძე, ნ. ბერიძე, ნ. გიორგაძე, ჯ. მაგრაქველიძე.



თამარის სახე შთამბეჭდავად წარმოადგენს: ა. კალანდაძემ, ბ. ბერიძემ, მ. მელიქიძემ ეკლესიის მგალობელთა ჯგუფმა შეასრულა საგალობელი „ჩემო პატრიოქო“.

წყალტუბოს საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (მენეჯერი სულიკო სვანიძე) ყოველთვის გამოირჩევა ღრმად შინაარსიანი ღონისძიებებით. განსხვავებული ღონისძიებები ჩატარდა ყვლა ბიბლიოთეკა-ფილიალში. თითოეული ღონისძიება აღსავსე იყო მკიონებით შემოქმედებითა და აქტიურობით. ფარცხანაყევის სასოფლო ბიბლიოთეკაში ღონისძიება მიედღნა ცნობილი ფილოსოფისის შალიკა ნუცუბიძის დაბადებიდან 130 წლისთაგს. ფარცხანაყანევისა და მუხიანის სასოფლო

ბიბლიოთეკებში მოწყობილ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობდნენ ქუთაისის ა. წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები ი. გუგუხიძე, რ. გოლეთიანი, რ. კილაძე. პარლამენტის დეპუტატი პროფ. თ. ნიშნიანიძე. მათ ისაუბრეს შ. ნუცუბიძის ცხოვრებათა და მოღვაწების შესახებ. წყალტუბოს მხარეობის მუზეუმის დირექტორმა ც. ლვინიანიძემ გამოთქვა მოსაზრება შ. ნუცუბიძის მუზეუმის შექმნის თაობაზე. კონფერენცია შეაჯამა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის მმართველის მოადგილებ ლ. გალენიძემ.

წყალტუბოს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გახსნილი იყო ახლადმიღებული ლიტერატურის გამოფენა. გამოფენა დიდი ინტერესით დაათვალიერეს საჯარო სკოლების მოსწავლეებმა, პედაგოგებმა, სტუდენტებმა, კულტურისა და განათლების თანამშრომლებმა.

სოფ. გუმბრის, გეგუთის, მაღლაკის ბიბლიოთეკებმა შეხვედრა მოუწყეს დვაწმოსილ ბიბლიოთეკარებს ნ. კოლუაშვილს, ი. მოდებაძეს, ლ. მაჩალაძეს და ნ. კიკნაველიძეს. ოფურჩეთის და ტყაჩირის ბიბლიოთეკებ-



ში გაიმართა პოეზიის საღამო. ახალგაზრდა მკონხველებმა საინტერესოდ გააციცხლეს წვენი ერის ისტორია გვიშტიბისა და გუბისწყლის ბიბლიოთეკაში ჩატარებული პოეზიის საღამოზე. ცხუნცურის ბიბლიოთეკებში ჩატარდა ლექცია დიალოგი, რომელიც მიეძღვნა საქართველოს დემოუკიდებლობის მეასე წლისთვის. ახალგაზრდა მკონხველებმა საინტერესო დონისძიებები გამართეს სოფ. საყულის, გვიშტიბის, გუბისწყლის, რონის, ოფურჩეთის, სოფ. წყალტუბოს გეგუთის, ქვიტირის, ცხუნცურის, მუხიანის, დერჩის, სასოფლო ბიბლიოთეკებში, დონისძიებები მიეძღვნა არჩილ სულაკაურის დაბადებიდან 90 წლისთვის.

წყალტუბოს საბაგშვო ბიბლიოთეკაში მოაწყო პატრიოტული ლექსის მხატვრული

კიოხვა. კონკურსში მონაწილეობდნენ გვიშტიბის, ცხერუნცურის, ქ. წყალტუბოს საჯარო სკოლები, სასულიერო გიმნაზიის მოსწავლეები. მხატვრულ კიოხაში გამარჯვებულებს გადაეცაო საპატიო სიგელები.

მცხეთის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (მენეჯერი ე. ჩიხლაძე)



კვირეული ჩატარდა დევიზით „წარმოაჩინე შენი ბიბლიოთეკა“, ასედი დევიზით საინტერესო დონისძიებები ჩატარდა ს. ერგადის, მისაქციოლის, საბაგშვო ბიბლიოთეკის, ძალისის, ქსნის, ქსოვრისის, მუხრანის, ნავაზის, საგურამოს, ნატახტრის, ძეგვის სასოფლო ბიბლიოთეკებში. ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ დონისძიება ჩატარდა სვეტიცხოვლის ტაძრის ეზოში თემაზე „გადაწერე დიდოსტატი“. საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოწყობილ დონისძიებაში „ბიბლიოთეკარი ხელოვანი“ მონაწილეობა მიიღო საბიბლიოთეკო განყოფილების სპეციალისტმა ს. დიდებაშვილმა. ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გამართულ დონისძიებაზე წარადგინეს ლ. ბერაიას წიგნი, „ქართველ თავად-აზნაურთა გვარების აღწერა“. დონისძიების უძღვებოდნენ ცენტრალური ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ს. თათარაშვილი, მთავარი ბიბლიოთეკარი გ. ზარიძე, ც. ფერაძე. წიგნის შესახებ საინტერესოდ ისაუბრა ბიბლიოთეკარმა ს. ოსიტაშვილმა,





ღონისძიების მონაწილეებს საინტერესოდ ესაუბრა წიგნის ავტორი დ. ბერაია. ინფორმაცია ჩარატებული ღონისძიების შესახებ რედაქციას მიაწოდა საბიბლიოთეკო განყოფილების წამყვანმა სპეციალისტმა მ. დავითიანმა.

გორის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში (ხელმძღვანელი ნ. აბრამიძე)

შეხვედრა მოუწყვეს დვაწლმოსილ ბიბლიოთეკარს ელიზა ელბაქიძე-ნადიმაშვილს, რომელსაც დაბადებიდან 80 და მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა. ბიბლიოთეკარის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ისაუბრა ნ. აბრამიძემ. დარბაზში იმყოფებოდნენ ბიბლიოთეკარები, მკიოხველები, მწერლები, აადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. იუბილარს მიესალმნენ: რ. მაღლაკელიძ, ვ. ჭავჭავაძე, ვ. ავალიშვილი, გ. საძაგლიშვილი და სხვები. საინტერესო აღნიშვნოს, რომ ბიბლიოთეკარმა ე. ელბაქიძე-ნადიმაშვილმა სამსახურიდან წასვლის შემდეგ გამოსცა ლექსებისა და მოთხოვნების სამი კრებული. სადამოზე დამსწრე საზოგადოებამ გულობილად ისაუბრეს დვაწლმოსილი ბიბლიოთეკარის ნადვაწსა და შემოქმედებით საქმიანობაზე.

დედოფლისწყაროს საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (დირექტორი მ. მაჭარაშვილი) ჩატარდა ზეპირი ჟურნალი ოქმაზე „წიგნი, მკიოხველი, ბიბლიოთეკა“. მრავალფეროვანი იყო ზეპირი ჟურნალის ოქმაზიკა: „ზნობრივი მაგალითის როლი ალ. ყაზბეგის შემოქმედებაში“, „ლექსი იოსებ ნონეშვილი დედას“, „გაზაფხული შემოსულა, ლენ“, „წლები და ადამიანები, შეხვედრა ბიბლიოთეკარებთან“. ღონისძიება სიტყვით გახსნა საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორმა მ. მაჭარაშვილების დირექტორის ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილებამ ჩატარდა ღონისძიება თქმაზე:

ვილმა. კვირეულის პროგრამით გათვალისწინებული თემები საინტერესოდ გააშუქეს ბიბლიოთეკარებმა: ე. ყოჩიაშვილმა, ა. ჩიტიშვილმა, თ. ელაშვილმა, მ. მაჭარაშვილმა საინტერესოდ მიმოიხილა საბიბლიოთეკო ქსელის მოღვაწეობა მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების საქმეში. განსაკუთრებული სიყვარული გამოხატებს ბიბლიოთეკარების მიმართ, რომლებიც წლების განმავლობაში უანგაროდ, ენთუზიაზმითა და დიდი სიყვარულით ემსახურებიან იმ უკეთილშეინტერესულ კითხვის კულტურის ამაღლება და საინფორმაციო მუშაობა ეწოდება.

საჩხერის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (დირექტორი მ. აბრამიშვილი) კვირეულის პროგრამით ჩატარდა მრავალი საინტერესო ღონისძიება: შეხვედრები პოეტებთან, მოსწავლე-ახალგაზრდობასთან, ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან: ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მოეწყო შეხვედრა პოეტთან ნათელა ხარაიშვილთან, რომლის პოეზია, მდიდარი სულიერი სამყარო და შემართება მისაბაძია თითოეული ქართველისათვის, წიგნის მკიოხველთა და ჩვეულებრივი მოქალაქისათვის. სოფ. ჩიხის სახოფლო ბიბლიოთეკის სპეციალისტმა მ. იაკობაშვილმა ბიბლიოთეკაში მოწვევულ მკიოხველებს ესაუბრა თემაზე „როგორ გამოვიყვანოთ, მოვუაროთ და შევინარჩუნოთ ვაზის უნიკალური ჯიშები“. ღონისძიებებში მონაწილეობდნენ და საინტერესო მოსაზრებები გამოიქვეს სპეციალისტებმა: ა. იაკობაშვილმა, ნ. კიქნაძემ, ა. ტალახაძე, ჯ. ტალახაძე, თ. მოღებაძემ, ნ. გელბახიანი და სხვები. ცენტრალური ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილებამ ჩატარდა ღონისძიება თქმაზე:

„ერთი დღე საბაგშვი ბიბლიოთეკაში“ ამ დღეს ბიბლიოთეკას სტუმრობდნენ საჩხერის 2 საბაგშვი ბაღის უფროსი ჯგუფის ადსაზრდელები: ბაგშვები გაეცნენ უახლეს საბაგშვი ლიტერატურას, შეასრულოს სიმღერები, წარმოადგინეს, საკუთარი შემოქმედების ნიმუშები. ბიბლიოთეკაში სტუმრობამ მათხე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საჩხერის 2 საჯარო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლეები, რომლებიც საინტერესოდ ისაუბრეს სიყვარულის, თანაგრძნობის, დაუნდობლობის, მიტევების და სხვა ადამიანური ღონისძიებების შესახებ. ამ საკითხებზე საკუთარი მოსაზრებები გამოიქვეს მოსწავლეებმა: მ. მეტონიძემ, ო. გაბაძემ, მ. გოგოლაძემ, ნ. მაჭარაშვილმა და სხვებმა. ღონისძიებას უძღვებოდა პედაგოგი მ. დეკანოძე; სოფ. კორბოულის ბიბლიოთეკაში ჩატარდა ვიქტორინა-კონკურსი, სადაც მონაწილეობდნენ ბაგა-ბაღის ადსაზრდელები.

თეორიულაროს მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (დირექტორი ზ. ხაჭვანი) კვირეულის პროგრამით საინტერესო ღონისძიებები ჩატარდა ს. კოდის (ბიბლიოთეკარი ტ. არეკაძე), ს. წინწყაროს (ბიბლიოთეკარი ლ. ონიანი), ს. ბორბალოს (ბიბლიოთეკარი ე. მურადაშვილი). ს. ჯორჯიაშვილი (ბიბლიოთეკარი მ. არჩვაძე), ს. ასურეთის (ბიბლიოთეკარი მ. მუხაშავრია), ს. ჭივჭავის (ბიბლიოთეკარი ი. ქურასბეგიანი) სასოფლო ბიბლიოთეკებში. ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობდნენ პედაგოგები, მოსწავლე-ახალგაზრდობა, ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლები. მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარდა დასკვნითი ღონისძიება „ერთი ლამაზი დღე ბიბლიოთეკაში“. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები, კულტურის ცენტროს არსებული საბაგშვი თეატრი „გზარისის“ მოსწავლეები, რაიონის მკვიდრი პოეტები: ა. გიგაური, შ. ავციაური, ე. ამურველაშვილი, ლ. შაფულაშვილი. გაერთიანების ბიბლიოთეკებში ჩატარებული ღონისძიებები დაგეგმილი იყო ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, ცალკეულ ღონისძიებებს ესწრებოდა კულტურის ცენტრის დირექტორის მოადგილე ქ. მაისურაძე.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (საბიბლიოთეკო გაერთიანების უფროსი გ. საღიანაძე) კვირეულის პროგრამით ჩატარებულმა ღონისძიებებმა ნათლად გამოხატა ბიბლიოთეკების როლი და ადგილი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში. წარმოაჩინა

ღონისძიებებში მონაწილეობა მოსწავლე-ახალგაზრდობის, პედაგოგებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებით საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მოთხოვნები, ცალკეულ ღონისძიებებში გამოირჩეოდა შინაარსის თანამედროვე თემატიკით, მკითხველთა აქტიური მონაწილეობით. კვირეული გაიხსნა ბიბლიოთეკასთნ ასახული ლიტერატურული კლუბის პროექტით „ჩვენ გიოთხულობთ“. პროექტის პროგრამით გაიმართა პოეზიის სადამო თნის მუნიციპალიტეტში, მონაწილეობდნენ ამბროლაურისა და თნის მკითხველები; ახალგაზრდა მკითხველებმა პოეტ მ. ლეგანიძის ბიუსტოან წაიკითხეს თავიანთი პოეტური შემოქმედების ნიმუში. მკითხველთა აქტიური მონაწილეობით გამოიჩინდა თითოეული ღონისძიება, რომელიც ჩატარდა ასოფლის ბიბლიოთეკებში: ს. ხიდიკარის (გამგე ნ. სხირგლაძე), ს. ბუგეული (გამგე მ. გაბიანი), ს. ჭრებალო (გამგე მ. მელაშვილი) ბიბლიოთეკაში ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობდნენ თოშხას, ქვიშარის, ჭკვიშის, პატარა თნის სასოფლო ბიბლიოთეკები. ღონისძიება მიეძღვნა დიდი მამული შვილის ექვიმები თაყაი შვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

ხვანებარის სასოფლო ბიბლიოთეკაში (გამგე ზ. ლომიძე) ჩატარდა ლიტერატურული სადამო „წიგნი ჩემი ცხოვრების თანამგზავრია“. ღონისძიებაში მონაწილეობას დებულობდნენ პირველი და მეორე ტოლის სასოფლო ბიბლიოთეკები. ნიკორწმინდის სასოფლო ბიბლიოთეკაში (გამგე თ. კობახიძე) ჩატარდა თემატური სადამო „რაჭული ტრადიციები“. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ კაჩაეთის, ხოტვის. ჭელიადელეს სასოფლო ბიბლიოთეკები.

კვირეულის დღეებში საინტერესო ღონისძიებები ჩატარებული ცურჯაანის საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანებაში (დირექტორი ს. ბოგეგრაძე). ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარებული ღონისძიება მიეძღვნა საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის-



თავს. დონისძიება გახსნა და ამოცანებზე ისაუბრა საბიბლიოოთეკო და სამუზეუმო გაერთიანების ორგანზატორმა და. გოდელაშვილმა. ისტრიკოსმა შ. უტიაშვილმა ისაუბრა თემაზე „დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ“. ნაჩვენები იყო დოკუმენტური ფილმი „ექვთიმე თავაიშვილი“. ამავე თემატიკაზე უმცროსი ასაკის მოსწავლეებს ესაუბრა სამკითხველო დარბაზის ბიბლიოთეკარი ქ. ფურცელაძე.

სოფ. გურჯაანის ბიბლიოთეკაში ჩატარდა დიტერატურული საღამო, რომელიც მიეძღვნა გურჯაანის მკიონის მწერალ მალხაზ აზარაშვილის ხსოვნას. მოსწავლეებმა წაიკითხეს ამონარიდები მწერალის შემოქმედებიდან სიტყვით გამოიწენ მწერლის და და დედა. საინტერესო დონისძიებას ესწრებოდნენ საბიბლიოოთეკო და სამუზეუმო გაერთიანების ხელმძღვანელები, მუნიციპალიტე-

გაერთიანების ორგანიზატორმა ლია გოდელაშვილმა.

ხარაგაულის საბიბლიოოთეკო გაერთიანებაში (კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორი ნ. მაჭავარიანი) კვირეულის პროგრამით დონისძიებები ჩატარდა დევიზით, „წარმოაჩინე შენი ბიბლიოთეკა“. სასოფლო ბიბლიოთეკებში დონისძიებების თემატიკა შერჩეული იყო კორდინაციული მიდგომებით. დონისძიებები მიეძღვნა ქ. გამსახურდიას, ბ. დუმბაძის, ალ. ყაზბეგის, ო. ჭილაძის, ი. ნონეშვილის საიუბილეო თარიღებს. ჩატარდა თემატური საღმოები: „9 აპრილი - ტკივილი ჩენი“, „ქართველი პოეტები უმდერენდედას“. „ენა განძია ერისა“, „საქართველოს უკვდავი გმირები“. კვირეულის დონისძიებებში აქტიურად მონაილეობდნენ ხარაგაულის სხვადასხვა სკოლების ოთხი მოსწავლე: თ. ოკრიბელაშვილი, ნ. მადრაძე, მ. ბურჯაანაძე და



ტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პირები.

სოფ. ვაჩნაძიანის ბიბლიოთეკაში მკიონებელებმა განიხილეს ჯ. დაშერის ნაწარმოები „დაბირინთებში მორბენალი“. მკიონებელთა პეტიური მონაწილეობით გამოირჩეოდა თითოეული მასობრივი დონისძიება, რომლებიც კვირეულის პროგრამით ჩატარდა ს. ვეჯინის, ს. ჯიმითს, ს. კარდენახის, ს. ველისციხის, ს. ქოდალოს, ს. ბაკურციხის, ს. ნანიანის, ს. ზეგანის, ს. კაჭრეთის, ს. არაშენდას სასოფლო ბიბლიოთეკებში. დონისძიებების თემატიკა გამოირჩეოდა მრავალფეროვნებით, შინაარსთა და ორგანიზატორული კუთხით. მათში აქტიურად მონაწილეობდნენ მოსავლე ახალგაზრდობა, პედაგოგები, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციისა და ადგილობრივი ინტელიგენციის წარმოამდგენლები. ინფორმაცია ჩატარებული დონისძიებების შსახებ მოგვაწოდა საბიბლიოოთეკო და სამუზეუმო

მ. კამპამიძე. მათ ერთი დღე გაატარეს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, გამოუშვეს კედლის გაზეთი „კონსტანტინე გამსახურდია - 125“. საბავშვო განყოფილებამ აქტიური მკიონებელებისათვის მოაწყო ექსპურსია ვანისა და წყალტუბოს მუნიციპლიტეტებში. მკიონებელებმა დაათვალიერეს გალაკტიონ ტაბიძის და ტიციან ტაბიძის სახლმუზეუმები. საინტერესო იყო ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარებული დონისძიება პროექტის პროგრამით „შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან“. ამ პროგრამით ბიბლიოთეკას სტუმრობდა მწერლი როსტომ ჩხეიძე, რომელმაც დეტალურად ისაუბრა ბიოგრაფიული რომანის „ეკლის გვირგვინის“ შექმნის ისტორიაზე. რომანი შეეხება ზვიად გამსახურდის მოდვაწეობას. შეხვედრა მიმდინარეობდა დიალოგის ფორმით. დისკუსიაში მონაწილეობდნენ: ე. შველიძე, მ. გიორგაძე, ი. ჩხეიძე, ზ. ბუაჩიძე და

სხვები. ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მკითხველი ეცნობა ოანამდროვე ტექნოლოგიებს; ინფორმაციების ცენტრში და სასოფლო ლიტერატურის განყოფილებაში მკითხველები დებულობენ ინფორმაციას მათვის საინტერესო საკითხებზე. ინფორმაცია ჩატარებული დონისძებების შესახებ მოგვაწოდა საინფორმაციო-ანალიტიკური განყოფილების მეთოდისტმა მ. ჩუბინიძემ.

ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (კულტურის სამსახური უფროსი მ. ხუჯაძე) კვირეული გაიხსნა მასშტაბური კონკურსით „გინ უფრო სწრაფად“. კონკურსში მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის სკოლების 18 გუნდი. კონკურსის გამარჯვებული გახდა ბორჯომის №3-ე საჯარო სკოლის გუნდი „პანაცეა“ კონკურსს ესწრებოდნენ ბორჯომის საკრებულოს დეპუტატი გ. ფერაძე „ქართული ოცნება“ ბორჯომის ფრაქციის თავმჯდომარე ი. კვირკველია და სხვა პასუხისმგებელი პირები. საინტერესო დონისძებები ჩატარდა საბიბლიოთეკო გაერთიანების ფილიალებში. ახალი უბნის ბიბლიოთეკის (გამგე თ. რაზმაძე) მკითხველები იმყოფებოდნენ ახალციხეში. მოინახულეს რაბათი, მწვანე მონსატერი და ტაძარი ლიკანში. ოქმატური მრავალუროვნებელი გამოირჩეოდა დონისძებები საბავშვო ბიბლიოთეკაში (ბიბლიოთეკარი ნ. იქიმიძე), სოფ. კორტნეთის ფილიალში (ბიბლიოთეკარი მ. თოთლაძე); დაბა წალენჯიხის კულტურის სახლში გაიმართა ლონისძებები „არმოარინების 5 მაისი, 2018 / 15:00 სთ საქართველოს პარამეტრის გროვნული ბიბლიოთეკა საქართველოში დარჩენილი 7“ ბიბლიოთეკარი საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (დირექტორი თ. აბრამიშვილი) კვირეულის პროგრამით ჩატარდა სხვადასხვა სახის საინტერესო დონისძებები. მთავარმა ბიბლიოთეკაში ნამუშევრების გამოყენა. ტანხმის სასოფლო ბიბლიოთეკი ჩატარდა ლიტერატურის განყოფილების ცენტრში გაიმარტა ხარაგაულის ლიტერატურული თეატრის ხელმძღვანელის იზა ვეფხვაძის მონისპექტაკლი „საქართველოს შიშველი სატევარი“, რომელიც მიუძღვნა მერაბ კოსტავას სხვნას; ასეთივე თემატური მრავალუროვნებით გამოირჩეოდა დონისძებები სოფ. ცემის (ბიბლიოთეკარი ე. ტაბატაძე), სოფ. ტბის (ბიბლიოთეკარი ი. გელაშვილი), სოფ. ქვაბისხევის (ბიბლიოთეკარი ქ. სარალიძე); საბავშვო ბიბლიოთეკაში გაიმართა სახვოთი ხელოვნების კონკურსი (ბიბლიოთეკარი ნ. იქიმიძე), მასში გაიმარჯვა პირველი საჯარო სკოლის მოსწავლე მ. გრიგალაშვილმა.



წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების (დირექტორი ნ. შანაძე) მთავარ ბიბლიოთეკაში გაიმართ დონისძებები, მიძღვნილი წიგნისა და სავტორო უფლებების დაცვის დღისადმი „ყოველი კარგი წიგნი თვალშინ გვიშლის ახალ სამყაროს“. ცალკე გამართული დონისძებები მიეძღვნა მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებას. საბავშვო ბიბლიოთეკა (გამგე ი. კვარაცხელია) გაიმართა მკითხველთა კონკურსითა „ბიბლიოთეკები წიგნადი ძეგლებია“. მოეწყო შეხვედრები ნორჩ მკითხველებთან, განიხილეს ე. ბაქრაძის და რ. ინანიშვილის თხულებათ კრებულები. საინტერესო დონისძებებით აღინიშნა კვირეული სოფ. ლიის (ბიბლიოთეკარი ა. კილანავა), სოფ. ოჯანეშს (ბიბლიოთეკარი ს. ჩქოტუა), სოფ. საჩინოს (ბიბლიოთეკარი ნ. სალია), სოფ. ნაკიფუს (ბიბლიოთეკარი თ. ძამმია), სოფ. ეწერის (ბიბლიოთეკარი მ. უბილავა), სოფ. ზღვიას (ბიბლიოთეკარი მ. კვარაცხელია), სოფ. ჯგალის (ბიბლიოთეკარი ნ. მესხია), სოფ. ობუჯის (ბიბლიოთეკარი ლ. ხეიჩვა), სოფ. ჯგარის (ბიბლიოთეკარი შ. ბასარია), სოფ. მედანის (ბიბლიოთეკარი ნ. კვარაცხელია) სასოფლო ბიბლიოთეკის-ფილიალებში. ინფორმაცია მოგვაწოდა ნ. შანაძემ.


ბოლნისის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (დირექტორი თ. აბრამიშვილი) კვირეულის პროგრამით ჩატარდა სხვადასხვა სახის საინტერესო დონისძებები. მთავარმა ბიბლიოთეკაში ნამუშევრების გამოყენა. ტანხმის სასოფლო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ლიტერატურის განყოფილების ცენტრში გაიმარტა ხარაგაულის ლიტერატურული თეატრის ხელმძღვანელის იზა ვეფხვაძის მონისპექტაკლი „საქართველოს შიშველი სატევარი“, რომელიც მიუძღვნა მერაბ კოსტავას სხვნას; ასეთივე თემატური მრავალუროვნებით გამოირჩეოდა დონისძებები სოფ. ცემის (ბიბლიოთეკარი ე. ტაბატაძე), სოფ. ტბის (ბიბლიოთეკარი ი. გელაშვილი), სოფ. ქვაბისხევის (ბიბლიოთეკარი ქ. სარალიძე); საბავშვო ბიბლიოთეკაში გაიმართა სახვოთი ხელოვნების კონკურსი (ბიბლიოთეკარი ნ. იქიმიძე), მასში გაიმარჯვა პირველი საჯარო სკოლის მოსწავლე მ. გრიგალაშვილმა.

მიმოხილვა მოამზადა გურამ თაყნიაშვილმა

06 ფორმაცია-რეცენზია

მზის ტომონიძე

პროფესიაში გამორჩეული



ტიმდინარე წელს პროფესიონალ ქალთა ასოციაციის მიერ ამ ასოციაციის თავმჯდომარის ქალბატონ ნანული ჭავჭანიძის თაოსნობით გამოიცა ქართველი მკიონეველისაოვის კიდევ ერთი საინტერესო კრებული “პროფესიაში გამორჩეული” რომელიც მკიონეველ საზოგადოებას შეახსენებს, რომ ჩვენი სამშობლოს

მომავალი წარმატებების საფუძველთა საფუძველი ყოველი ჩვენგანის მადალპროფესიონალიზმშია. კრებული პროფესიონალ ქალთა ასოციაციის დაარსებიდან 15 წლის იუბილეს ემდგნება. ვულოცავთ ასოციაციის წევრებს ამ საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ წარმატებებს მნიშვნელოვან, მიზანდასახულ საქმიანობაში.

კრებულში წარმატებული პროფესიონალი ადამიანების, აკადემიკოსების ბატონ როინ მეტრეველის, ქალბატონ გუბა კვარაცხელიას და სხვა მრავალთა შორის შევიდა საბიბლიოთებრი დარგის მოდვაწე თავდადებული პროფესიონალები ბატონი გურამ თავისიაშვილი და ქალბატონი მზია ტოგონიძე, ასევე ამ დარგის ერთგული მეგობარი და ქომაგი ქალბატონი ცისანა ქოჩხაშვილი, რომელთა თავდაუზოგავი მოდვაწეობა ყოველთვის სასიკეთო კვალს ტოვებს საბიბლიოთებრი დარგის განვითარებასა და წინსვლაში. მათი პროფესიული ცოდნა და გამოცდილება სამეცნიერო პედაგოგიური და აქტიური შემოქმედებითი მოდვაწეობა მეტყველი მაგალითია პროფესიისადმი ერთგულებისა და პროფესიაში გამორჩეულობისა. გილოცავთ ძვირფასო მეგობრებო კიდევ ერთ მნიშვნელოვან აღიარებას და გისურვებო ხანგრძლივ, ნაყოფიერ და წარმატებულ საქმიანობას.

ალექსანდრე ცოხია

მრავალფეროვნების განმაპირობელი ფაქტორები

ტიდევ ერთი მეტად დირებული წიგნით დაგაინტერესოთ ჩვენი მკიონეველები-ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტის, ეთნოლოგიის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტისა და, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ერთობლივი ძალისხმევით გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოაქვეყნა პროფ. როლად თოფუჩიშვილის მონოგრაფია - “გეოგრაფიული

გარემო და კავაკსიელთა ეონიკური პულტურა“ (თბ., 2018.-240 გვ.)

როგორც ცნობილია, ადამიანთა საზოგადოებები ერთმანეთისგან მრავალი ნიშნით განსხვავდებიან. ერთ-ერთია ანთროპოლოგიური ტიპიურობა, ასევე კულტურა, ენა. დიდი ხანია ამ განსხვავებათა წარმოქმნის მიზეზებს იკვლევენ და ბევრი რამ ახსნილიცაა, მაგრამ ძიება და დასაბუთება ჭეშმარიტებისა მუდმივი შესწავლის საგანია. სადაცო არაა, რომ

გეოგრაფიული გარემო სულიერი კულტურის ცალკეულ მხარეზეც გავლენას ახდენს. ლანშაფტი დიდ ზეგავლენას ახდენს ამა თუ იმ ეთნოსის ჩამოყალიბება განვითარებაზე. ფიზიკური გეოგრაფია ისტორიასთან მჭიდრო კავშირშია. ისტორიული მოვლენები კი ეთნოსის სულიერ სამყაროზე ძლიერ მოქმედ ფაქტორს წარმოადგენს.

ეთნოსის სხვადასახვაობა, მათი განვითარება, შერწყმა თუ დაცალკევება უდავო ფაქტია და საუკუნეების განმავლობაში მუდმივმოქმედ პროცესს წარმოადგენს. ყოველივე ამის შესწავლა-შემეცნება, ანალიზი, ჰემარიტების განსაზღვრა და მრავალი სხვა მეცნიერულად შესწავლისა და განზოგადების მნიშვნელოვან საგანს წარმოადგენს. მასთან უამრავი პრობლემაა დაკავშირებული. სწორედ ამ პრობლემებზე ყურადღება გამახილებული რასაც ავტორი წიგნის შესავალში აღნიშნავს. ის სვამს საკითხს, თუ რა არის „...ეთნოსებისა და ეთნიკური კულტურების არსებობის მიზეზი?“. სწორედ ამ საკითხების დამუშავებას ახდენს ავტორი მოცემულ მონოგრაფიაში და ცდილობს რამდენადაც შეიძლება დასაბუთებულად წარმოადგინოს არსებული მოსაზრებები.


ავტორის სიტყვებით, „ეთნოლოგია არა მხოლოდ ამა თუ იმ ხალხის კულტურას სწავლობს, არამედ სხვადასხვა ხალხების კულტურას ერთმანეთს ადარებს და გამოავლენს მათ მხგავსესა და განსხვავებული კულტურის ელემენტებს“. სწორედ ამ პრინციპით ხელმძღვანელობს რ. ორჩიშვილი მის წიგნში წარმოდგენილი კვლევის დროს. მას მიაჩნია, რომ „ეთნოგრაფიული კვლები გეოგრაფიული გარემოს გაუთვალიშინებლადა არ შეიძლება“.

შესავლის ბოლოს ავტორი აცხადებს: „წინამდებარე წიგნში კავკასიაში არსებული კულტურული მრავალფეროვნების მიზეზების შესახებ ყველაფერი არა ნათქვამი. ამ თვალსაზრისით სრულყოფილი კვლევა მომავლის საქმედ მიგვაჩნია“

რომ უფრო სრულყოფილი წარმოდგენა მივცეო მკითხველს ამ წიგნის შესახებ, შეგვიძლია გავაცნოთ ნაშრომის სტრუქტურა:

შესავლის შემდეგ მოდის თემატური პარა-

გრაფები: „ბუნებისა და ადამიანთა საზოგადოების ურთიერთმიმართების პრობლემა“, „რატერიტორიას მოიცავს კავკასიის გეოგრაფია: ლანდშაფტისა და კლიმატის შესახებ“, „კავკასიის ლანდშაფტისა და ისტორიისა და ეთნოლოგიის ურთიერთმიმართება“;



როლანდ თოფჩიშვილი
გაოგრაფიული გარემო და
კავკასიულთა ეთნიკური
კულტურა

„ეთნიკური ვითარება ისტორიულ და თანამედროვე კავკასიაში“, „კავკასიის გეოგრაფია და კავკასიულთა ეთნიკური კულტურა“, „ჩრდილო დასავლეთ კავკასიის ეთნიკური ერთობათა სოციალური და კულტურული განვითარების შეფერხების მიზეზების შესახებ“, „ქართველთა და ჩრდილოკავკასიულთა ეთნიკური ურთიერთობის პრობლემები“, „ბოლოოქმა“.

წიგნში მრავლადაა მოცემული სქოლიოების სახით წარმოდგენილი წყაროები.

ავტორის თქმით, „წიგნი მხოლოდ ერთგვარ ცდას წარმოადგენს გეოგრაფიისა და კავკასიულთა მრავალფეროვანი ეთნოსების და შესაბამისად მრავალრიცხოვანი კულტურის ურთიერთმიმართების შესწავლისა“.

ესპიციალური
ესპერიენცია

ამ მშვენიერ ქალაქში მუსიკალური ცხოვრებაზ ჩემეფს



კატალონიის მშვენიერი ქალაქის ბარსელონას სენტებაზე საფეხბურთო კლუბი „ბარსელონა“ და მისი ერთ – ერთი ძლიერი ფეხბურთელი ლეო მესი წარმოგიდგება. მაგრამ მოდიოთ ქალაქს სხვა – მოგზაურის თვალით გადავხედოთ. იქ ჩასული ადამიანი დიდი შთაბეჭდილების ქვეშ მოყენება ქალაქის არქიტექტურული იერით და ეს შეეხება ნებისმიერ ტურისტს – როგორც ხელოვნებისაკენ მიდრეკილს ასევე იმასაც, რომელიც აქამდე არქიტექტურაზე საერთოდ არ დაფიქრებულა. ათმა წელმა, რაც ჩემს წინა ვიზიტს ამ ქალაქში აშორებს, როგორც ვხედავ, სხვა ელფერი შესძინა ქალაქს, კერძო მფლობელის ხელში არსებულმა არქიტექტურულმა ნიმუშებმა, რომლებიც ამჟამად ფართო მნახველითვის იყო გახსნილი და წარმოდგენილი, მეტი მნახველი მოიზიდა და ქალაქი სიცოცხლითა და ხალისით აავსო. არასეზონური აპრილის პირველ ნახევარში ბარსელონას თვალსაჩინო თანამედროვე ტაძარში – „საგრადა ფამილიასთან“ (წმინდა ოჯახი) იმდენმა ტურისტმა მოიყარა თავი, რომ ტაძრის სამხრეთი კარებოთან გასაჩერებელი ადგილიც კი არ იყო და, როგორც ქართული პრესის წარმომადგენელს, მომიწია ამით აპელირება, ურიგოდ რომ მოგხვედრილიყავი ტაძრის შიდა ტერიტორიაზე. ბოლო ათმა წელმა ანტონი გაუდის (1852–1926) მონუმენტალურ შედევრს ბევრი რამ შემატა – აშენდა გარე გუმბათები და ნაგებობები, მოპირკეოდა შიდა სივრცე (ეგრეთ წოდებული ნეკნებიანი კამარები), აიგო კაოედრა და 2010 წლის ნოემბერს ტაძარი აკურთხა რომის პაპმა - ბენედიქტ XVI. კერძო შეწირულობებით და ტურ-

ისტების მიერ გადახდილი შემოსავლებით დღემდე გრძელდება მშენებლობა. მისი დასრულება იგეგმება 2026 წელს, როდესაც ტაძრის შემოქმედის გარდაცვალებიდან 100 წლისთვის შესრულდება. ძალზე მომხიბლა შენობის შიდა ინტერიერმა (წინა ვიზიტისას საერთოდ დაუხვეწელი იყო), შეუძლებელია მნახველზე არ იმოქმედოს ორდანის ხმამ, ფიქრებთან არ განამარტოვოს და სიამე არ მოჰგვაროს.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე კატალონიაში გამობრწყინდნენ დიდი არქიტექტორები: ანტონი გაუდი, ლუის დომენეგ ი მონტანერი და მისი მოსწავლე ჯოზეფ პუშ ი კადაფალკი, რომელთა შემოქმედებამ მოდერნიზმის სახელით ზოგადსაკაცობრით კულტურულ მექანიზმების თავისი თვალსაჩინო ადგილი დამტკიცირა (ასევე აღიარა იუნესკომ). მათი არქიტექტურული ნიმუშები კერძო სახლებისა და სხვა კომპლექსების სახით გახსნილია ტურისტებისათვის. ბარსელონას ტურიზმის სააგენტო (Barcelona Turisme), რომელსაც კარგი საინფორმაციო გვერდი აქვს (www.visitbarcelona.com), სოავაზობს დამსვენებლებს და ტურისტებს ყველანაირ შედავათებს, ვისაც, ცხადია, გაუჩნდება სურვილი დაათვალიეროს მუქეუმები თუ სასახლეები, ბადები ან სახლები და ეზიაროს ეკოლოგიური კულტურის ამ საუკეთესო შედევრებს. ზემოთ ჩამოვლილ სიას დაემატა რამოდენიმე ახალი ნიმუში, რომელიც აქამდე დახურული იყო ფართო მნახველთათვის. კერძოდ, სან პაუს პოსტიტალური კომპლექსი (Sant Pau Recinte Modernista), დაპროექტებული და აშენებული ლუის დომენეგი ი მონტანერის მიერ. ამ პოსტიტალში ვიზიტმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. თუ ბარსელონას ეწვევი ამ კომპლექსის დათვალიერებაც უნდა მოახერხო – ის „წმინდა ოჯახის“ ტაძრის სიახლოეს (ჩრდილოეთისაკენ) არის განლაგებული და ეს ორი შედევრი ერთმანეთს უკურებს.

საინტერესოა ის, რომ ბარსელონას დღევანდელი ცენტრი XIX საუკუნის პირველ ნახევარში არ შედიოდა ქალაქის ფარგლებში. უკანასკნელი საუკუნენახვარში ქალაქი მნიშვნელოვნად გაფართოვდა და შთანთქა მრავალი პატარა დასახლებული პუნქტი (რო-

მელოთა ისტორიაც შერჩა ქალაქს რაიონების დასახლების სახით). ამიტომაც დღევანდელი ბარსელონა არის მეტად ახალგაზრდა ქალაქი, რომლის გულს ამჟამად წარმოადგენს გრასიას ბუღვარი, რამბლა და პროსპექტი დიაგონალი. ქალაქის დაგეგმარება მოხდა ლანდშაფტის გათვალისწინებით, პრაქტიკიზმიდან გამომდინარე. ის, ვინც ამ ქალაქს სტუმრად (ტურისტად) ეწვევა, არ შეიძლება არ მოიხიბლოს 4–5 სართულიანი შენობებით, ფართე გამზირებით და გზაჯვარედინების თავისებურებებით, სადაც თითოეულ შენობის კუთხე არის დამრეცი (ჩაჭრილი პირი), რაც არაჩვეულებრივ სივრცეს ქმნის. ამ პატარა მოედნებზე მწვანე ნარგავებსა და კატალონურ მწეს მშვიდი განწყობა შემოაქვს ადამიანში. კაპიტალისა და ბურჟუაზიული იდეების დომინირების მიუხედავად ქალაქის მშენებლები (არქიტექტორები და შემკვეთები) არ აცდნენ ქალაქისთვის ოპტიმალურ ნაგებობებს, ამიტომაც ოქვენ ვერ შეხვდებით მაღალ და აყლაუედა, ერთმანეთზე მიჯრილ შენობებს, ვერც ჩვენი თბილის-ქალაქისთვის დამახასიათებელ მიტაცებულ სკვერებსა და ტროტუარებს ნახავთ! ბარსელონას შემხედვარე უდავოდ განიმსჭვალები სინანულით, რა ხდება ჩვენში, ნუოუ დავკარგეთ სილამაზისა და მშვენიერების შეგრძნება? რატომ ვამახინჯებო ქალაქს? დაგეუფლება აზრი, რომ ჩვენში ვანდალიზმა და უსიყვარულობამ დაისაკუთრა აღგილი და სიმახინჯეში შეჯიბრების გზაზე გამოუსწორებულ ზარალს ვაყენეთ არა მხოლოდ ქალაქის ელფერს და პროფილს, არამედ ჩვენ სულს და სხეულს, სამწუხაროდ!

მინდა აღვნიშნო, რომ გარდა გალერეებისა (პიკასოს მუხეუმი და ა.შ.) და საგამოფენო და საკონცერტოციო სივრცეებისა, ბარსელონა ის ქალაქია სადაც მუსიკალური ცხოვრება ჩქევს. ოპერა (Gran Teatre del Liceu, www.liceubarcelona.cat), საკონცერტო დარბაზები (თვალწარმტაცი კატალონიური მუსიკის სასახლე alau de la Musica Catalana (www.palaumusica.cat/en), სხვათა შორის იმავე არქიტექტორის, დომენეკი ი მონტანერის მორიგი, დაუვიწყარი შედევრი), თანამედროვე ‘აუდიტორიები’ (Auditori di Barcelona) და კათოლიკური ბაზილიკები კლასიკური მუსიკის მოყვარულებს სთავაზობენ ნამდვილ ნეტარებას. ამ ქალაქში თქვენ შეხვდებით პლანეტის ნებისმიერი კუთხიდან მოწვეულ მაღალი რანგის მუსიკოსებს და დატკბებით მათი შესრულებით. ესენია: ი.ფაუსტი, ფ.ჭერევეგა, ა.-ს. მუტერი, ჯ.კ. გარდინერი, უ.-კ. სკინოზი,

ზ. მეტა, რ. ლუპუ, უ. კრისტი და ა.შ.

ქალაქის მუსიკის სასახლე ეს არის კატალონიური არქიტექტურული მოდერნიზმის საუკეთესო ნიმუში, დახუნდლული ულამაზესი ორნამენტებით. ეს ორნამენტები ტრადიციულად მოიცავენ კატალონიური და არაბული სტილის სინთეზს – მოჭიქული ფერად-ფერადი მეტლახის ნაჯრებით (მოზაიკით). რამდენადაც დარბაზი ჩაფიქრებული იყო კატალონიური საგუნდო მუსიკის სახოგადოება ‘კატალონიური ორფეოსი’-ს შტაბ-ბინად, შენობის ფასადზეც ამ სახოგადოების წევრებია გამოსახული. ვესტიბული და კიბეები საგულდაგულოდ არის მოჩუქურობებული, სადაც უკავილების მოტივი დომინირებს. მაგრამ ნამდვილი მარგალიტია აუდიტორია – მას გვერდითა კედლებიდან და ჭერიდან ბუნებრივად მომდინარე განათება აშუქებს. მეორე იარუსის გარეთა ვიტრაჟები ამოუვანილია ფერადი მინიო, ასევე ჭადის დაუვიწყარ იმიტაციას ქმნის ვიტრაჟებიანი ჭერი, რომელზეც ასევე ნახავთ კატალონიური საგუნდო სახოგადოების წევრ ქალთა სილუეტებს. ამას კიდევ ამდიდრებს კუთხეებში ფრთიანი ცხენებისა და სვეტების თავზე, ნახევარწრიან სცენის კედელზე გამოყვანილი შუასაუგუნოვანი მუსიკოსების სკულპტურები, რომლებიც დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებენ. ამ სასახლეში, 13 მარტს, საფორტეპიანო მუსიკის საღამოს ვეწვიე. ვიზიტი წინასწარ შეთანხმებული მქონდა სასახლის პრეს-ცენტროან, რომელმაც საუკეთესო ადგილები არ დაიშურა ქართველი შურნალისტებისთვის. იმ საღამოს ახალგაზრდა თაობის პოლონელი პიანისტი რაფალ ბლეხაჩი (Rafał Blechacz) გამოდიოდა. ამ 32 წლის პიანისტმა უკვე დიდი აღიარება მოიპოვა და ცნობილმა გერმანულმა ხმის ჩამწერმა სტუდიამ ‘Deutsche Grammophon’ მისი ბევრი ჩანაწერი გამოუშვა (ბახი, შოპენი, ჰაიდნი, მოცარტი და ბეთონვენი), რომლებმაც საუკეთესო შეფასება და ჯილდოები დაიმსახურა. პიანისტის კარიერაში ყველაზე



წარმატებული აღმოჩნდა 2005 წელი, როდესაც ფ. შოგენის სახელობის მე-15 საერთაშორისო კონკურსზე, გარშევაში მან დაიმსახურა, როგორც მთავარი ასევე რამოდენიმე დამატებითი პრიზი. ამ საღამოს ბლეხაჩი მოცარტის ცნობილ ლა-მინორულ (KV310), ბეთოვენის ლა-მაჟორულ (op.101), შუმანის სოლ მინორულ (op.22) სონატებს ასრულებდა. პიანისტმა დამაჯერებელი, ვიოტუოზული შესრულების მანერა უჩვენა, მაგრამ ამ შესრულებას, მიუხედავად უნაკლო ტექნიკისა, რადაც სული აკლდა. შემქმნელი შთაბეჭდილება, რომ ბლეხაჩი ტკბებოდა თავისი ყენომენალური ვიოტუოზობით და ეს იყო და ეს. რაიმე პერსონალური განცდა და ინტერპრეტაცია არ ეტყობოდა. მაგრამ, როდესაც ჯერი დადგა შოპენზე, პიანისტი გარდაიქმნა – მის შესრულებაში სირბილე, სინაზე, სევდა და რომანტიზმი ერთად გამოსჭვიოდა. ბლეხაჩი ნამდვილად საინტერესო იყო მაზურკებში (op.24) და თავი სრული დიაპაზონით წარმოაჩინა პარმორიკულ პოლონეზში (op.53).

რა თქმა უნდა, ასეთი კომპოზიტორების საფორტეპიანო მუსიკის მოსმენა ცალკე სიამოვნებაა, თუმცა იმ საღამოს ხიბლი შოგენის შესრულებაში უფრო იყო.

სანაპიროზე (რამბლას ქუჩა) აღმართულ ქრისტოფორე კოლუმბის მონუმენტის შემდეგ უეხით თუ გაისეირნებო, სულ რამოდენიმე კვარტალში აღმოაჩენთ კუთხის შენობას გრძელი აივნით და სამი დიდი თაღოვანი და ნაწილობრივ მოხატულ მინიანი ფანჯრებით. სახურავზე პატარა მანსარდის მაგვარ თაღში საათს დაინახავთ. ეს სახელგანთქმული საოპერო თეატრ ‘ლისეუს’ ფასადია, რომელიც შენარჩუნდა აღრეულ 1847 წლიდან. თეატრის დასახელება მოდის სიტყვა ლიცეუმიდან, რადგან პირველ გახსნამდე მის ადგილას თავდაპირველად მუსიკალური ლიცეუმის თეატრი იმყოფებოდა. თეატრი იმით იყო გამორჩეული, რომ აიგო მოქალაქეობა კერძო შემოწირულობებით. იმ დროისათვის ეს იყო ერთ-ერთი დიდი საოპერო თეატრი ევროპაში. მასში იდგმებოდა უპირატესად იტალიური თპერა (დონიცეტი, ვერდი, მერკადანტე, როსინი). ‘ლისეუს’ თეატრს არ აკლდა დიდი სახელები, მაგრამ ნამდვილი გარსეკვლავოცვენა მოუწია XX საუკუ-

ნის დასაწყისში, როდესაც უდიდესი საოპერო ვარსეკვლავები გამოდიოდნენ ამ სცენაზე და თეატრმა დაიმსახურა ხმელთაშუა ზღვის საუკეთესო თეატრის რეპუტაცია. თეატრი იყო დაზიანებული 1894 წელს (ანარქისტის ბომბის აფეთქებით), ბალიან დიდი ზიანი კი მას მიადგა 1994 წელს, ხანძრისაგან. მომდევნო წლებში დაიწყო თეატრის რეკონსტრუქცია და განახლება. იგი ხელმეორედ გაიხსნა 1999 წელს. ამჟამად მას ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი, ხუთიარულების დარბაზი აქვს, 2292 მაყურებლის ადგილით.

თეატრში არის ისეთი ადგილებიც, საიდანაც სცენა თუნდაც მცირედით ან საერთოდ არა ჩანს! შთამბეჭდავია პოლი და ცენტრალური კიბები, არის თანამედროვე ლიფტები და ამფიონებრის სკამებს ახლავს ინდივიდუალური ელექტრონული ეკრანი, რომელიც ლიბრეტოს სამ ენაზე უჩვენებს. ორიგინალურია ჭერი და დახურული, ოვალური ფორმის განათება. მარტის თვეში მირითად რეპერტუარში იყო ჯორდანოს ‘ანდრე შენი’ და მხოლოდ ერთი წარმოდგენა ჰენდელის ‘არიოდანტე’-სი, რომელიც გასტროლებზე მყოფ უილიამ კრისტის და მის დასს უნდა წარმოედგინა. ამ სპექტაკლზე შევაჩერე ფურადდება. თპერა საკონცერტო შესრულებით



იდგმებოდა – ჩამოდიოდნენ არა მხოლოდ მომდერლები, არამედ ძველებური მუსიკის ორკესტრი ‘Les Arts Florissants’, რომლის უცვლელი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი უილიამ კრისტია. ‘არიოდანტე’ ჰენდელის საუკეთესო საოპერო ნიმუშებს მიეკუთვნება. დადგმული 1735 წელს სამეფო თეატრ ‘კოვენტ გარდენში’ ჰენდელის ამ მუსიკალურმა დრამამ 11 წარმოდგენას გაუქლო და წარმატებული წინააღმდეგობა გაუწია მის უშუალო მეტოქეს – ‘აზნაურთა თპერას’, რომელსაც უელსის პრინცი მფარველობდა. სიუკეტს გადაეყავარო შეუსაუკუნოვან შოტლანდიაში, სადაც დედოფალ ჯინევრასა და არიოდანტეს დიდი განსაცდელიანი სიყვარული არის მოთხოვნილი, მათ სიყვარულს წინ აღუდგება ალბანეთის ჰერცოგი - პოლინეგს, რომელიც მასზე შევვარებულ დალინდას ბრმა იარაღად იყენებს. სიუკეტში ჩართულია ასევე არიოდანტეს მმა - ლურკანიო, იგი იოლად გაება პოლინეგს მიერ დაგებულ

მახეში. შეუგარებული წევილის მფარველი შოტლანდიის მეფეა. არიოდანტეს პარტია დაიწერა ცნობილი კასტრატისათვის ჯოვანი კარესტინისათვის, რამაც დიდად შეუწყო ხელი შესრულების წარმატებას. ოპერის თავიდან აღმოჩენა წინა საუკუნის მეორე ნახევარში განაპირობა ცენტრალურ პარტიაში ცნობილი მეცოსოპრანოების დაკავებამ. ამჯერადაც არიოდანტეს როლში ამერიკალი კეიტ ლინდსეი (Kate Lindsey) გამოდიოდა. იგი 2007 წლიდან ‘ჟეტროპოლიტენ თპერაში’ დებიუტის შემდეგ უამდე 2012 წლიდან ჩნდება ევროპულ სცენაზე – ჯერ მეორეხარისხოვან პარტიებში მოცარტისა და როსინის ოპერებში, შემდეგ კი უკვე ცენტრალურ პარტიებში. ჯინევრას როლში გამოდიოდა ევროპის დიდი საოპერო ოეატრების დამლაშქვრელი, ებრაელი სოპრანო - ჩენ რეისი (Chen Reiss), რომელმაც ევროპის პრაქტიკულად უკელა დიდი საოპერო სცენა მოიარა. ლურკანიოს პარტიაში ცნობილი გერმანელი ტენორი რაინერ ტროსტი (დაინერ თორსტი) იყო, დალინდას როლში – ებრაელი ჰილა ფაჰიმა (Hila Fahima) და პოლინესოს როლში – ფრანგი კონტრატენორი კრისტოფ დიუმო (Christophe Dumaix), მეფის როლში – ვილჰელმ შეინგამერი (ჭილჰერმ შცენინგამმერი). ოპერა პრაქტიკულად სრულფოლად შესრულდა – მცირე კუპიურა შეეხო ორ არიას – მეორე აქტში დალინდას (შე ტანტო პიაცე ალ ცორ) და მესამე აქტის დასაწყისში არიოდანტეს (ჩიეცა ნოტტე). საკონცერტო შესრულების მიუხედავად მომდერლები არტისტულად გადმოსცემდნენ გმირების აზრებს, განცდებს და ქცევებს. ადსანიშნავი იყო ჯინევრას შემსრულებელი – ჩენ რეისი, ეფექტურ მწვანე და შემდგომ თეთრ კაბაში და ასევე ფრანგი კრისტოფ დიუმო პოლინესოს პარტიაში. ვოკალურადაც ზუსტად ეს ორი შემსრულებელი მომეწონა – ჩენ რეისი დამაჯერებლად და ვოკალური ხარვეზების გარეშე წარსდგა სცენაზე – მისი ხმა კარგად ისმოდა, თუმცა დიდი სიძლიერით არ გამოირჩეოდა. კრისტოფ დიუმო ნამდვილად საუკეთესო ფორმაში იყო – ტემპი, ტექნიკა და ხმის სიძლიერე არ აკლდა (გამოყოფილი პირველი აქტის არიას შპერო პერ ვიო, სი, სი და მესამე აქტის Dover giustizia amor). გერ-

მანელ ბანს ვილჰელმ შეინგამერს დიდი და მყარი ბანი ჰქონდა, ზუსტად რაც ჰენდელის მუსიკას სჭირდება, ამიტომაც ისიც კარგად მიესადაგა როლს (სახასიათო არია Voli colla sua tromba). უკელაზე დიდი უურადღება მიიქცია არიოდანტეს პარტიის შემსრულებელმა – კეიტ ლინდსეიმ. მას რამოდენიმე ცნობილი არია აქვს ოპერაში – კეიტის პატარა და შედარებით კამერული ხმა სწრაფ ფიორიტურას საერთოდ ვერ უკლავდებოდა, მხოლოდ ერთ არიაში აღმოჩნდა მომგებიანი – სახელგანოქმულ შცენება ინფიდა ინ გრემბი ალ დრუდო-ში. ეს დრამატული და განცდებით სავსე არია წარმოადგენს ოპერის ნამდვილ ხერხებალს. ამიტომაც უილიამ კრისტიმ ზუსტად ამ არიას შემდეგ გადაწყვიტა ერთადერთი შესვენების მოწყობა, მუხედავად იმისა, რომ არია მეორე აქტის შეუაშია. ამით ლინდსეიმ დაიმსახურა მხურვალე აპლოდისმენტები და ჩემი სიმპატიაც. მაგრამ სხვა სცენებში და

სწრაფ არიაში (Dopo notte, atra e funesta) ვერაფრიო გამოიჩინა თავი. ამიტომ პაუზა არა მხოლოდ დრამატურგიული ხაზის გამოკვეთას, არამედ მთავარი პარტიის შემსრულებლის ვოკალური სისუსტეების დაჩრდილვასაც ემსახურებოდა. კრისტის ინტერპრეტაცია

იყო თავისუფალი – რიგ ადგილებში ობლიგატური ინსტრუმენტები იყო მკაფიოდ გამოყოფილი, მათი შესრულების მანერაც იყო არატრადიციული (პობოის წევეტილი ხაზი არიაში სახელგანოქმულ Scherza infida in gramebo-ში). ასევე ადსანიშნავია პირველი ვოკლინოს (hirocugu kurosaki – Hirotugu Kurosaki) ხაზი მესამე აქტის სცენებში, კერძოდ ჯინევრას არიაში (Si morro) და ლურკანიოსა და დალინდას დუეტში (Dite spera, e son contento). ორკესტრში ინსტრუმენტების ბალანსი იყო დაცული, თეორბა და კლავესინი კარგად ისმოდა, ვიოლინოები არ დომინირებდა, მაგრამ პირველი ვიოლინოს სოლო ხაზი გამოიყოფდა თავისი პროფესიონალური შესრულებით. ჰენდელის ოპერა ‘არიოდანტე’ ბაროკო მუსიკის საუკეთესო ნიმუშია, სავსე, ლამაზი მელოდიებითა და დრამატურგიული მუსიკალური ხაზით – მაგრამ ჰენდელის გენის გარდა მას კარგი ვოკალური ხმები და დახვეწილი ტექნიკა სჭირდება.



ქრონიკა

საქართველოს საბიბლიოთეკო ცენტრები მოვლენები, ფაქტები

- » **12 აპრილს** საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა სასკოლო თეატრალური ფესტივალის „არტსკოლის /არტსკოლ -2018-ის წარდგენა. ტრადიციულად ფესტივალის მასპინძელია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.
- » **16 აპრილს** ეროვნულ ბიბლიოთეკაში ქართული ენის დღესთან დაკავშირებით



აქციის „მე მიყვარს ქართული - ჩემი სახელმიწოდებული ენა“ წარმატებულ მოსწავლეთა დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. აქცია ჩატარდა გაეროს ასოციაციის, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ცენტრის ერთობლივი პროექტით : „ტოლერანტუბის, სამოქალაო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდამჭერი პროგრამა“.



- » **20 აპრილს** საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში საფრანგეთის სორბონის უნივერსიტეტის მე-19 საუკუნის კვლევითი ცენტრის დექცია თემაზე „ნაპოლეონი და აღმოსავლეთი“.
- » **1 მაისს** საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა პირველი ინგუშური გაზეთის „სერდალო“ 95 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონიძება.
- » **7 მაისს** საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მერვედ აღინიშნა „პოეზიის დღე“. ამჯერად წარმოდგენილი იყო ექიმი-პოეტი ნანა ცინცაძის პოეტური კრებულები.
- » **10 მაისს** „ქართულ სიძველეთა მოძიებისა და კვლევის ცენტრის“ ორგანიზებით ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა თამილა მგალობლიუმის სსოფლის სადამო. წარმოდგენილი იყო კვლევის ცენტრის მიერ 1997-2018 წლებში განხორციელებული პროექტები. როგორც ცნობილია თ. მგალობლიუმის სახელმიწოდებულება სახელმიწოდებულება და არსა „ქართულ სიძველეთა მოძიებისა და კვლევის ცენტრი“, ცენტრის ინიციატივით ჩატარდა 15-ზე მეტი სამეცნიერო-კვლევოთი ექსპედიცია ისრაელში, იორდანიასა და ანტიოქიაში. თ. მგალობლიუმის სამეცნიერო მონოგრაფები და სტატიები გამოქვეყნებულია საქართველოსა და უცხოეთში.
- » **22 მაისს** საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსნა გამოფენა „სამშობლოსათვის მებრძოლი სამშობლო დაკარგულები“. ღონიძება ეძღვნება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხვევის



საუკუნოვან იუბილეს. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ქართველოლოგიის განტოფილების ფონდში დაცული უნიკალური ფოტო-მასალა ბიოგრაფიული ცნობებით იმ პირების შესახებ, რომლებიც უთანასწორო ბრძოლაში დაეცნენ ან ემიგრაციაში დაასრულეს სიცოცხლე. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ასევე 1918-1921 წლების პრესის მასალები გაზეოვებიდან : „საქართველო“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „დოოება“, „ოვატრი და ცხოვრება“ და სხვა გამოცემებიდან.

- » **25 მაისს** საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსნა დამოუკიდებლობის დარბაზი. დარბაზის გახსნა მიეძღვნა პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ასი წლისთავს. დარბაზი გახსნეს პარლამენტის თავმჯდომარებირაციის კობაზიძემ, მოლდოვის პარლამენტის თავმჯდომარებ ანდრია კანდუმ და ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კეკელიძემ. დამოუკიდებლობის დარბაზი სრულად აღადგნეს 1918-1921 წლებში საქართველოში განვითარებულ მოვლენებს. გამოფენაზე წარმოდგენილია აღნიშნული წლების ამსახველი საარქივო და უაქტი მასალები : საქართველოს რუკები, ხელნაწერები და კულტურული ცხოვრების ამსახველი საისტორო მასალები.
- » **29 მაისს** საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში აღინიშნა „დანტეს დღე“. ღონიძების ორგანიზატორები იყვნენ „დანტე ალიგიერის საზოგადოება - თბილისის კომიტეტი“. ღონიძების მიზანია საქართველოში იტალიური ენისა და კულტურის პოპულარიზაცია.
- » **6 ივნისს** საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას ეწვია IFLA-ს წარმომადგენელი, საბიბლიოოთეკო ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციის პოლიტიკისა და კვლევების მიმარ-

თულების ხელმძღვანელი ესმერალდა მოფატელი. IFLA-ს წარმომადგენელი გაეცნო ეროვნულ ბიბლიოთეკის მუშაობას და იმ სიახლეებს, რომლებიც დანერგილია თა-



ნამედროვე ეტაპზე ქვეყნის ბიბლიოთეკაში. შეთანხმდნენ მომავალი თანამშრომლობის საკითხებზე IFLA-სა და ეროვნულ ბიბლიოთეკას შორის.




- » **11 ივნისს** საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ახალგაზრდა პოეტების : ზ. ნაგრიზაშვილის, ა. ნოზაძის, თ. კიკვაძის, ლ. აბრამიშვილის, ვ. ჯანგველაძის და ნ. ახალაშვილის შემოქმდებითი საღამო.





- » **13 ივნისს** საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოოთეკას ეწვივნენ გერმანიის ცნობილი არხის ZOF-ის წარმომადგენლები, რომლებიც ამსადებენ სპეციალურ გადაცემას ფრანკფურტის წიგნის ბაზრობისათვის.
- » **13 ივნისს** საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოოთეკას ეწვია ირანის ახალი კულტურის აგაშე ჰამიდ მოსეფაფავი. შეხვედრისას დაიგეგმა ოქირანის ბიბლიოოთეკაში ქართული კუთხის გახსნა და არქივიზე მუშაობა.
- » **17 ივნისს** საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოოთეკაში გაიმართა „ვეფხვისტეაოსნის“ საჯაროდ კითხვა.



დონიძიების ორგანიზატორი იყო მწერალი დათო ტურაშვილი. დონიძიებაში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა და სხვადასხვა საჯარო სკოლების მოსწავლეებმა.

- » **21 ივნისს** ბათუმის შ. რუსთაველის სახლის სახლმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა კონფერენცია ოქმაზე : „ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მეხსიერების პოლიტიკის კონტექსტში“. კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორი ემზარ ჯგერენაია. მოხსენებამ „პირველი რესპუბლიკის პოლიტიკური ლექსიკონი - პოლიტიკოსი როგორც მასწავლებელი“, - სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. კონფერენციაზე უნივერსიტეტის ბიბლიოოთეკას გადასცა ეროვნული ბიბლიოოთეკის გამოცემები.

- » **26 ივნისს** საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოოთეკას ესტუმრა სლოვენიის პირველი არხი და ერთ-ერთი წამყვანი ქურნალისტი მოიცა მავეცი. სლოვენიის ტელევიზია ამზადებს ვრცელ სიუჟეტს საქართველოს შესახებ. სტუმარი გაეცნო ეროვნული ბიბლიოოთეკის რარიტეტულ გამოცემებსა და სხვა სახის მისოვის საინტერესო სიახლეებს.
- » **27 ივნისს** საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოოთეკაში გაიმართა ქართულ-ჩინური „საერთაშორისო რედაქციის“ წარდგენა. ღონიძიების ორგანიზატორები არიან ქართული გამომცემლობა „ოქროს საწმისი“ და ჩინური გამომცემლობა „კომერციული პრესა“. „საერთაშორისო რედაქციის“ გახსნა მიზნად ისახავს ქართულ-ჩინური კულტურის ურთიერთობების ხელშეწყობასა და განვითარებას.
- » **28-30 ივნისს** საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოოთეკაში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა“. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ქართველი და უცხოელი მეცნიერები: ქართველობოგები, ხელნაწერმცოდნები-წყაროთმცოდნები.

ნეაროლოგი

მანონ ხორავას ხსოვნას



ცაქართველოს საბიბლიოოთეკო დარგს 2018 წელს გამოაკლდა ამ სპეციალობის ერთერთი თვალსაჩინო ბიბლიოგრაფი მანონ ხორავა, რაც ძალიან დიდი დანაკლისია ქ. თბილისის საბიბლიოოთეკო გაერთიანებისათვის, რომელშიც იგი მოღვაწეობდა 1969 წლიდან მოღვაწეობაზე.

მას აქ მუშაობის პერიოდში გავლილი აქვს ყველა საფეხური ბიბლიოოთეკარიდან მკითხველთა მომსახურების სამსახურის უფროსამდე, რამაც მანონ ხორავა, რომელსაც დამთავრებული პქონდა წითელ დიპლომზე ა.ს. ჟუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოოთეკაომცდნეობის და ბიბლიოგრაფიის ფაკულტეტი სრულყოფილ სპეციალისტად ჩამოაყალიბა.

ქ-ნ მამონს კარგად ესმოდა წიგნის როლი პიროვნების აღზრდისა და მისი მოქალაქედ ჩამოყალიბების საქმეში, ამიტომ მოედი მისი მოღვაწეობა საქალაქო სისტემაში ამ კეთილშობილურ საქმეს მიუძღვნა. წიგნის ურთულესი გზა ბიბლიოოთეკაში შემოსვლიდან მკითხველამდე მთელი მისი ნიუანსებით მისი ცხოვრების კრედიტი იყო, ამიტომ იგი, როგორც ბიბლიოგრაფი ყოველდღიური რუდუნებით და პიროვნესიონალიზმით ემსახურებოდა საბიბლიოოთეკო დარგის ურთულეს და საინტერესო საქმეს.

ქ-ნ მანონ ხორავა 1987-2013 წლებში ხელმძღვანელობდა მთავარი ბიბლიოოთეკის საინფორმაციო ბიბლიოგრაფიული განყოფილებას და მისი ხელმძღვანელობით განყოთანამდებობის მიერ შედგენილი კარტოგრაფები მოიცავს უზღვავ მასალას ცოდნის

უკელა დარგიდან. მისი მოღვაწეობა ამ განყოფილებაში განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რადგან ქ-ნ მანონი ერთდირებული და თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული, პრინციპული ხელმძღვანელი, რომლის თავდადებული და ნაყოფიერი მოღვაწეობა სათანადოდ იყო დაფასებული მთავარი ბიბლიოოთეკის დირექტორისა და მთავრობის მიერ. მას უამრავი ჯილდო და სიგელი აქვს მიღებული, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია: წლის საუკეთესო ბიბლიოოთეკარი (1979), საქართველოს საპატიო ბიბლიოოთეკარი (1985), ვეტერანი ბიბლიოოთეკარის წოდებები, „ქართული კულტურის ამაგდარი“, „რესპუბლიკის საპატიო ბიბლიოოთეკარი“ და სხვა. დაჯილდოვებულია საქართველოს კულტურის სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მერიის, სიგელებით, მედლებით, დიპლომებით.

ქ-ნ მანონს თავის პროფესიონალ გუნდთან ერთად ხვეწდა და სრულყოფდა განყოფილების საცნობო-ბიბლიოგრაფიულ აპარატს, ფონდს მხარეთმცოდნეობით, ოქმატურ და სისტემებურ კარტოთეკას ავსებდა უახლესი საცნობო, საინფორმაციო მასალებით და სხვა.

ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ საბიბლიოოთეკო სისტემაში უპირველესად საცნობო-საინფორმაციო სამსახურში პპროფ ადგილი და ეს ტენდენციები პირველრიგში იმ განყოფილებაში დაინერგა. ამიტომ აღნიშვნული განყოფილება ქ-ნ მანონის ხელმძღვანელობით მოწინავე იყო გაერთიანებაში სადაც თითეული მკითხველისათვის საქმიანი და სასურველი ატმოსფერო სუფევდა.

ცალკე აღნიშვნის დირსია მანონ ხორავას სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობა. იგი შემდგენელ-რედაქტორია და რეცენზენტია ინგა ფილაური-ლორიას, გულნარა სტურუას, ციალა კალმახელიძის და გურამ თაყნიაშვილის ბიობიბლიოგრაფიებისა. არ დასცალდა „პოეზია მუსიკაში“ (ქართული მწერლები) გამოცემა.

აქვთ უნდა შევეხოთ მის შემოქედებით საქმიანობას პოეზიაში, გამოქვეყნებული აქვს ლექსები კრებულში „ლექსო ზიარო სულისა“, „ბიბლიოოთეკარების შემოქმედება“ (2015), „სიყვარულით ქალბატონ ციალა კალმახელიძეს“ ლექსების კრებული (2012) და

შემდგენელი ბატონ დემიკო ლოლაძესთან კრებულისა “ქალი-სათხოება”, რომელიც მიუძღვნა თბილისის საპატიო მოქალაქეს ქნ ციალა კალმახელიძეს (2015).

ცალკე საუბრის თემაა ქნ მანონ ხორავასა და ქნ ციალა კალმახელიძის პროფესიული ურთიერთობა და მეგობრობა, რომელიც სამაგალითოა თითეული ჩვენგანისათვის ეს ტანდემი ათეული წლების განმავლობაში ერთად, ხმაშეგებობილად, პროფესიონალურად მოღვაწეობენ ქ. თბილისის საბიბლიოოთეკო სისტემაში, დირექტორის მატებდნენ, ამაღლებდნენ და ყოველდღიურად უფრო მაღალ საფეხურზე აჟყავდათ ბიბლიოთეკა, როგორც კულტურულ სგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულება, რომლის კედლები მუდამ სავსე იყო ამ დარგის დამფასებული სულიერებით აღსავსე მკითხველებით. აქვე სიცოცხლე ჩემი ფუტკრის სკასავით ზუზუნებდა”

და მკითხველთა განათების დონეს ამაღლებდა, რაც ბიბლიოთეკის უპირველეს ამოცანას შეადგენს, რაც უდავოდ ამ ორი პროფესიონალის ქალბატონის დამსახურებაა. დიდია მწუხარება და დანაკლისი მათი თითქმის ერთდროულად დაკარგვისა.

ერთ საუკრნალო სტატიაში შეუძლებელია ქალბატონი მანონის მოდვაწეობის უველა სევეროს ჩამოთვლა რისოვისაც ბოდიშს ვიხდით. მსუბუქი იყოს თქვენთვის ქართული მიწა და როგორც ნამდვილ ქრისტიანს და მორწმუნე პიროვნებას საუკუნო სასუფეველი დაგიმკვიდროთ მაღალმა ღმერომა.

კოლეგებისა და მეგობრების სახელით მზია ტოგონიძე, მთავარი ბიბლიოთეკის საცნობო ბიბლიოგრაფიული განყოფილება. უკრნალ „საქართველოს ბიბლიოტეკის“ რედაქცია

ნუნუ ნაზლაიძის მოსაგონარი



ნაზლაიზის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების საბიბლიოოთეკო განყოფილება დრმა მწუხარებას გამოიქვამს დვაწლმოსილი ბიბლიოთეკარის ნუნუ ნაზლაიძის გარდაცვალების გამო.

ნუნუ ნაზლაიძეს დიდი წვლილი მიუდვის მცხეთის რაიონის საბიბლიოოთეკო

საქმის განვითარებაში, იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საბიბლიოოთეკო საქმეს. აღზარდა ბევრი პროფესიონალი ბიბლიოთეკარი.


ნუნუ ნაზლაიძე დაიბადა 1927 წლის 19 მარტს ქალაქ მცხეთაში, დაამთავრა მცხეთის საშუალო სკოლა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა რაიონულ ბიბლიოთეკაში, ბოლო წლებში კი მცხეთის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორად. მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და სიგელი ერთგული სამსახურისათვის. გახლდათ საქართველოს დამსახურებული ბიბლიოთეკარი.

ქალბატონი ნუნუ იყო უადრესად სათხოდა კოლეგიალური, თანამშრომლებთან ურთიერთობაში იყო ზომიერი და კეთილგანწყობილი, ყოველთვის გაწონასწორებული და ყველასათვის მისაბაძი პიროვნება.

კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება სამძიმარს ვუცხადებო გარდაცვლილის ოჯახს.

პერეული - 2018

ბიბლიოთეკართა თვითშემოქმედება



Հայս



100

ճական

Հայաստանի մահապատճեն
քաղաքացիության մշակույթի
բանագործություն